პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ. } რედაქტორის 14—76
} მდივნის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

- ამანულა მედგრად მიიწევს ქაბულისაკენ.
- პროფ. სამოილოვიჩის დაჯილდოვება.
- ამერიკის მთავრობა წინააღმდეგია ნავთის მრეწველთა შეთანხმების.
- გერმანიის პრესა ლერონის დანიშვნის შესახებ.
- ქრისტიანული პროფკავშირთა ლიდერების [illegible].
- კომუნისტების დევნა თურქეთში.
- აფეთქება მონსის (ბელგია) მაღაროში.—მოკლულია 6, დაჭრილია 8 კაცი.

შაბათი, 6 აპრილი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 77 (2423)

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-5 ყრილობა

მოწვეულია 1929 წლ. 8 აპრილისათვის ქ. თბილისში

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ს. ს. რ. მთავრობის მოხსენება
2. სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ.
3. მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.
4. საქართველოს დარაიონების შესახებ.
5. არჩევნები.

ს. ს. ცაკის მდივანი ი. ვარძიელი.

ლენინის ხაზის დაცვისათვის გლეხთა საკითხში

ამხ. კალინინის მოხსენების ამ დღეებში გამოქვეყნებული თეზისები დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს წარმოადგენენ. თეზისები ჯამს უკეთებენ უაღრესად მნიშვნელოვან ეტაპს, რომელიც განვლეს ჩვენმა ქვეყანამ და პარტიამ მე-15 ყრილობის შემდეგ. თეზისები ეხებიან სასოფლო - სამეურნეო პოლიტიკის ძირითად საკითხებს. ვინაიდან პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის დაკავშირებისა და ამ დაკავშირების უმაღლეს საფეხურზე გადაყვანის საკითხებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისა და სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებით განვითარებისათვის, სავსებით აშკარაა, რომ ამ თეზისებს მთელმა პარტიამ უნდა მიაქციოს ყურადღება.

მართალია, თეზისები აღნიშნავენ, რომ მუშაობა საწარმოო კოოპერაციაში გლეხობის ჩაბმისა და კოლექტივიზაციის საქმეში ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი. სოფლის სტიქიური მისწრაფება მსხვილი მეურნეობისაკენ უკვე აღარ ეტევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საორგანიზაციო ფორმებში. სასოფლო- სამეურნეო კოოპერაცია მეტად ნელა უთანხმებს თავის აპარატს, თავისი მუშაობის ფორმებსა და წესებს ახალ საწარმოო ამოცანებს და ყოველთვის ვერ ახერხებს ახალ პირობებში მაქსიმალურად მიზანშეწონილად გამოიყენოს გავლენის ყველა ის საშუალება, რომელსაც მეურნეობის სოციალისტური სექტორის ზრდა უზრუნველჰყოფს. მაგრამ კოოპერაციის ეს ჩამორჩენა მოძრაობისაგან, ჩამორჩენა, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა იქნეს დაძლეული, ამავე დროს პასუხს იძლევა კითხვაზე — ბუნებრივია თუ „ხელოვნური“ კოლმეურნეობათა მშენებლობის ფართოდ განვითარება, კანონზომიერია იგი თუ ზევიდან ხელოვნურად გაძლიერებული, როგორც ამის დამტკიცებას მემარჯვენენი ცდილობენ.

სახალხო მეურნეობის საზოგადოებრივი სექტორის წვრილი ინდივიდუალურ გლეხობასთან ურთიერთობის ფორმებმა განვლილ პერიოდში მკაფიოდ გამოსახული საწარმოო ხასიათი მიიღეს. სატრაქტორო რაზმების მუშაობა, რომელიც მიწის უდიდეს სივრცეზე ვრცელდება და მრავალ საადგილ - მამულო საზოგადოებას ერთბაშად აბამს საწარმოო კოოპერაციაში, კონტრაქტაციის გავრცელება, რომელიც უდიდეს ტექნიკურ და სოციალურ ეფექტს იძლევა ორივე მხარის საწარმოო ვალდებულებათა მიხედვით და რომელიც იქცევა „სოფლის მეურნეობის განვითარების მრეწველობასთან დაკავშირების ფორმად“, საწარმოო მიწოდების საგნების ხვედრითი წონის დიდი ზრდა სოფელთან საქონლის ტრიალში, — აი ყოველივე ის, რაც სრულ საფუძველს გვაძლევს განვაცხადოთ, რომ „გლეხობის ძირითად მასებთან დაკავშირების ძველ ფორმებთან ერთად, რომლებიც გულისხმობენ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის საქონლის ტრიალის განვითარებასა და გაძლიერებას, ქალაქისა და სოფლის კავშირის სავაჭრო - კოოპერატიული ფორმების განვითარებას, ამჟამად წამოჭრილია დაკავშირების ახალი ფორმები — მუშათა კლასისა და გლეხობის შორის საწარმოო ურთიერთობის ბაზისზე“.

მატერიალური რესურსების გადიდება, რაც წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განვითარების შედეგს, საშუალებას აძლევს პროლეტარულ სახელმწიფოს ბევრად უფრო გააძლიეროს ის საწარმოო დახმარება, რომელსაც უწევს იგი ღარიბი და საშუალო გლეხობის მასებს სოფლად. როგორც სწორად აღნიშნულია თეზისებში, ასეთ საფუძველზე შექმნილი „მსხვილი საზოგადოებრივი მეურნეობა, ღარიბ და საშუალო გლეხთა ინდივიდუალურ მეურნეობებს კი არ უპირისპირდება, როგორც მტრული ძალა, არამედ უკავშირდება მათ, როგორც მათთვის დახმარების გაწევის წყარო, როგორც მსხვილი მეურნეობის უპირატესობის მაგალითი და როგორც იმის ორგანიზატორი, რომ ხელი შეუწყოს მათ მსხვილ მეურნეობად თანდათან გაერთიანების საქმეში“.

საკითხი იმის შესახებ, თუ რა გზით ვითარდება სოფლის მეურნეობა — სოციალისტურით თუ კაპიტალისტურით, — იმის და მიხედვით, რომ თანდათან ძლიერდებიან დაკავშირების საწარმოო ფორმები, თანდათან იზრდება და აძლიერებს თავის გავლენას მეურნეობის სოციალისტური სექტორი და ვითარდება საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობა — ყოველივე ამის მიხედვით ეს საკითხი პრაქტიკულად ყოველდღიურად სწყდება სოციალიზმის სასარგებლოდ და სოციალიზმის გზით. ამით აიხსნება, რომ კულაკი გაათრებული სიძულვილით უყურებს საბჭოთა ყოველ ორგანიზაციას, რომელიც სწორ კლასობრივ პოლიტიკას ატარებს, ყოველ საბჭოთა ან კოლექტიურ მეურნეობას, რომელიც იქცევა იმ პრაქტიკული მაგალითის მიმცემ ძალად გლეხობის მშრომელი მასებისათვის, რასაც მარქსიზმის საფუძვლის ჩამყრელნი ითვალისწინებდნენ. მაგრამ ამავე დროს სოციალისტური პოზიციების განმტკიცება სოფლად აძლიერებს ღარიბი გლეხობის ფართო მასების ორგანიზაციულ შეკავშირებას და, მაშასადამე, რაზმავს ძალებს კულაკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საშუალო გლეხი მჭიდროდ ებმება სოციალისტურ მშენებლობაში სოციალისტური სექტორის როლის ზრდის გზით, ე. ი. ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის გზით, პროლეტარიატისა და ღარიბი გლეხობის ძალების შეკავშირების გზით, რაც იწვევს მათი კავშირის განმტკიცებას საშუალო გლეხთან. ეს გზა იძლევა იმის საშუალებას, რომ რეალური დახმარება გაეწიოს საშუალო გლეხთა მეურნეობას. ამხ. კალინინის თეზისები საუკეთესოდ ახასიათებენ იმას, თუ როგორ უყურებს პარტია საშუალო გლეხობასთან კავშირს. იმ ზომებს შორის, რომელთა დანიშნულებასაც შეადგენს დაკავშირების ახალი ფორმების გატარება, დადასტურებულია საშუალო გლეხის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებაც, რაც გაატარა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, „ეყრდნობოდა რა იმას, რომ ამ ღონისძიებებმა პურის ფასების გადიდებასთან ერთად უნდა გააძლიეროს საშუალო გლეხის დაინტერესება იმ ღონისძიებათა გატარებაში, რომელნიც ამაღლებენ მისი მეურნეობის ტექნიკურ და კულტურულ დონეს“. ყოველ სხვა გზას, რომელიც ნაკარნახევია პანიკით მშენებლობის სიძნელეთა წინაშე და კაპიტულაციით კულაკის წინაშე, პარტია ენერგიულად უკუაგდებს.

მემარჯვენეთა მიერ შეთხზული ცილისწამება იმის შესახებ, ვითომც იწარმოებს სოფლის მეურნეობის დეგრადაცია, თითქოს პარტია „სამხედრო - ფეოდალურ“ პოლიტიკას აწარმოებს გლეხობის მიმართ და მემარჯვენეთა პრინციპიალური შეცდომები, [illegible] იწვევენ პერმანენტული დათმობების თეორიას, ღირსეულად შეაფასა პარტიის უდიდესმა უმრავლესობამ და ეხლა დეტალურად არის გარკვეული ამხ. კალინინის თეზისებში. მემარჯვენეთა პლატფორმას თეზისებში ეწოდა ნამდვილი მისი სახელი და იგი დახასიათებულია, როგორც გადასვლა კულაკის პოზიციაზე, როგორც პირდაპირი უარი მუშათა კლასის ხელმძღვანელ როლზე სასოფლო - სამეურნეო წარმოების განვითარების დარგში“.

კაპიტულიანტური პოლიტიკის ლოღიკა მემარჯვენეებს აიძულებს— დაადგნენ ტროცკიზმის გზას, რომელიც იბრძვის პარტიის პოლიტიკისა და მოქმედების აშკარა ჩირქის მოცხების მეთოდებით. ტროცკიზმის მხილების შემდეგ მემარჯვენეთა შეცდომები მთავარ საფრთხეს წარმოადგენენ. ასეთივე საფრთხეს წარმოადგენს მემარჯვენე შეცდომებისადმი შემარიგებელი დამოკიდებულება, რომელიც შერიგების შესახებ ტკბილი სიტყვებით პარტიას ეწევა იმავე ოპორტუნისტული ჭაობისაკენ. მემარჯვენეთა ცდებს — გამოიყენონ მერყეობა წვრილბურჟუაზიულ ფენებში და მუშათა კლასის ცალკე ფენებში, უპირისპირდება პროლეტარიატის მტკიცე ნება - სურვილი — „მუშათა და გლეხთა კავშირის განმტკიცება ინდუსტრიალიზაციის გაძლიერების და მრეწველობის იმ დარგების სწრაფი განვითარებით, რომლებიც აკმაყოფილებენ ახალ ნიადაგზე მოწყობილი სოფლის მეურნეობის საწარმოო მოთხოვნილებებს“.

პარტიის ყოველმა წევრმა უნდა შეიგნოს, რომ „სოფლის მეურნეობის განვითარების და მისი რეკონსტრუქციის სიძნელეთა გადალახვა მოითხოვს მემარჯვენე საფრთხის გადაჭრით დაძლევას“. ამიტომ პარტიის ყოველმა წევრმა დიდის ყურადღებით უნდა შეისწავლოს გამოქვეყნებული თეზისები, რომლებშიაც ნათლად არის ჩამოყალიბებული პარტიის პოზიცია გლეხთა საკითხში და რომლებიც გვაძლევენ მემარჯვენე ოპორტუნისტების შეცდომების ანალიზს.

პოზიციების დაპირისპირება პარტიის ყოველ წევრს, ყოველ შეგნებულ მუშას და გლეხს დაარწმუნებს, რომ „მემარჯვენეთა ხაზს მივყევართ კულაკური მონობის გამუდმივებამდე“, მივყევართ „კლასობრივი მტრების წინაშე მუშათა კლასის განიარაღებამდე“, რომ იგი წარმოადგენს ანტი - ლენინურ თეორიას. ამავე დროს თეზისების შინაარსიდან ყველასათვის სავსებით ნათელი გახდება, რომ პარტია მთლიანად შეურყევლად რჩება ლენინიზმის პოზიციებზე და გადაუხვევლად ასრულებს ლენინის ანდერძს იმის შესახებ, რომ მუშათა და გლეხთა კავშირი უზრუნველყოფილ იქნას სოციალისტური ინდუსტრიის განვითარების, ღარიბებზე დაყრდნობის, საშუალო გლეხობასთან დაკავშირების განმტკიცების და კოოპერატიული გეგმის შესრულების საშუალებით.

„პრავდა“, 5 აპრილი.

მთავრობის კრიზისი პოლონეთში გრძელდება

კანდიდატად პრემიერის პოსტზე ასახელებენ პატეკს

8 აპრილს მოსკოვში ჩამოვა პრუსიის ეკონომიური დელეგაცია

მთავრობის კრიზისი პოლონეთში

ვარშავა, 4 აპრილი. მოლაპარაკება კაბინეტის რეკონსტრუქციის შესახებ მეტად საიდუმლოდ სწარმოებს. კულისებში დიდი ბრძოლაა, ერთის მხრივ, პოლკოვნიკთა ჯგუფსა და კონსერვატორებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ — მთავრობასთან თანამშრომლობის მომხრე უპარტიო ბლოკის მემარცხენე ფრთას შორის, რომელიც ეგრედ წოდებულ სამეურნეო წრეებთან შეთანხმებულად მოქმედებს. პირველთა გამარჯვება მოასწავებს სეიმის მიმართ მთავრობის კურსის გამწვავებას, მეორეთა გამარჯვება კი სეიმთან შერიგების ცდას.

სხვა კანდიდატთა შორის პრემიერად ასახელებენ პატეკს. ამ ხმებთან დაკავშირებით, ყურადღების ღირსია ის, რომ პატეკი ვარშავაში ერთი კვირით კიდევ დარჩა.

სხვათა შორის, პოლიტიკურ წრეებში სიმართლედ მიაჩნიათ ის ხმა, რომ მთავრობის რეკონსტრუქციის შემდეგ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმთან დაწესდება ახალი თანამდებობა — ნაციონალურ უმცირესობათა საქმეების მინისტრის თანამდებობა. ამასთან კანდიდატად ამ თანამდებობაზე ვოლინის ვოევოდას უზეფსკის ასახელებენ (ადს).

მთავრობის პრესა კაბინეტის კრიზისის შესახებ

ვარშავა, 4 აპრილი. მთავრობის პრესა ადასტურებს ცნობას მთავრობის კრიზისის შესახებ. იგი კმაყოფილებით და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საკითხი კაბინეტის დანიშვნის შესახებ სწყდება „არა სეიმის დაჯგუფებათა მიერ, არამედ უფრო ავტორიტეტული სახელმწიფო ფაქტორების მიერ“ (ადს).

ლიტვა და მოსკოვის ოქმი

მოსკოვი, 5 აპრილი. 1929 წლის 5 აპრილს ლიტვის ელჩმა მოსკოვში **ბალტრუშაიტისმა** გადასცა საბჭოთა კავშირის მთავრობას აქტი, რომლის თანახმადაც ლიტვა უერთდება მოსკოვის 9 თებერვლის ოქმს. აქტი დამტკიცებულია ლიტვის პრეზიდენტის მიერ (ადს).

საბჭოთა კავშირში მოემგზავრება აღმოსავლეთ პრუსიის დელეგაცია

მოსკოვი, 5 აპრილი. ლენინგრადში მოდის აღმოსავლეთ - პრუსიის დელეგაცია. დელეგაციაში შედიან აღმოსავლეთ პრუსიის ობერ-პრეზიდენტი, ვენისბერგის ობერ-ბურგომისტრი და აღმოსავლეთ-პრუსიის სას.-სამეურნეო პალატის პრეზიდიუმის წევრი. აღმოსავლეთ - პრუსიის სავაჭრო - სამრეწველო პალატის ვიცე-პრეზიდენტი **ლიტონი** პირდაპირ მოსკოვში მოვა. დელეგაციას ახლავენ მრჩეველი **ლომანი**, სას.-სამეურნეო პალატის დირექტორი **ბეკერი** და კენიგსბერგის ბაზრობის კომიტეტის რუსული მაგიდის ხელმძღვანელი **მარკოვი**. დელეგაცია ლენინგრადში ორ დღეს დაჰყოფს, რომლის განმავლობაში მიღებული იქნება საოლქო აღმასკომში და დაათვალიერებს ლენინგრადის სხვადასხვა ეკონომიურ და კულტურულ დაწესებულებებს.

8 აპრილს დილით დელეგაცია მოსკოვში ჩამოვა. (ადს)

ამანულა მედგრად მიიწევს ქაბულისაკენ

ლონდონი, 4 აპრილი. როგორც „დეილი მეილ“-ის ლაგორელი კორესპონდენტი იუწყება, ამანულა მედგრად მიიწევს ქაბულისაკენ. „მორნინგ პოსტ“-ის, „ტაიმს“-ის და „დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტები არ იზიარებენ ამ ამბის სისწორეს. (ადს)

საფრანგეთის კომპარტიის ყრილობა

ამხ. დორიო აღიარებს თავის შეცდომებს

პარიზი, 4 აპრილი. პარტიულ ყრილობაზე ჩრდილოეთის დეპარტამენტის წარმომადგენელმა **ბინტემ** უარჰყო, რომ ჩრდილოეთის ორგანიზაცია შემცდარათ აფასებდა სოციალისტების პოზიციას, და აღიარა, რომ ორგანიზაციამ შეცდომა დაუშვა, როცა საპარლამენტო არჩევნების დროს უარჰყოფდა ტაქტიკას — „კლასი კლასის წინააღმდეგ“.

პარიზის ოლქის ერთ-ერთმა დელეგატმა ანალიზი გაუკეთა პარტიის სოციალურ შემადგენლობას და აღნიშნა, რომ პარტიაში არასაკმაოდ არიან ჩაბმული პროლეტარიატის ყველაზე უფრო გაყვლეფილი მეშრომელი ფენები, რაც ნიადაგს ქმნის მემარჯვენე საფრთხისათვის.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა **დორიო**, რომელმაც განაცხადა, რომ **ის შემცდარი იყო, როცა არ ეთანხმებოდა პარტიულ ხაზს ლილის კონგრესის შემდეგ; კერძოდ, შემცდარი იყო საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებულ ტაქტიკის — „კლასი კლასის წინააღმდეგ“ — შეფასებაში.** დორიომ, აღიარა რა, რომ განხორციელება მისი წინადადების, რომელიც შეეხებოდა კომუნისტური კანდიდატურების მოხსნას „მემარცხენე“ სოციალისტების სასარგებლოდ, ზიანს მოუტანდა პარტიას, სთქვა:

„პარტიულ უმრავლესობას უფლება ჰქონდა ენერგიული ბრძოლა ეწარმოებია ჩემს წინააღმდეგ“-ო.

დორიო აღიარებს თავის შეხედულებათა შემცდარობას მოქმედების კომიტეტების საკითხში, რომელთა შექმნის წინადადება წამოაყენა მან ივრის გაფიცვის დამარცხების ზეგავლენით. იგი საჭიროდ თვლიდა უფრო ფართო მასების მობილიზაციას პარტიათაშორისო ორგანოების საშუალებით, მაგრამ ახლა დარწმუნდა, რომ სწორი იყო პოლიტიკა პარტიის, რომელიც საჭიროდ სთვლიდა მუშაობის ცენტრის გადატანას საწარმოებში და ერთიანი ფრონტის განხორციელებას ქვევიდან.

თავისი შეცდომები დორიოს აღძრა, ერთის მხრივ, სოციალ - დემოკრატების როლმა უკანასკნელ გაფიცვებში და საგაფიცვო მოძრაობის განვითარებამ. მეორე — მემარჯვენეთა ოპორტუნისტულმა როლმა კომინტერნში და შემარიგებლების მავნებლურმა როლმა, მესამე — სოციალ - დემოკრატიის ცდებმა — თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებიათ შინაპარტიული დისკუსია საფრანგეთის კომპარტიაში და, მეოთხე — კარტელ-ხელმძღვანელობის ზეგავლენამ მასთან [illegible].

დორიო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მის შეხედულობებზე დიდი გავლენა მოახდინა საკავშირო კომპარტიაში სერიოზული მემარჯვენე საფრთხის არსებობამ, ვინაიდან მემარჯვენე საფრთხე საკავშირო კომპარტიაში ნიშნავს „პარაჟენცობას“ სოციალისტური მშენებლობის დარგში. დორიო გადაჭრით იმიჯნება კროზეს შეხედულებებისაგან და აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი უფრო ოპტიმისტურად აფასებს საფრანგეთის ეკონომიურ კონიუნქტურას, ვიდრე საფრანგეთის მრეწველები. კროზე საფრანგეთის კაპიტალიზმის განვითარებას აფასებს საერთაშორისო ეკონომიური განვითარებისაგან დამოუკიდებლად. დორიოს აზრით, მემარჯვენე საფრთხის ნამდვილად დაძლევა შეიძლება საფრანგეთის კომპარტიის სოციალური შემადგენლობის შეცვლისათვის ბრძოლის გზით, მუშათა კლასის ყველაზე უფრო გაყვლეფილი ფენების პარტიაში ჩაბმის გზით—მუშათა არისტოკრატიის ხარჯზე.

„**მე ვამჯობინებ,** — განაცხადა დორიომ, — **გულწრფელად ვაღიარო ჩემი შეცდომები, ვიდრე მივბაძო იმათ მაგალითს, ვინც ამჯობინებდა პარტიიდან გასვლას და მასთან ბრძოლას, ვინაიდან მე მინდა ვემსახურო მუშათა კლასსა და პარტიას**“.

მასების აქტიური დახმარებით

ჩვენი მშენებლობის რთული ამოცანების გადაწყვეტას, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური განვითარების გზაზე წამოჭრილი სიძნელეების გადალახვას და მასების ფართოდ ჩაბმას პარტიისა და ხელისუფლების ყოველდღიურ მუშაობაში საგრძნობლად აბრკოლებს სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის მდგომარეობა. საბჭოთა აპარატის მოუხეშაობა, მისი ბიუროკრატიულობა, აპარატში კლასობრივად უცხო ელემენტების შეპარვა, მისწრაფება მასებზე მოწყვეტისაკენ ხშირად იწვევს იმ ძირითად ღონისძიებათა ჩაშლას და თვალსაჩინო დამახინჯებას, რომლებსაც ატარებენ პარტია და ხელისუფლება სამეურნეო და კულტურული ზრდის სფეროში.

ამხ. ლენინისათვის აპარატის გაუმჯობესების საკითხი წარმოადგენდა შეუსუსტებელი ყურადღებისა და განუწყვეტელი ზრუნვის საგანს. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევდა იგი ამ საკითხს ყოველ ახალ ისტორიულ მომენტში, როდესაც ახლად წამოჭრილი ამოცანები ახალ მოთხოვნებს უყენებდნენ პარტიას და სახელმწიფო აპარატს. მით უფრო ეხლა, როდესაც ჩვენ დიდი ნაბიჯები გადავდგით მეურნეობის განსაზოგადოების საქმეში, როდესაც წლითი-წლობით იზრდება მასების აქტივობა, როდესაც მასები თანდათან უფრო ენერგიულად მოითხოვენ უშუალო მონაწილეობას მშენებლობის მთელ სისტემაში,—აპარატის მუშაობაში ძველი, რევოლუციის წინადროინდელი მეთოდების გამოყენების ელემენტები, აპარატის განკერძოების ცდები განსაკუთრებით საგრძნობია და იწვევს მასების სამართლიან უკმაყოფილებას. დღემდე აქტუალურია ამხ. ლენინის მითითება, რომ „ეხლანდელი დროის და მახლობელი წლების უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს საბჭოთა აპარატის სისტემატიური გაუმჯობესება და გაიაფება მისი შემცირებისა და უფრო თანამედროვე ორგანიზაციის საშუალებით, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის მოსპობა და უნაყოფო ხარჯების შემცირება“.

თუ აპარატის შემცირების, ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის განმტკიცების, ზედმეტი ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შეკვეცისა და ბოროტმოქმედებასა და ფლანგვასთან ბრძოლის საქმეში განვლილ პერიოდში მიღებულ იქნა ზოგიერთი წარმატება, სამაგიეროთ მაღლამდგომი ორგანოების ძირითადი დირექტივების გატარების, საბჭოთა მოსამსახურეებს შორის შრომის დისციპლინის მდგომარეობის, დაწესებულებაში მომსვლელთადმი მედიდური, ჩინოვნიკური დამოკიდებულების აღმოფხვრის საქმეში ზოგჯერ ადგილი აქვს მთელ რიგ აღმაშფოთებელ უმსგავსოებას.

ბრძოლა აპარატის ასეთ იარებთან განსაკუთრებით [illegible] მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები ამ უკანასკნელ დროს თვალსაჩინო მუშაობას შეუდგნენ ამ მიმართულებით. მაგრამ აპარატის შესწავლისა და გამოკვლევის ჩვეულებრივი მეთოდებით აქ ბევრი არაფერი გაკეთდება. „შიშველი ხელით ნარს ვერ მოგლეჯს“, ამბობდა ლენინი ერთ-ერთ კონფერენციაზე. შემდეგ: „ეს ომი უფრო ძნელია, ვიდრე სამოქალაქო ომი“, „როდესაც დენიკინს ვეომებოდით, უიარაღოთ როდი მივდიოდით მის წინააღმდეგ, არამედ კარგად ვიარაღდებოდით და არმიებს ვქმნიდით“; „თუ ასე მივუდგებით, ამ ომსაც გავუძლებთ, თუმცა ეს ომი ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე სამოქალაქო ომი“. და ლენინი მთელ რიგ წერილებსა და მოხსენებებში სასტიკად ილაშქრებდა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, იგი მოითხოვდა, რომ ბიუროკრატიზმთან ბრძოლა გვეწარმოებია სამხედრო ხელოვნების წესების მიხედვით, რისთვისაც ამ საქმეში ფართოდ ჩაგვება მასები, მოგვეწყო მათი მუდმივი კონტროლი აპარატზე.

თავის წერილში მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესახებ იგი სწერდა: „...მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ისინი (ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრნი ა. ბ.) ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაკმაყოფილდებიან ასეთი აკადემიური მუშაობით. ამ მუშაობასთან ერთად ისინი უნდა მოემზადონ ისეთი მუშაობისათვის, რომელსაც მე არ მოვერიდები ვუწოდო მზადება იმისათვის, რომ დაიჭირონ თუ არამზადები არა, არამზადების მსგავსი ხალხი მაინც, და გამოიგონონ სხვადასხვა ხერხების თავიანთი ლაშქრობის, მიდგომის და სხვ. დასაფარავად“.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცდას—ათასხუთასი მუშის ფარული ლაშქრობით აპარატის შემოწმებას. ასეთივე ლაშქრობა მოსკოვის მაგალითის მიხედვით მოაწყო თბილისში საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ შაბათს, 30 მარტს. დილის 6 საათზე პროფსაბჭოს მცირე დარბაზში თავი მოიყარა 300 პროლეტარმა თბილისის ძირითად საწარმოებიდან. ამ პროლეტარულ რაზმს ჰყავდა თავისი შტაბი და ჰქონდა თავისი პაროლი, მან მიიღო დაწვრილებითი ინსტრუქციები ლაშქრობის ამოცანების შესახებ; შემდეგ რაზმი დაიშალა ცალკე ობიექტების (70-ზე მეტი საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაცია) მიხედვით და სრულიად ფარულად, დაწესებულებებში ჩვეულებრივ მიმსვლელთა სახით, შეუდგა აპარატის შემოწმებას. ლაშქრობის ამოცანას შეადგენდა იმის გამორკვევა, თუ როგორ მდგომარეობაშია დაწესებულებებში შრომის დისციპლინა და როგორ ეპყრობიან მომსვლელთ. ლაშქრობის შედეგები უაღრესად დიდია. ლაშქრობის მონაწილეებს [illegible] იბეჭდება, ააშკარავებს, რომ მთელ რიგ დაწესებულებებში გამეფებულია სრული უდისციპლინობა, მთელი რიგი, როგორც პასუხისმგებელი, ისე უბრალო თანამშრომელნი არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობენ მშრომელ მასებისა და პროლეტარულ სახელმწიფოს წინაშე. უხეში, უტიფარი მოპყრობა დაწესებულებაში მომსვლელთადმი, მათ კანონიერ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებისადმი, ჯერჯერობით თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ჩვენს დაწესებულებებში. ასეთი ელემენტები აუცილებლად უნდა წარსდგნენ პროლეტარული საზოგადოებრიობის სამსჯავროს წინაშე; მათ მიმართ მუშათა და გლეხთა ინსპექცია გადამჭრელ ზომებს მიიღებს, ბოროტ ბიუროკრატებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ საბჭოთა დაწესებულებებში.

ამ ლაშქრობის მნიშვნელობა იმშიაც მდგომარეობს, რომ იგი უთუოდ აიძულებს ჩვენი საბჭოთა დაწესებულებების ბევრ ხელმძღვანელსა და მოსამსახურეს გამოასწორონ თავიანთი მუშაობა. ამასთან ერთად მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში მასების მოზიდვა ყოველდღიურ პრაქტიკად უნდა იქნას შემოღებული.

დაწესებულებებში გამოაშკარავებული მთელი რიგი უმსგავსოებანი მოწმობენ, რომ ბევრი დაწესებულების ხელმძღვანელი და პარტუჯრედი მეტად სუსტ მუშაობას აწარმოებენ ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საქმეში. ლენინი არაერთხელ აღნიშნავდა, რომ კომუნისტები ყველაზე უფრო პასუხისმგებელნი არიან აპარატის მდგომარეობისათვის. „ყველაზე ცუდია ჩვენი შინაური მტერი, სწერდა იგი, ის კომუნისტია, რომელსაც უჭირავს საპასუხისმგებლო (შემდეგ კი არა საპასუხისმგებლოც) საბჭოთა პოსტი, რომელიც საყოველთაო პატივისცემით სარგებლობს, როგორც კეთილსინდისიერი კაცი, მაგრამ ვერ შეჩვევია ბრძოლას საქმის გაჭიანურებასთან, ვერ ებრძვის მას, ფარავს მას. ეს მტერი ჩვენ აუცილებლად უნდა მოვიშოროთ, შეგნებული მუშებისა და გლეხების დახმარებით ჩვენ აუცილებლად მივაგნებთ მას. ამ მტრის წინააღმდეგ, ამ ობლომოვისებური სიზარმაცის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი უპარტიო მუშურ-გლეხური მასა გაჰყვება კომუნისტური პარტიის მოწინავე რაზმს. ამ მხრივ არავითარ მერყეობას ადგილი არ ექნება“. (ტომი 18, ნაწ. II).

ეს სიტყვები და მუშების ის წერილები, რომლებიც დღეს იბეჭდება უნდა შეიგნოს და შეისწავლოს საბჭოთა დაწესებულებაში მომუშავე ყოველმა კომუნისტმა.

პარტიისა და აპარატის მომავალი წმენდა იქნება გენერალური შემოწმება კომუნისტებისა მთელი საზოგადოებრიობის მუშაობისა ჩვენი აპარატის ბიუროკრატიული იარების აღმოფხვრის საქმეში.

ა. გოლდბაუმი.

პრესა ინგლის-იტალიის დაახლოვების შესახებ

პარიზი, 4 აპრილი. ოფიციოზურ წერილებში ანვითარებენ იმ აზრს, რომ ინგლის-იტალიის დაახლოვებას ინგლის - საფრანგეთის ბლოკის ძალის დაურღვევლად შეუძლია დააჩქაროს საფრანგეთ - იტალიის შეთანხმება სადაო საკითხებში და გამოიწვიოს სამი სახელმწიფოს ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის შეთანხმების განხორციელება.

მემარცხენე გაზეთები იხსენებენ საფრანგეთ იტალიის წინააღმდეგობის სიძლიერეს და გამოსთქვამენ შიშს, რომ ინგლისს კვლავ შეუძლია დაუახლოვდეს იტალიას საფრანგეთის სპეციალური ინტერესების ხარჯზეო (ადს).

რაზე ოცნებობს დე-ჟიუვენელი

„ევროპის ერთიანი ფრონტი საბჭოების წინააღმდეგ“

ბერლინი, 4 აპრილი. გერმანიის მძიმე მრეწველობის ორგანოში — „ბერგვერკსცეიტუნგ“-ში გამოქვეყნებულია ფრანგ სენატორის დე-ჟიუვენელის წერილი სათაურით— „ევროპის ერთიანი ფრონტი საბჭოების წინააღმდეგ“.

დე-ჟიუვენელი ეხება რა გერმანიის პოზიციას საბჭოთა კავშირის მიმართ, სწერს:

„დანაშაულია, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს დღემდე არ შეუგნიათ რუსების მიმართ ერთნაირი პოლიტიკის საჭიროება. ადრე თუ გვიან საბჭოთა მთავრობა უნდა დაემხოს და მაშინ გამოირკვევა საერთო პოლიტიკის უპირატესობა. თუგინდ მხოლოდ ამიტომ ევროპიულმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ და ერიდონ, რომ ისინი ცალკ-ცალკე არ იქნენ გამოყენებული რუსეთის პოლიტიკის ინტერესებისათვის“.

ამასთან დაკავშირებით დე - ჟიუვენელი მწუხარებას გამოსთქვამს გერმანიის პოლიტიკის გამო, რომელმაც 1926 წ. დიდი კრედიტები მისცა საბჭოთა კავშირს და სწერს:

„რაპალოს ხელშეკრულების შემდეგ გერმანია მუდამ ცდილობდა — შუამავალი ყოფილიყო ერთა ლიგასა და საბჭოთა სახელმწიფოს შორის ისე, რომ არჩევანი არ გაეკეთებია ლიგასა და საბჭოთა კავშირს შორის. გერმანიას სურს გამოიყენოს თავისი გეოგრაფიული მდგომარეობა, მას სურს გასავალი გაიხსნას აღმოსავლეთში, თუ გზა დასავლეთისკენ დაკეტილი იქნება. იგი ცდილობს აგრეთვე მეზობელ რუსეთის საშუალებით ერთგვარი გავლენა მოახდინოს დასავლეთის დანარჩენ სახელმწიფოებზე. გერმანიის აშკარად გამოხატული სიმპატია საბჭოთა კავშირის მიმართ მჟღავნდება აგრეთვე ერთა ლიგაში, რომელშიც წლიდან წლამდე უფრო და უფრო ძნელი ხდება ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღება რუსეთის შესახებ. ვინაიდან ერთა ლიგაში შემავალ ერთ-ერთ სახელმწიფოს დამოუკიდებელი ურთიერთობა აქვს საბჭოთა მთავრობასთან. ეს სიძნელე ამტკიცებს ბოლშევიზმის მიმართ მტკიცე ფრონტით გამოსვლის აუცილებლობას. გერმანიის ორიენტაციის საფუძვლიანად გადასინჯვა ისეთსავე სარგებლობას მოუტანს თვით გერმანიას, როგორსაც დანარჩენ ევროპას“.

დასასრულ დე - ჟიუვენელი სწერს:

„შორს აღარ არის ის დღე, როცა დასავლეთის სახელმწიფოები იძულებულნი იქნებიან გადასწყვიტონ, თუ რამდენად შეუძლიათ მათ კიდევ თანამშრომლობა რუსეთის მთავრობასთან, ვინაიდან რუსეთს არ შეუძლია განთავისუფლება თავისი უაზრო ექსპერიმენტისაგან“.

დე - ჟიუვენელის წერილს დართული აქვს სარედაქციო შენიშვნა, რომელშიც ნათქვამია:

„დე-ჟიუვენელის მოსაზრებები განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან გვიჩვენებენ, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას აძლევენ საფრანგეთში გერმანიის ჩაბმას ერთიან ფრონტში საბჭოთა კავშირის მიმართ. ავტორი მხოლოდ იმის თქმას ივიწყებს, თუ რა უპირატესობის მიცემა შეუძლია და სურთ გერმანიისთვის იმ პოლიტიკაზე უარის თქმისათვის, რომელსაც იგი დღემდე ატარებდა“?

პროფ. სამოილოვიჩის დაჯილდოვება

ბერლინი, 4 აპრილი. გერმანული მეცნიერების განვითარების ხელის შემწყობმა საზოგადოებამ პროფესორ სამოილოვიჩს მიართვა გერმანიის ატლანტიური ექსპედიციის (რომელიც მოგზაურობდა საგამომკვლევო გემით „მოტორ“-ით) პატივსაცემად დამზადებული მედალი. როცა სამოილოვიჩს მედალი გადასცეს, საზოგადოების თავმჯდომარემ, პროფესორმა შმიდტმა გამოსთქვა რწმენა, რომ გერმანიისა და საბჭოთა მეცნიერების შეთანხმებული მუშაობა მომავალში იწარმოებს ურთიერთი გაგების პირობებში, და ხელს შეუწყობს შემდგომ მეგობრულ დაახლოვებასო. (ადს).

ამერიკელი რეფორმისტები საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. ამერიკის შრომის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილემ საგარეო საქმეთა მინისტრს სტიმსონს მიმართა წერილით, რომელშიც სასტიკად ილაშქრებს სენატორ ბორასა და საბჭოთა კავშირის ცნობის სხვა მომხრეთა წინააღმდეგ. ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე მოაგონებს სტიმსონს, რომ ამერიკის შრომის ფედერაცია საბჭოთა კავშირის ცნობის წინააღმდეგია.

გერმანიის პრესა ლერონის დანიშვნის შესახებ

ბერლინი, 4 აპრილი. ბერლინის გაზეთებს გაცხოველებული მსჯელობა აქვთ დანციგის გემთსაშენის საერთაშორისო სააქციო საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ გენერალ ლერონის არჩევის შესახებ. „ბერლინერ ტაგებლატ“-ი სწერს, რომ ლერონის არჩევა წარმოადგენს არამეგობრულ ნაბიჯს გერმანიის მიმართ და ახალ მუქარას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

„საბოლოოდ დამარცხებული ცდები“

ბერლინი, 4 აპრილი. ვოლფის სააგენტოს მოსკოველი კორესპონდენტი იუწყება, რომ ვარშავაში გავლის დროს მას საუბარი ჰქონდა ლატვიის დიპლომატიის თვალსაჩინო წარმომადგენელთან, რომელსაც მისცა შეკითხვა: ექნება თუ არა პოლონეთისა და ლატვიის მიერ მოსკოვის ოქმის ერთად ხელის მოწერას განსაკუთრებული მნიშვნელობა პოლონეთ-ლატვიის ურთიერთობისათვის და შეიძლება თუ არა ეს გარემოება გადაიქცეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული ბლოკის შექმნის საშუალებათ.

ლატვიელმა დიპლომატმა განაცხადა: „**8 წლის განმავლობაში სწარმოებდა მუშაობა ასეთ ურთიერთობათა შესაქმნელად, მაგრამ ეხლა მე აშკარად უნდა გითხრათ, რომ ეს ცდები საბოლოოდ დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს**“.

ფეიქრების გაფიცვა

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. ქალაქ პასტანიაში, ჩრდილოეთ კაროლინას შტატში, გრძელდება 1.500 ფეიქრის გაფიცვა. გაფიცვის ხელმძღვანელობს ფეიქართა რევოლიუციონური პროფკავშირი. გაფიცვის ჩასაშლელად ჯარი ფანტავს საგაფიცვო პიკეტებს და აპატიმრებს გაფიცულებს. სამხრეთ კაროლინის ფეიქართა საგაფიცვო მოძრაობა ფართოვდება. გაფიცულია 5.000 ფეიქარზე მეტი. ექვსი საფეიქრო ქარხანა დაიხურა. გაფიცულები პროტესტს აცხადებენ კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ. (ადს).

ფინ-იუი-სიანის პოზიცია

პეიპინი, 4 აპრილი. ჰოვენის სააგენტოს ცნობით, ფინ-იუი-სიანმა უბრძანა გენერალ ლიუ-ჩენ-ხუას—თავის ჯარით მიიღოს მონაწილეობა დამსჯელ ექსპედიციაში გუანსის წინააღმდეგ. ამის გამო ლიუ-ჩენ-ხუამ მიმართა ჩან-კაი-შის წარმომადგენელს პეიპინში თხოვნით—დაუთმოს მას ექვსი მატარებელი ხენანის პროვინციაში ჯარის გადასაგზავნად.

თურქ ქალების ბრძოლა

სტამბოლი, 4 აპრილი. თამბაქოს ფაბრიკების კავშირის საერთო კრებაზე მუშა-ქალებმა წამოაყენეს მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მათი ხელფასი გათანასწორებულ იქნას მუშა მამაკაცების ხელფასთან. კრებამ აირჩია დელეგაცია, რომელსაც მიენდო პირველ მაისისათვის მიტინგის მოწყობის ნებართვის მიღება; მანვე უნდა იზრუნოს რვა საათის სამუშაო დღის შემოღებისა, მუშათა ცხოვრების დაზღვევისა, მუშა-ქალების უფლებათა უზრუნველყოფისათვის (მშობიარობისა და ავადმყოფობის დროს), გაფიცვის უფლებების აღიარებისა და მუშათა საერთაშორისო კონგრესებზე მონაწილეობის მიღებისთვის. გაზეთი „ხაკიმიეტ მილიე“ ეხება ამ მოთხოვნებს და „გაბედულ მოთხოვნებს“ უწოდებს მათ. (ადს).

უცხოეთის ფირმები

მოსკოვი, 5 აპრილი. „გოსმაშინტრესტ“-მა წარსულ წელს გერმანიის მანქანათმშენებელ ფირმასთან „მან რიდინგერ“-თან დასდო ხელშეკრულება ტექნიკური დახმარების შესახებ. ეხლა ტრესტმა ჯამი გაუკეთა ამ ფირმასთან თანამშრომლობის შედეგებს. იმის მეოხებით, რომ ჩვენი ინჟინერები გაეცნენ სამაცივარო მანქანათმშენებლობის საქმის დაყენებას გერმანიაში, „მაშინოტრესტ“-მა გამოუშვა 1.600.000 მან. მანქანები, ე. ი. ერთი წლის განმავლობაში ერთი-ორად გაადიდა პროდუქცია. სამაცივარო მანქანების თვითღირებულება საგრძნობლად შემცირდა (ადს).

კაპიტალური ხარჯები

მოსკოვი, 5 აპრილი. საკავშირო ს. მ. ე. საბჭოს მეხუთე პლენუმმა დაადგინა—კაპიტალური ხარჯები ხუთი წლის განმავლობაში გაადიდოს 1,5 მილიარდი მანეთით, აქედან გეოლოგიური და სამეცნიერო-საგამომკვლევო მუშაობას მოხმარდება 325 მილიონი მან., რესპუბლიკების მრეწველობას—325 მილიონი მანეთი, საბინაო მშენებლობას და მუშების კულტურულ-ყოფაცხოვრების გაუმჯობესებას—300 მილიონი მანეთი. (ადს).

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქ. კომპარტიის ცეკას და ც. ს. კომისიის პლენუმი

გუშინ, საქართველოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში, გაიხსნა საქართველოს კომპარტიის ცეკასა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი. პლენუმმა მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: 1) მიწადმოწყობისა და მიწადსარგებლობის შესახებ; 2) დარაიონების შესახებ; 3) პარტიის წმენდა და 4) დელეგატის არჩევა მეთექვსმეტე საკავშირო პარტკონფერენციისათვის.

პირველ კითხვაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ჟულელმა და თანამომხსენება ამხ. არუთინოვმა.

დაწყებულ კამათში გამოვიდნენ ამხ. ფ. მახარაძე, ურუშაძე, ხუბულური და ცაგარელი.

დღეს დილის სხდომაზე გაგრძელდება კამათი.

უკანასკნელი ცნობები

ტრაგიკული ინციდენტი პოლონეთში

ვარშავა, 5 აპრილი. ბარანოვიჩში ტრაგიკული ინციდენტი მოხდა. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (ბერლინში) თანამშრომელმა ივანე აპანასევიჩმა, რომელიც ბერლინიდან მოსკოვში ბრუნდებოდა თავისი ცოლით, ბარანოვიჩის საპოლიციო უბანში რევოლვერის ტყვიით მოჰკლა გოროდოვოი და მძიმედ დასჭრა ბარანოვიჩის სტაროსტატის პოლიციის მოხელე. ამის შემდეგ აპანასევიჩი რევოლვერით შეეცადა თავის მოკვლას. აპანასევიჩი საავადმყოფოშია მოთავსებული. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ელის. დაწვრილებითი ცნობები არ არის გამორკვეული. აპანასევიჩი ბარანოვიჩში შეჩერდა ოჯახის სანახავად, რომელიც ცხოვრობდა სოფელში ბარანოვიჩის მახლობლად. ფიქრობენ, რომ ნორმალურ მდგომარეობაში არ იყო, როცა მკვლელობა ჩაიდინა. ამ აზრს იზიარებს პოლონეთის ხელისუფლებაც. საბჭოთა კონსული ვარშავაში მახოვი გაემგზავრა ტრაგიკული შემთხვევის ადგილას. (ადს).

დაწვრილებითი ცნობები ინციდენტის შესახებ

ვარშავა, 5 აპრილი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„დამატებითი ცნობების მისაღებათ სააგენტომ მიმართა ოფიციალურ წრეებს, საიდანაც მიიღო შემდეგი პასუხი:

2 აპრილს ბარანოვიჩში შეჩერდა თავისი ცოლით საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის (ბერლინში) მოსამსახურე აპანასევიჩი. იგი თავის ძმასთან გაემგზავრა სოფელ მალა კოლპენიცაში. იქიდან აპანასევიჩი მივიდა საპოლიციო პოსტზე სოფელ შოლოვიჩში და იქ განაცხადა, თითქოს მზადდება მასზე თავდასხმა. პოსტის კომენდანტმა ამის შესახებ აცნობა პოლიციის ხელისუფლებას ბარანოვიჩში. აპანასევიჩი, პოლიციელების თანხლებით, მისი სურვილის თანახმად, გაემგზავრა ბარანოვიჩში რკინის გზის საპოლიციო პოსტზე, სადაც განიმეორა თავისი განცხადება და სთხოვა პოლიციას დახმარება. ბარანოვიჩის ვიცე-სტაროსტამ აპანასევიჩს მისცა წინადადება ღამე გაეტარებია სასტუმროში, სადაც მას დაიცავდა პოლიცია, მაგრამ აპანასევიჩმა სთხოვა დაერთოთ ნება, რომ მას ღამე გაეტარებია საპოლიციო პოსტზე, სადაც თავს გრძნობდა უშიშრად და სტაროსტას მისცა წერილობითი თხოვნა. სათანადო ნებართვა მას მისცეს და აპანასევიჩმა დამშვიდებულად გაატარა ღამე საპოლიციო პოსტზე.

3 აპრილს დილით სადგურზე მივიდნენ საოლქო ექიმი და დამცველი პოლიციის მოხელე კუზნარკოვსკი, რომლებსაც უნდა გაეადვილებინათ აპანასევიჩისათვის საბჭოთა კავშირში გამგზავრება. მცირე საუბრის შემდეგ ექიმმა დასტოვა ოთახი, რომელშიაც იმყოფებოდნენ აპანასევიჩი ცოლით, კუზნარკოვსკი და მორიგე პოლიციელი. როცა კუზნარკოვსკი მივიდა ტელეფონთან და ხელში აიღო ტელეფონის მილი, აპანასევიჩმა ამოიღო რევოლვერი და სამი ტყვიით დასჭრა კუზნარკოვსკი და პოლიციელი. ამის შემდეგ თვითონ სამჯერ დაიხალა რევოლვერის ტყვია. პოლიციელი გარდაიცვალა. კუზნარკოვსკი ძალიან სერიოზულად არის დაჭრილი. აპანასევიჩი მეტად მსუბუქადაა დაჭრილი და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ელის. გამომძიებლის ორდერით, აპანასევიჩის ცოლი დაკავებულია და გამომძიებლის განკარგულებაში იმყოფება. სწარმოებს ენერგიული გამოძიება, რომელსაც ხელმძღვანელობს პირველი ინსტანციის სასამართლოს პროკურორი ნოვოგრუდკში. (ადს).

გუანსიელის ჯარის ევაკუაცია ხანკოუდან

შანხაი, 5 აპრილი. ხანკოუში დაიწყო გუანსიელების ჯარის ევაკუაცია. მოსახლეობაში დიდი პანიკაა. მრავალი ათასი მოსახლე სტოვებს ქალაქის ჩინეთის ნაწილს და გადადის უცხოეთის კონცესიების ტერიტორიაზე, რომელთა ხელისუფლებამ მიიღო ზომები გუანსიელების უკან დახეული ჯარების მოსალოდნელი შეჭრის წინააღმდეგ. უცხოეთის კონცესიების საზღვრებზე მოწყობილია ბარიკადები და მავთულის ხლართები. ქალაქში შექმნილია წესრიგის დამცველი კომიტეტი. ეს კომიტეტი იარსებებს ნანკინელების მოსვლამდე, რომლებსაც გადაეცემა ქალაქი. ხმები დადის, რომ მალე ჩამოვა ჩან კაი-ში. (ადს).

გუანსიელების ჯგუფის დაშლა

შანხაი, 5 აპრილი. გუანსიელების ჯგუფის რიგებში ხანკოუში სრული არევ-დარევაა. ბევრი მათგანი სცდილობს შექმნას თავისი დამოუკიდებელი ხუბეის ჯგუფი. მთელი რიგი სამხედრო მოღვაწეები, რომლებიც წინედ გუანსიელებთან იყვნენ დაკავშირებულნი, ნეიტრალიტეტს იცავენ და მათ თავიანთი ჯარები მიჰყავთ ხუნანის პროვინციაში. უკანასკნელი ცნობებით, გუანსიელების ჯარების შტაბის ხელმძღვანელები გაიქცნენ. ქალაქში სამხედრო [illegible]. ხუნანის გარნიზონის უფროსი ხუ ცზუნდო გადადგა. ფრონტზე დაიწყო გუანსიელების ჯარების საერთო უკან დახევა, რომელიც ძალიან უწესრიგოდ ხდება. ზოგიერთი ცნობებით, გუანსიელები სცდილობენ დარაზმონ უკანდახეული ჯარები და თავი მოუყარონ მათ ხუბეი-ხუნანის საზღვარზე. (ადს).

საფრანგეთის პრესა ინგლისელ მრეწველთა დელეგაციის შესახებ

პარიზი, 5 აპრილი. საფრანგეთის გაზეთების უმრავლესობა დიდის ყურადღებით ადევნებს თვალს მოსკოვის ცნობებს ინგლისის დელეგაციის მუშაობის შესახებ, აქვეყნებს აგრეთვე ლონდონის ცნობებს იმ პრაქტიკული შედეგების შესახებ, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ დელეგაციის გამგზავრებას. მაგრამ პარიზის ცალკე გავლენიანი გაზეთები ავრცელებენ ხმებს, რომ სრული მარცხით დამთავრდა ინგლისელი მრეწველების მისიაო. (ადს).

ამერიკის მთავრობა წინააღმდეგია ნავთის მრეწველთა შეთანხმების

ნიუ-იორკი, 4 აპრილი. ინგლისისა და ამერიკის ნავთის მრეწველებს შორის მომხდარი შეთანხმება იმის შესახებ, რომ განსაზღვრულ იქნას ნავთის ამოღება ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში და ლათინურ ამერიკაში, არ შეიძლება განხორციელებულ იქნას, რადგან შტატების მთავრობამ მოულოდნელად ამ შეთანხმების წინააღმდეგ წავიდა. (ადს).

ზეიპელის გადადგომის გამო.

ვენა, 4 აპრილი. ავსტრიის ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ წრეებში ზეიპელის გადადგომა გადაწყვეტილად მიაჩნიათ. ხსენებული წრეების აზრით, მახლობელი პერსპექტივები ასეთია: დღევანდელი კოალიცია რჩება, მაგრამ ახალ ბაზისზე, შეცვლილი პროგრამით“.

აფეთქება მაღაროში

პარიზი, 4 აპრილი. მონსის რაიონში (ბელგია) მოხდა აფეთქება მაღაროში. მოკვდა ექვსი კაცი, დაშავდა სამი (ადს).

შტრეზემანის დაბრუნება

ბერლინი, 4 აპრილი. შტრეზემანი ბერლინში დაბრუნდა. (ადს).

კომუნისტების დევნა

სტამბოლი, 4 აპრილი. სმირნაში დააპატიმრეს კომუნისტები, რომელთაც კომუნისტური პროკლამაციების გავრცელებას აბრალებენ. ამასთან დაკავშირებით დაპატიმრებული იქნა და სმირნაში გაიგზავნა კომისიონერი ნიკოლი, რომელსაც ვითომ კავშირი ჰქონდა კომუნისტებთან. სმირნის ორგანიზაციის მეთაურად გაზეთები დურგალ ქერიმს ასახელებენ და ამტკიცებენ, რომ დაკითხვის დროს დაპატიმრებულნი გამოტყდნენო. (ადს).

სპარსეთის ფლოტის ორგანიზაცია

თეირანი, 4 აპრილი. იტალიელმა საზღვაო ოფიცერმა დოლპრატომ, რომელიც სპარსეთის მთავრობის სამსახურში იმყოფება, წარმოადგინა სპარსეთის ფლოტის მოწყობის პროექტი. ფლოტში იქნება 6 გემი: 4—სპარსეთის ყურეში, ხოლო ორი—კასპიის ზღვაზე. (ადს).

ბაქოს ბაზრობაზე ჩამოვიდნენ სპარსელი ვაჭრები

ბაქო, 4 აპრილი. 4 აპრილს მოსკოვიდან ვილან და ასხაბადიდან მოვიდა 22 სპარსელი ვაჭარი ბაქოსბაზრობაზე მონაწილეობის მისაღებად. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საბჭოთა ყალბი საბუთების მკეთებელთა საქმე

განზრახვა აქვთ საქმე მიაფუჩეჩონ

მოსკოვი, 5 აპრილი. „იზვესტია“-ს ბერლინელი კორესპონდენტი იტყობინება:

ბერლინის პროკურატურას ისე მიჰყავს საქმე, რომ სურს ორლოვისა და მისი ჯგუფის ბოროტმოქმედებას უბრალო აფიორის სახე მისცეს. ამ მიზნით, პროკურატურა უარს ამბობს წინასწარი კვლევა - ძიების მოწყობაზე, ამავე დროს იგივე პროკურატურა ყოველივე ზომებს ღებულობს, რაც შეიძლება ჩქარა მოხდეს ბრალდებულთა გასამართლება.

გაზეთი „ველტ ამ აბენდ“ სწერს, რომ საბჭოთა ყალბი დოკუმენტების დამამზადებელთა მომავალი პროცესი უბრალო ფორმალობა იქნება.

საქმე უკვე ისეა მოჩახრაკებული პროკურატურის მიერ, რომ დამნაშავეებს შესაძლებელია აცდეს ღირსეული სასჯელი.

პარაფინის ქარხანა ბათომში

მოსკოვი, 5 აპრილი. სამთო სათბობი მასალის მთავარ სამმართველომ წინადადება მისცა აზნავთსა და გროზნავთს, რაც შეიძლება მოკლე ხნის განმავლობაში დაამუშაონ პარაფინის ქარხნების ასაგები გეგმები. მთავარ სამმართველოს აზრით პარაფინის ახალი ქარხანა უნდა აგებულ იქნას ბათომში. ქარხნის წლიური პროდუქცია უნდა უდრიდეს 10.000 ტონას წელიწადში იმ ვარაუდით, რომ, საჭიროების დროს, ქარხანამ შესძლოს 20.000 ტონა პარაფინის დამზადებაც. პარაფინი დამზადებულ იქნება სურახანის ნავთობისაგან.

პროვინციალური გაზეთების რედაქტორთა თათბირი

მოსკოვი, 5 აპრილი. გუშინ საკავშირო კომპარტიის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების ინიციატივით აქ გაიხსნა პროვინციალური გაზეთების რედაქტორთა თათბირი. თათბირი გახსნა ცეკას აგიტპროპბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგის მოადგილემ — ამხ. ინგულოვმა.

ამხ. კოსიორმა გააკეთა შემდეგი მოხსენება: „მრეწველობის ამოცანები და ბეჭდვითი სიტყვა“. მომხსენებელმა თათბირის მონაწილეთა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია შრომის დისციპლინის და ნაყოფიერების განმტკიცების საკითხებს, ცალკე შეჩერდა წარმოების პროდუქციის თვითღირებულების დაკლების საკითხზე.

თათბირზე გამოსული სამეურნეო მუშაკები აღნიშნავდნენ, რომ გაზეთები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მრეწველობის მიმდინარე საჭირბოროტო საკითხების გაშუქებას. ძალიან ცოტა ადგილი ეთმობა ბრძოლას შრომის დისციპლინის დარღვევის კონკრეტულ აღმაშფოთებელ შემთხვევების წინააღმდეგ.

„სააღდგომო“ ნამცხვრების წინააღმდეგ

მოსკოვი, 5 აპრილი. „ცენტროსოიუზმა“ მოწოდებით მიმართა ყველა ადგილობრივ კოოპერატივს, რომ მათ ეგრედწოდებულ აღდგომის დღეებში არ გამოაცხონ კულიჩები და პასკები. პურის გამომცხობი მუშები ერთხმად იწონებენ „ცენტროსოიუზი“-ს ინიციატივას. მოსკოვის დიდ კოოპერატიულ გაერთიანების „კომუნარი“-ს მუშაკებმა უარი განაცხადეს „აღდგომის“ დღეებში სპეციალურ ტრადიციულ პროდუქტებით ვაჭრობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის მუშების ლაშქრობა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ

ლაშქრობამ აღმოაჩინა მთელი რიგი აღმაშფოთებელი უწესობისა, რომლებიც გახურებული შანთით უნდა ამოიდაღოს ჩვენი დაწესებულებებიდან.

მოქალაქეებს უხეშად ეპყრობიან.--თანამშრომლები გვიან ცხადდებიან სამსახურში.--სამუშაო საათების დიდი რაოდენობა კერძო საქმეებსა და მასლაათში იკარგება.--უბრალო ცნობის მიღებას ხშირად რამდენიმე დღე სჭირდება.--დაწესებულების ხელმძღვანელ მუშაკთა ნახვა ზოგან დიდ სიძნელეს წარმოადგენს.--დაწესებულებებში ბევრგან მოკალათებული არიან უცხო ელემენტები.--მასების აქტიური დახმარებით გავაჯანსაღოთ საბჭოთა აპარატი.

განათლების სახკომისარიატში

განათლების სახ. კომისარიატის ადმინისტრაციის ბრძოლა თანამშრომელთა დაგვიანების წინააღმდეგ წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებს. დაგვიანების რეგისტრაციას და კონტროლს არა სანდო პირებს ანდობენ. ასე, მაგალითად, გამოირკვა, რომ განათლების სახ. კომისარიატის თანამშრომელმა ამხ. **პერიაშვილმა**, რომელსაც ლაშქრობის დღეს, ე. ი. 30 აპრილს ჰქონდა მინდობილი ყველა დამგვიანებულის რეგისტრაცია, თანამშრომელთა მოსვლის საათები საკონტროლო წიგნში ჩასწერა პირადი შეხედულებით, როგორც ეს უკანასკნელებისათვის ხელსაყრელი იყო. პროტექციონიზმი ამ საქმეშიაც იჩენს თავს. თანამშრომელთა დიდი რიცხვიდან, რომლებმაც ამ დღეს დაიგვიანეს, სიაში შეტანილია მხოლოდ 6 კაცი (მაქსიმალური დაგვიანებით 15 წუთი,—ჩაწერილია ერთი, 10 წ.—ერთი და 5 წ.—ოთხი). მაშინ როდესაც, მაგალითად, **ჟორდანიას ქალი** გამოცხადდა 9 ს. 14 წ., მაგრამ „ლამაზი ქალის" (თვით პერიაშვილის თქმით) თხოვნამ იმოქმედა მასზე და მან საკონტროლო წიგნში აღნიშნა 9 საათი და სხ.

განყოფილების გამგები თავის თანამშრომლებზე ნაკლებ არ იგვიანებენ. ასე, მაგალითად, ამხ. **ცხაკაია** გამოცხადდა 9 ს. 12 წ., მაგრამ არც კი შეუხედია თავის განყოფილებაში და სადღაც წავიდა. საქმეთა მმართველი **მიქაბერიძე**, როგორც სჩანს ავადმყოფობის გამო, სამსახურში მოდის 11 საათზე არა უადრეს. 11 საათამდე ეროვნულ უმცირესობათა განყოფილებაში არც ერთი თანამშრომელი არ იყო. თუმცა ადგილკომის თანამშრომელი გამოცხადდა 9 საათ. 10 წუთზე, მაგრამ იგი მთელი დღე არ ყოფილა ადგილკომში. მთავლიტში თანამშრომელთა დაგვიანება, მთავლიტის საქმის მწარმოებლის განმარტებით (რომელიც თვითონ გამოცხადდა 9 ს. 15 წ.), ჩვეულებრივი მოვლენაა, რაც აიხსნება მით, რომ „თანამშრომლებს სახლში მიაქვთ სამუშაო"-ო.

განათლების სახ. კომისარიატში ადგილი აქვს თანამშრომელთა არა მარტო დილით დაგვიანებას, არამედ სამსახურიდან ადრე წასვლასაც. გამოკვლევამ გამოააშკარავა, რომ ლაშქრობის დღეს (შაბათს) განათლების სახ. კომისარიატის ბევრი თანამშრომელთაგანი 2 საათამდე წავიდა სამსახურიდან და აღარ დაბრუნებულა.

განათლების სახ. კომისარიატის ადმინისტრაცია არავითარ პრაქტიკულ ზომებს არ იღებს ასეთი მოვლენების წინააღმდეგ. ამას ადასტურებენ თვით განათლების სახ. კომისარიატის თანამშრომლები.

შრომის დისციპლინის საერთო მდგომარეობა სამსახურის დროს არ არის დამაკმაყოფილებელი. შენიშნულია, რომ მუშაობა დილის 10 საათამდე განათლების სახ. კომისარიატის ნაწილებში არ შედის ნორმაში. თანამშრომელ-ქალთა ნაწილი ტუალეტს ანდომებს ამ დროს, ზოგიერთი თანამშრომელი ბუფეტში გარბის, ბევრი გაზეთის კითხვაშია გართული და ზოგი ჩაის შეექცევა. სამუშაოს გაცდენას და უსაქმობას 10 საათის შემდეგაც აქვს ადგილი. მაგალითად, ლაშქრობის დღეს ამხ. **კალაძე** მთელი საათის განმავლობაში ესაუბრებოდა ვიღაც ქალს კორიდორში. ამ ხნის განმავლობაში მისი განყოფილება ცარიელ იყო. თანამშრომლებით სავსე იყო ბუფეტი და სხ.

ცუდად არის დაყენებული საქმეზე მისულთა მიღების საქმე. განათლების სახ. კომისრის მოადგილე დაწესებულებაში მოვიდა 12 საათზე. მას უცდიდა მოქ. მინინა. ამ უკანასკნელის განცხადებით, მან სამი დღე უცადა გან. სახ. კომისრის მოადგილეს. ამ დღესაც, მიუხედავად თხოვნისა, იგი არ მიიღო არც კომისარის მოადგილემ და არც მისმა მდივანმა.

რომელიღაც მუშა ამავე დღეს უცდიდა განათლების სახ. კომისარიატის ინჟინერს (გვარი ვერ გამოვარკვიეთ). ეს მუშა სამჯერ შევიდა ინჟინერთან კაბინეტში, მაგრამ ამ უკანასკნელმა არც ერთხელ არ მიიღო და ეუბნებოდა მომიცადეო, მაშინ როდესაც ინჟინერი კერძო საუბარში იყო გართული ვიღაც პირთან. მუშას ფული ჰქონდა მისაღები მუშაობისათვის.



11 საათზე ზოგიერთ დაწესებულებაში

ამხ. გურგენიძის კაბინეტთან თავმოყრილი იყო მრავალი საქმეზე მოსული, კაბინეტში კი სხდომა სწარმოებდა. რამდენიმე საათი უცადეს ამ სხდომის დამთავრებას.

ცნობის მიცემაც განცხადებების საშუალებით არადამაკმაყოფილებელია. მაჩვენებელი დაფა ძნელად შესამჩნევ ადგილზეა გამოკრული. წარწერები ოთახების კარებზე ძნელი გასარჩევია. ზოგ ოთახს წარწერა არც კი აქვს. არ არის მიმართულების მაჩვენებელი და სხ.

არ არის საჩივართა ყუთი. მოწყობილი არ არის ცოცხალი ცნობის მიწოდება და წერილობითი დახმარება საქმეზე მოსულთათვის. კარიდორებში არ სდგას ბაკები სასმელი წყალით.

განათლების სახ. კომისარიატში ადგილი აქვს ყოვლად დაუშვებელ მოვლენას: აპარატის თანამშრომლები პირადი საჭიროებისათვის იყენებენ დაბალი ტეხნიკური პერსონალის თანამშრომლებს. ამ უკანასკნელთ ისინი აყიდვინებენ პაპიროსს, ნამცხვრებს, გზავნიან ჩაის მოსატანად და ს. ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი შემთხვევა: განათლების სახალხო კომისარიატის თანამშრომელმა **ნაცვლიშვილმა** ბატონური ტონით უბრძანა შიკრიკს: „აბა, ჩქარა წადი, მომიტანე პაპიროსი"-ო. და ბრძანება მართლაც შესრულებულ იქნა.

ბევრი თანამშრომელი განათლების სახ. კომისარიატში ზერელედ ეკიდება საქმეზე მისულებს. ასე, მაგალითად, განათ. სახ. კომისარიატის ერთ-ერთმა საქმის მწარმოებელმა ლაშქრობის მონაწილეთა თხოვნაზე (რომლებმაც თავისი თავი გამოაცხადეს ჩამოსულ გლეხებად) — შეეტყობინებია მათთვის თუ რომელ სკოლაში ასწავლის ესა და ეს მასწავლებელი (მათ დაუსახელეს გვარი),—არ შეიწუხა თავი ჩაეხედა სათანადო სიებში და შეატყობინა შემდეგი მისამართი: ავლაბარი, შირაქის ქ. № 7, ნამდვილად კი აღნიშნული მასწავლებელი ასწავლის რკინის გზის მე-10 სკოლაში, დიდუბეში, ყოფ. შერემეტიევის ქუჩაზე № 45, ე. ი. ქალ. თბილისის სულ სხვა კუთხეში.

ზოგიერთი გამგე მემანქანე ქალებს უხეშად ეპყრობა. ზოგი თანამშრომელი მემანქანე ქალს სამსახურის დროს აბეჭდვინებს კერძო მასალებს, როგორც, მაგალითად, წერილებს გაზეთისათვის და სხ.

კედლის გაზეთი, რომელიც მიძღვნილია 8 მარტის დღისათვის, სრულებით არ გამოხატავს ზემოდაღნიშნულ სისაძაგლეს და დეფექტებს.

გამომკვლევნი: **ორკოშნელი** (ტრამვაის მუშა), **ქარასანიძე** (მსუბ. კავალ.) **და ნიკოლაიშვილი** (მსუბ. კავალერია).

იუსტიციის ორგანოებში

საუბნო გამომძიებლები

საუბნო გამომძიებლების მუშაობის შემოწმებამ გამოარკვია მთელი რიგი უარყოფითი მოვლენები. დავასახელოთ ფაქტები: გამომძიებლები სამსახურში ცხადდებიან ერთი საათის დაგვიანებით (გარდა მეორე და მესამე უბნის გამომძიებლებისა). გამომძიებლები უმრავლეს შემთხვევაში შესდგებიან ძველი ჩინოვნიკებისაგან და წარმოადგენენ უცხო ელემენტებს საბჭოთა ხელისუფლებისათვის. მათ შორის აღსანიშნავია გამომძიებელი **პორშინი**.

იუსტიციის სახალხო კომისარიატის საერთო განყოფილებაში თანამშრომლებმა დააგვიანეს 15 წუთით. თანამშრომლები **მუღდანოვი** და **იზოლაძე** თავის დროზე არ შეუდგნენ მუშაობას და მთელი საათი მოანდომეს კერძო მუსაიფს.

ტეხნიკურ თანამშრომლებს იუსტიციის სახ. კომისარიატში იღებენ შრომის ბირჟის გარეშე.

საქმის გაჭიანურება

საქმის გაჭიანურების დამახასიათებელ მაგალითად იუსტიციის სახ. კომისარიატში შეიძლება ჩაითვალოს ქ. სიღნაღში მცხ. ტურიაშვილის საქმე. ეს უკანასკნელი გასამართლებული იქნა 1921 წელში და გაამართლეს. მას შემდეგ 8 წელი გავიდა, ხოლო ტურიაშვილი დღემდესაც ვერ ეღირსა მიეღო ცნობა თავისი გამართლების შესახებ და კვებავენ მას დღეს-ხვალეობით. ხსენებულ ტურიაშვილს რევოლიუციონური სტაჟი აქვს 1907 წლიდან.

მინასოვი (მთავარი სახელოსნო), **ტერტეროვი** (დეპო), **ოვაკიანი** (ა.-კ. კომუნივერსიტეტი).

უზენაესი სასამართლო

უზენაესი სასამართლოს წევრებიდან თავის დროზე სამსახურში გამოცხადდა ხუთი კაცი; ნახევარი საათით დაიგვიანეს: **ორჯონიკიძემ, გოგონიძემ, ხარაბაძემ, კაჭარავამ, ჯიოევმა, გალუსტიანმა,** და **ბერბერაშვილმა.** 11 საათამდე არ გამოცხადებულან: **ტალახაძე, ლაზი და ხანკალამოვი.**

უზენაეს სასამართლოს საერთო კანცელარიაში 12 თანამშრომლიდან თავის დროზე შეუდგა მუშაობას მხოლოდ ერთი თანამშრომელი, ხოლო დანარჩენი თერთმეტი თანამშრომელი (ბერუჩავა, ბელლიევა, მარკოზოვა, კოხრეიძე, მონოსიძე, მაჭავარიანი, იაშვილი; შულაევი; ცაგარელი და ბლიაძე) უსაქმოდ ლაზღანდარობდნენ ნახევარ საათის განმავლობაში.

გამომძიებელ **კოხრეიძემ** და **ზედგენიძემ** დაიგვიანეს ნახევარი საათი. როდესაც ამ უკანასკნელის კაბინეტში შევიდნენ შემოწმების მონაწილენი ცნობების მისაღებად, მან არისტოკრატიული და ბიუროკრატიული ტონით გამოაგდო ისინი კაბინეტიდან.

საიდუმლო საქმეთა გამომძიებელის მდივანი ქალი 28 წუთის განმავლობაში ითხუპნებოდა პომადით, იცხებდა პუდრას და ივარცხნიდა თმას.

უმნიშვნელოვანესი საქმეების მდივანმა (გვარი არ არის ნახსენები) დაიგვიანა სამსახურში ერთი საათით. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურში მას ელოდებოდნენ საქმეზე მისული მოქალაქენი, მდივანი წყნარად შეუდგა რომელიღაც წიგნის კითხვას და არავითარი ყურადღება არ მიაქცია მათ.

სასამართლოს გამომძიებელმა **ლორთქიფანიძემ** დაიგვიანა ერთი საათი, მოსვლის დროს შიკრიკს უბრძანა მიერთმიათ მისთვის ჩაი, შემდეგ გაერთო კერძო საუბარში და მთელი საათი აცდენინა მომსვლელები.

მაზრა-ქალაქის სასამართლოს კანცელარიაში თანამშრომლებმა მდივან ლორთქიფანიძესთან ერთად დაიგვიანეს 15 წუთიდან ერთ საათამდე.

თანამშრომელი **მეტრეველის ქალი** წინასწარ გაერთო თავისი ტუალეტით—დაიდგა სტოლი და სარკე, შეუდგა პუდრის ცხებას, და სახის გალამაზებას, რასაც მოანდომა 14 წუთი.

9 ნახევარ საათზე მუშაობა არავის არ ჰქონდა დაწყებული გარდა ორი მემანქანე ქალისა, რომლებიც კეთილსინდისიერად მუშაობდნენ დილის 9 საათიდან, დანარჩენები იკრიბებოდნენ 3—4 კაცი, მასხრობდნენ და იცინოდნენ.

საორგ. კოდიფიკაციურ განყოფილებაში (ოთახი № 6) თანამშრომლები: **ლაშაური,** გამრეკელი და სხვები, სულ 5 კაცი შეკრებილიყვნენ ერთ-ერთ მაგიდასთან, ერთობოდნენ კერძო საუბრით და ხმაურობდნენ, ამ დროს თანამშრომელი **მიქელაძე,** რომელმაც დაიგვიანა 34 წუთი, გართული იყო ტელეფონით უსაქმო ლაპარაკში.

თვით კომისართან შესვლა არ მოხერხდა, თუმცა მისი კაბინეტის კარებზე არის წარწერა: „მუშების და ჩამოსული გლეხების მიღება სწარმოებს ყოველდღე"; მიღების დრო არაა ნაჩვენები.

უზენაეს სასამართლოში ერთ მოსულთაგანს სურდა ეპოვნა თავისი განცხადება. პროკურორ ბესელიამ ის გაგზავნა კანცელარიაში, სადაც უთითებდნენ ერთი მაგიდიდან მეორეზე. მაგრამ ვერაფერი იპოვნეს. კანცელარიიდან ის გაგზავნეს პროკურატურის განყოფილებაში (ოთახი 7), მდივან კოკოევთან. ამ უკანასკნელმა მიუთითა მაღლა სართულზე (ოთახი № 5), ამხ. ნიკურაძესთან. ნიკურაძემ მთხოვნელი ისევ მე-7 ოთახში დააბრუნა, სადაც ეძებეს ქაღალდი, ვერ იპოვნეს და ისევ გაგზავნეს მე-5 ოთახში. ბოლოს განცხადება მაინც ვერ იპოვნეს და მისი მძებნელი დაბრუნდა დაუკმაყოფილებელი.

დავიდოვი, კამიშინი და ურიგაშვილი (დეპო), **ჩაჩატუროვი, კოლსუნი, მკრტჩიან და კოჩლამაზაშვილი** (კალინინის სახ. ქარხანა).

საკონსულტაციო ბიურო იუსტ. კომისარიატთან

როდესაც დამცველს მიმართავენ „მსუქანი ელემენტები", ის დაჯდება, ესაუბრება მათ დიდხანს და აღუთქვამს მოაწესრიგოს საქმე. როდესაც დამცველს მიმართავს ღარიბი, უცოდინარი გლეხი, ის მას აგზავნის მორიგე თანამშრომელთან, რომელიც განცხადების შედგენისათვის იღებს გლეხისაგან ერთ მანეთს, და ეუბნება, რომ ეს ფული თითქო მიდის „მთავრობის სასარგებლოდ".

როდესაც ერთ-ერთ დამცველთან მივიდა გლეხი და სთხოვა დაეწერა მისთვის განცხადება და გამოსულიყო დამცველად, დამცველი იწყებს მასთან ვაჭრობას და თუ დარწმუნდა, რომ სარფიანი საქმეა, იღებს, თუ არა ეუბნება, რომ მას არა აქვს დრო და აგზავნის მეორესთან, მეორე აგზავნის მესამესთან და ასე დაუსრულებლივ. ამის შემდეგ, თუ გლეხი ღარიბია, ის ბოლოს და ბოლოს რჩება ყოველგვარი დაცვის გარეშე.

შემოწმების მონაწილე **ტოგონიძე.**

სოც.-უზრუნველყოფის სახ. კომისარიატში

სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატში თანამშრომლები სამსახურში 9 ნახ. საათზე გამოცხადდნენ.

დილიდანვე სახალხო კომისარს და მის მოადგილეს ბევრი ხალხი უცდიდა. შიკრიკები კაკაბაძე და სულხანიშვილი მეტად უხეშად ექცეოდნენ საქმეზე მისულებს, ხელს ჰკრავდნენ და უყვიროდნენ. „თავდასხმის" დღეს რამდენიმე ასეთი ფაქტი მოხდა. საერთო უწესრიგობისა და იმ ოთახის სივიწროვის გამო, სადაც საქმეზე მოსულნი იცდიან, ზოგს გულიც შეუღონდა. თუმცა გამოცხადებულია, რომ სახალხო კომისარი 12—2 საათამდე იღებსო, მაგრამ მან საქმეზე მოსულთა მიღება ადრე დაიწყო. სახალხო კომისართან და მის მოადგილესთან, საერთო რიგებს გარდა, შედიოდნენ ნაცნობობით კანცელარიიდანაც (მეორე კარებიდან). მოხდა ასეთი შემთხვევა: თბილისის საბჭოს წევრს ამხ. ნოდელსკის უნდოდა აეძულებინა კომისარიატის კანცელარია, რომ მას ერთდროულად მიეღო საქმეზე მოსულთა განცხადებები. ამ მიზნით მან სახალხო კომისართან შესვლა მოიწადინა.



1 საათამდე საუბარი წინა ღამეს შთაბეჭდილებაზე და ჭორიკანობა

ამაში მას ეხმარებოდნენ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ადგილკომის წევრი ამხ. მახარაძე და საპენსიო განყოფილების გამგე ამხ. ჭიჭინაძე. მაგრამ შიკრიკმა გადაჭრით განაცხადა—მე სახალხო კომისარმა მიბრძანა, არავინ შეუშვაო. მართლაც ისინი არ შეუშვა. საქმეზე მოსულთა განცხადებების განხილვა ხანდახან 2—3 დღეს იგვიანებს, რადგან სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ინსტანციებში მათი მოძრაობა ნელის ტემპით სწარმოებს.

არ არის მოწესრიგებული ინვალიდებისა და სხვა მთხოვნელების ერთდროული დახმარების გაცემის საქმე. შემოღებულია უმნიშვნელო თანხების (5—10 მანეთამდე) გაცემა და სამგზავრო შეღავათიანი ლატერების გამოწერა იმათთვის, ვინც თავს აბეზრებს კომისარიატს. მათგან არ თხოულობენ არავითარ დოკუმენტებს პირადობის, ან სიღარიბის შესახებ და სხვ. ლაშქრობის ორმა მონაწილემ მოახერხა სოციალური უზრუნველყოფის კომისარიატისაგან „დახმარების" მიღება 10 მანეთის რაოდენობით (თითომ ხუთ-ხუთი მან.), მათვე მიიღეს ერთი შეღავათიანი ლატერა ბაქომდე სამგზავროდ. ეს ფაქტი მოწმობს, თუ როგორ უთავბოლოდ ხარჯავს სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის აპარატი თავის სახსრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკები უფრო ხშირად არაფერს აკეთებენ, მაგ., საქმეთა მმართველი ამხ. ლომიძე ლაშქრობის დღეს 11 საათ. და 50 წუთიდან ნაშუადღევის პირველ საათამდე გართული იყო ლაპარაკში რომანების შესახებ.

ამ დროის განმავლობაში მის კაბინეტში იჯდა საქმეზე მისული, რომლისათვის ამხ. ლომიძეს არც კი უკითხავს, თუ რისთვის მოვიდა იგი. სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის დანარჩენი თანამშრომლები პოულობენ დროს კერძო ლაპარაკისათვის. „პაემნების" შესახებ და სხვ. საფინანსო განყოფილებაში თანამშრომელი ქალები ერთ საათსაც არ იცდიან ადგილზე. ძალიან გავრცელებულია ბუფეტში სიარული.

როგორც ეტყობა, ადგილკომი დეკორაციისათვის არსებობს. იმას, რომ სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის თანამშრომლები უხეშად ექცევიან საქმეზე მისულთ, ადგილკომის წევრები არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. უფრო მეტიც: მათ ამის გაგონებაც არ სურთ.



2 საათზე ჩაი და ტუალეტი

ივანცევი (1 სტამბის მომუშავე), **ტიშჩენკო** (ტრამვაის მუშა), **კრავეიშვილი** (კომკავშ.) **ოდილაშვილი** (კომკ.), **კახიაშვილი** (ტრამვაის მუშა), **კალმახელიძე** (კომკ.), **ჯანაძე** (კომკ.), **პეტრუხოვი** (ტყავტრესტის მუშა), **ნადოლსკი** (გაზ. „რაბ. პრ.").

ფინსახკომში

მოსამსახურეთა დაგვიანებას საქართველოს ფინსახკომში ხშირად აქვს ადგილი. სალაროს და საგადასახადო განყოფილების ზოგიერთმა თანამშრომლებმა დაიგვიანა 15—20 წუთით.

„მუშაობას" ზოგიერთი თანამშრომელი იწყებს ჩაის მირთმევით: (მაგალითად, თანამშრომელი, რომელიც ფანჯარა № 2-თან (თამასუქების განაღდება) ზის. საინტერესოა ფინ. სახ. კომისართან მისულთა მიღების წესი. თანამშრომელი ქალი არა მარტო „მოუხსნებლად" არ უშვებს არავის ფინ. სახ. კომისართან, არამედ მოითხოვს, რომ მისულებმა მოხსენება მას გაუკეთონ.

— ჯერ მითხარით, რისთვის მოხვედით და შემდეგ გიპასუხებთ, შეიძლება თუ არა ფინ. სახ. კომისართან შესვლა,—ასე განუცხადა ამ თანამშრომელმა ლაშქრობის მონაწილეს. ალბად ამავე პირობების გამო არ შეუშვეს ფინ. სახ. კომისართან მუშა-ტრამვაელის ქვრივი, ეკატერინა შავჩენკო, რომელმაც მოიტანა განცხადება თავისი გაჭირვების შესახებ. მის განცხადებას ხელს აწერენ ტრამვაის მთელი რიგი მუშები. სამორიგეოში კი მას მხოლოდ ერთი ფრაზით გაუმასპინძლდნენ: 4 დღის შემდეგ მოდითო. მოქ. შავჩენკოს განცხადება მაგიდის უჯრაში იყო მიგდებული.

ამასთან ერთად აღსანიშნავია თვით ფინ. სახ. კომისარის, ამხ. ვაშაძის ყურადღებით და ამხანაგურად მოპყრობა მთხოვნელთა მიმართ, კერძოდ ლაშქრობის მონაწილეთა მიმართ, რომლებიც მასთან შევიდნენ საქმეზე ჩვეულებრივ მისულთა სახით. მაგრამ კომისართან შესვლამდე ლაშქრობის წევრებს დაახლოებით ნახევარი საათი მოუხდათ ცდა კაბინეტის კარებთან.

საქ. ფინსახკომში არიან ისეთი პირებიც (როგორც, მაგალითად, სავალიუტო განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც ფანჯარასთან ზის), რომლებიც უხალისოდ და გულგრილად ეპყრობიან თანამშრომლებს. მუშების (ლაშქრობის მონაწილეთა) თხოვნაზე, რომ მათ ვითომ სურთ ოქრო მიიღონ კბილებისათვის, სავალიუტო განყოფილების აღნიშნულმა თანამშრომელმა თვალი არ მოაშორა გაზეთს, რომელსაც იგი ჰკითხულობდა, და მკვახედ უპასუხა: არა, არ შეიძლება, არავის რა ვაძლევთო.

გამომკვლევნი: **რაზმაძე** (მუშა) და **ზუმსკი** (ამ.-კავკ. კომუნ. უნივერსიტეტი).

შრომის კომისარიატში

9 საათზე „თავდასხმის" დღეს შრომის სახალხო კომისარიატის განყოფილებები ცარიელი იყო. 9 ნახევ. საათისათვის თანამშრომლებმა თანდათან მოიყარეს თავი, როგორც თანამშრომელი კაცები, ისე ქალები მეტ დროს ლაპარაკსა და ბუფეტს ანდომებენ. ერთი გამგე სამსახურში 9 ნახ. საათზე გამოცხადდა.

შრომის სახ. კომისრის მოადგილე ამ დღეს სრულებით არ მოსულა სამსახურში. მისი კაბინეტის კარებზე ასეთი წარწერაა: მიღება სწარმოებს 10 საათიდან 12 საათამდე. ასეთივე წარწერაა სახალხო კომისრის კაბინეტის კარებზე, ის კი სამსახურში 10 ნახ. საათზე გამოცხადდა, მაგრამ კაბინეტში არ შესულა, პირდაპირ განყოფილებებისაკენ გაემართა. საქმეზე მოსულნი აღელვებული ხალხი დილიდანვე უცდიდა. შეკითხვაზე—სად არის სახალხო კომისარიო, მდივანი უპასუხებდა: „სახალხო კომისარი განყოფილებაშია, ახლავე მოვაო". ასე გაგრძელდა დღის 1—5 საათამდე, როდესაც საქმეზე მოსულებს გამოუცხადეს, სახალხო კომისარი დღეს არავის მიიღებსო. საქმეზე მოსულებს შორის უკიდურესი მღელვარებაა. სჩივიან—მთელი ორ-ორი კვირის განმავლობაში გვიხდება სახალხო კომისარის ცდაო.

მისაღები ოთახი არ არის დამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური თვალსაზრისით: გარშემო პაპიროსის ნამწვავი და ნაგავი ჰყრია. არ არის საკმაო ჩასაფურთხებელი.

ოთახების მაჩვენებელი დაფა გამტვერიანებულია, წარწერები გაურკვეველი.

არ არის საჩივრების ყუთი.

ცნობებს იძლევა რეგისტრატორი, რომელიც როგორც გამომკვლევებმა დაინახეს, რომ საათს ბუფეტს ანდომებენ, 1—2 საათს უბრალო ლაპარაკში ატარებს სხვადასხვა განყოფილებაში და მხოლოდ ერთ საათს მუშაობს კანცელარიაში.

გორელაშვილი (ტრამვაის მუშა) და **ოტიაშვილი** (ლენინური კომკავშირი).

მიწსახკომში

სამსახურში დაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლას აქაც ფორმალური ხასიათი აქვს. ფაქტიურად ასეთი ბრძოლა არ სწარმოებს. ერთად ერთ საშუალებას იმის გამოსარკვევად, თუ რომელი მოსამსახურე გამოცხადდა დროზე სამსახურში, წარმოადგენს საკონტროლო დაფა. ამ დაფაზე სამსახურში გამოცხადებულმა მოსამსახურემ უნდა ჩამოჰკიდოს თავისი ნომერი. დაფა უნდა დაიკეტოს დილის 9 საათზე, მაგრამ „თავდასხმის" დღეს დაფა ფაქტიურად 10 საათზე დაიკეტა. ამნაირად ბევრ თანამშრომელს, რომელსაც სამსახურში დააგვიანდა, საშუალება მიეცა ჩამოეკიდა თავისი ნომერი ამ საათამდე. ასე რომ უშედეგოთ ჩაიარა როგორც დაფის, ისე დაგვიანების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელობამ.

სამსახურში მისული უპირველეს ყოვლისა ჩაის სვამს და საუზმობს.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის პირადი შემადგენლობა თითქმის მთლად უპარტიოებისაგან შესდგება. ამ შემადგენლობაში საკმაოდ მოიპოვებიან ყოფილი თავადები და აზნაურები. სავსებით შესაძლებელია და საჭირო იმ სოციალურად უცხო ელემენტების ნაცვლად, რომელთაც მიწადმოქმედების კომისარიატში მოუკალათებიათ, დაწინაურებულ იქნას 10-მდე მუშა. რაც უფრო ადრე მოხდება ეს, მით უკეთესია.

საქმეზე მისულ გლეხთა მიღების საქმეც სათანადოდ ვერ არის მოგვარებული. მათ არ უწევენ არც სიტყვიერ და არც წერილობით დახმარებას. გლეხები უყურადღებოდ არიან დატოვებულნი. ყოფილა შემთხვევა, როცა გლეხები 3 წლის განმავლობაში უცდიდნენ სარწყავი არხის გეგმის დამტკიცებას. ლაშქრობის დღეს კი გამოაშკარავდა, რომ ამ გეგმის დამტკიცება შესაძლებელი იყო ორი კვირის განმავლობაში, ასე შეჰპირებია მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის აპარატი ორ დაინტერესებულ გლეხს.

მარლიაშვილი (მთავარ სახელოსნოების მუშა), **მნაცაკანოვი** (მთავარ სახელოსნოების მუშა) და **კურაძე** (ტრამვაის მუშა).

საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

ლაშქრობის მონაწილეთა დაკვირვებით, დილის 9 ს. 15 წ. თანამშრომელთა საგრძნობი უმრავლესობა, გარდა დამლაგებელი ქალისა, არ გამოცხადებულა სამუშაოზე. ისინი შეგროვდნენ დილის 10 ს. 30 წუთზე. ამასთან, პირველ რიგში დაიწყეს კერძო საუბარი, კორიდორში, სიარული, რბენა ბუფეტებში და ჩაის სმა.

ადგილკომის ოთახი დილის 10 საათამდე დაკეტილი იყო. საქმეზე მისულთა მიღება ადგილკომში დამაკმაყოფილებელია. ინჟინერ რუტკოვსკის განცხადებით, მუშათა გამომგონებლობის კომისიას არ აქვს კრედიტები ნახაზების შესასრულებლად. მუშა-გამომგონებლები იძულებულნი არიან საკუთარი ფულით შეუკვეთონ ნახაზების შესრულება კერძო პირებს. გამოგონებები ლენინგრადში იგზავნება შესამოწმებლად. პასუხი ლენინგრადიდან იგვიანებს 2—3—4 თვით.

ლაშქრობის მონაწილეებმა შემდეგ შეიხედეს ოთახში № 12, რომელზედაც გამოკრულია წარწერა: „დაუკაკუნებლად ნუ შემოხვალთ". ლაშქრობის მონაწილეები იმ ოთახში ასეთ სურათს წააწყდნენ: „მემანქანე ქალი იჯდა მაგიდაზე სარკის წინ. მაგიდაზე გაშლილი იყო პუდრი, პომადა და სხვ. და მემანქანე ქალი სახეზე იცხებდა პუდრსა და პომადას. გარდა ამისა, იგი თავის ამხანაგ ქალს ესაუბრებოდა იმაზე, თუ როგორ გაატარა მან დრო წინა დღით.

ოთახთან № 5,—სარევიზიო-საინსტრუქტორო განყოფილებასთან სამსახურის საქმეზე მოსული ოთხი კაცი მიღებას უცდიდა დილის 12 საათამდე.

სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს თანამშრომლებთან სამსახურში მიდიან ნაცნობები კერძო საქმეზე. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი მემანქანე ქალი რომელიღაც სტუდენტმა გააწვია პირადი, კერძო საქმისათვის. მათი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ მემანქანე ქალს შეუძლია, თუ საჭირო შეიქნა, „აქედან (ე. ი. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოდან) მოაწყოს ამ სტუდენტის საქმე".

გამომკვლევნი: **შტიურცი** (დეპოს მუშა), **ალელოვი** (26 კომუნ. ქარხნის მუშა), **ბეჟუაშვილი** (მთავარ სახელოს. მუშა).

თბილისის აღმასკომში

პრეზიდიუმში

მიუხედავად იმისა, რომ მოულოდნელი ლაშქრობის დღე იყო მიღების დღე, თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის თავმჯდომარე და მისი მოადგილე მაინც არ აღმოჩნდნენ თავიანთ ადგილზე. მდივანს, სადღაც თათბირი ჰქონდა მოწვეული. მთხოვნელები კი, რომლებიც დაიმედებული იყვნენ იმაში, რომ მოვიდოდა თავმჯდომარე, მთელ საათს არავინ გააფრთხილა, რომ დღეს თავმჯდომარე არ მოვიდოდა.

საერთოდ აღმასკომის თანამშრომლები ერთობ დიდ დროს ანდომებენ ბუფეტში სიარულს და ტყუილ უბრალო ლაპარაკს, გარდა ამისა აღმასკომში ადგილი აქვს თანამშრომლების დაგვიანებას სამსახურში. მე-116 და 117 ოთახში ორ თანამშრომელს თავი დაენებებია მუშაობისათვის და თავს იქცევდნენ ფანჯარაში ცქერით. კომენდანტის თანაშემწე მოქ. მესხი უყურადღებოდ ეპყრობა მთხოვნელებს. ის არ აძლევს სწორ ცნობებს მთხოვნელებს.

საადგილმამულო განყოფილება

საადგილ-მამულო განყოფილებაში მუშაობა იწყება დაწესებულ დროზე ნახევარი საათით გვიან. საქმისათვის მისულ გლეხებს არ აძლევენ თავის დროზე პასუხს და იბარებენ „ხვალისათვის". თვით განყოფილების გამგე ადიკაშვილი სამსახურში გამოცხადდა 11 საათზე, ხოლო შემდეგ შევიდა ერთ კაბინეტში და მთელი საათი იქ დაბანდდა. ისე, რომ დილის 9 საათზე მოსული გლეხები ადიკაშვილმა მიიღო მხოლოდ 12 საათზე. გარდა ამისა, როდესაც გლეხი მინდორაშვილი მივიდა ადიკაშვილთან რაღაც საქმეზე, უკანასკნელი დატუსაღებით დაემუქრა გლეხს. გლეხმა ვერავითარი ცნობა ვერ მიიღო ადიკაშვილისაგან. იურისკონსულტის ოთახში 12 საათამდე იჯდა ერთი მემანქანე ქალი. დანარჩენი ოთხი მაგიდა ცარიელი იყო.

კეთილმოწყობის განყოფილება

ასეთივე სურათი იყო კეთილმოწყობის განყოფილებაში. აქ ერთი თანამშრომელი ფურცლავდა რაღაც ქაღალდებს და ორი თანამშრომელი ქალი კი იდგა ღუმელთან და ტყუილ უბრალო ლაპარაკით ირთობდა თავს.

განათლების განყოფილება

განათლების განყოფილების მისაღები ოთახი სავსე იყო მთხოვნელებით, მაგრამ თვით განყოფილების გამგე არსად სჩანდა. განყოფილების დარაჯი, მთხოვნელების შეკითხვაზე, რომ მოვა თუ არა დღეს განყოფილების გამგე, უპასუხებდა: „არ ვიცი არაფერიო". დილის პირველ საათამდე ტყუილ უბრალოდ ელოდებოდნენ გამგეს.

საერთოდ ეტყობა, რომ თბილისის აღმასკომის თანამშრომლები ვერ სდგანან თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე. არ არის გატარებული შრომის რაციონალიზაცია და სხვა. აქ დეფექტებს ბოლო უნდა მოეღოს.

ალექსანდროვი (ასოთ-ამწყობი), **ლელაშვილი** (დეპო), **გონაშვილი** (დეპო), **ყურნოკოვი** (მსუბ. კავ.) და **ცატუროვი** (მთავარი სახელოსნო).

კოოპერატორებთან

ცეკავშირში და სოფლის კავშირში

ცეკავშირის გამოკვლევის დროს ძნელი იყო ცალკე არანორმალურ მოვლენათა გამოაშკარავება აპარატის მუშაობაში, განსაკუთრებით საქმეზე მოსულთა მიმართ მოსამსახურეების მხრივ ბიუროკრატიული და უხეში მოპყრობა. საქმეზე მისულთ ფრთხილად და კარგად ეპყრობოდნენ.

„სოფლის კავშირის" გამოკვლევის დროს კი ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, საქმეზე მისულთა მიმართ უხეში მოპყრობის ფაქტები საკმაოზე მეტი იყო. სამუშაოზე აქ შრომის ბირჟის გარეშე იღებენ. შენიშნულია, რომ თანამშრომლები **ლადო ხუტუშვილი** და **სერგო ბუკურუშვილი** საქმეზე მისულებს უხეშად ეპყრობიან.

თვალსაჩინო ადგილას არ არის გამოკრული საჩივართა ყუთი, არ არის საჩივართა წიგნი. იყო შემთხვევები, როცა საქმეზე მისულებს უხეშად და ფორმალურად მოეპყრნენ: „შეხედეთ, აი, ეს შიკრიკი, ისიც კი გვაგდებს და ზოგჯერ გვაგინებს, — ამბობს ერთი მოხუცი ყარაიაზიდან. როცა მოსამსახურეებს მიმართავ, ასეთ პასუხს იღებ: „კარგი, გავაკეთებთ. ვერ ხედავ, რამდენი სამუშაო მაქვს". ხშირად კი დრო ბევრი აქვთ და არაფერს აკეთებენ. ძალიან ძნელია საჭირო ცნობების მიღება სხვადასხვა საკითხზე. არის ხოლმე ისეთი რიგები, რომ დასადგომი ადგილი აღარ მოიპოვება. „მე პირადად რიგში დგომა ვერ შევსძელი, ვიცადე მხოლოდ 5 წუთი, რადგან შეჯგუფებული ხალხი და თამბაქოს კვამლი რეტს მასხამს" (ალაბალა). გამოკვლევის ერთი მონაწილე ერთ მოხუცთან ერთად წავიდა **სერგო ხუციშვილთან** (სოფლის კავშირის თავმჯდომარე), რათა ეშუამდგომლა მის საქმეზე, მაგრამ ვერავითარ შედეგს ვერ მიაღწია. არც კი მოუსმინეს. ბუხჰალტერი,— სთქვა ერთმა გლეხმა, — ფორმალურად გვეპყრობა. სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებს სხვადასხვანაირად ეპყრობა: ქართველებს მალე და სწრაფად უშვებს, თურქებს კი —არა. მათ შეუძლიათ მოიცადონო, — ამბობს იგი". „ღარიბ ქართველებსაც ასე აწვალებს" —დაადასტურა ალახვერდ-ოღლიმ. „დამახასიათებელია, — სთქვა ერთმა გლეხმა სოღანლუღიდან, — როცა კულაკები გულმამედ ქერიმ ოღლი, ალი მამედ ალესკერ ოღლი მოდიან კრედიტისათვის, — ყველაფერი მზადაა. მათთვის ოთახის № 30 კარები ყოველთვის ღიაა. ლადოც და სერგოც მეგობრულად ხვდებიან მათ". ყველა ამ ცნობამ დააინტერესა გამოკვლევის მონაწილენი და მოინდომეს დაენახათ ამ გლეხების ლაპარაკი გამგესთან. გამგე მათ კარგად მოეპყრა და ეს იმიტომ, რომ ისინი საქეიფოდ მოეჩვენა.



სმა-ჭამა მეტად შესარგი

თავმჯდომარეები და გამგეები დიდის დაგვიანებით მოდიან სამუშაოზე. რიგები აქ იქმნება მხოლოდ იმიტომ, რომ მოსამსახურენი არ მუშაობენ სწრაფად. ეს ფაქტი მაშინვე გეცემათ თვალში.

რამდენიმე სიტყვა კოლმეურნეობათა ცენტრზე. ყურადღებას იქცევს თავმჯდომარეების გვიან მისვლა სამსახურში. გამოკვლევის დღეს ისინი მხოლოდ 11 საათზე მივიდნენ სამსახურში. გამოკვლევის მონაწილე ქალს უნდოდა თავმჯდომარის ნახვა, მაგრამ განუცხადეს — იგი ჯერ არ მოსულაო. დაუცადა და შეხვდა ერთ პარტიულს — კოლმეურნეობის „წითელი ოქტომბერი"-ს თავმჯდომარეს, რომელიც აგრეთვე თავმჯდომარეს ამხ. ნაგარელს ელოდა. ამ პარტიულ ამხანაგთან ლაპარაკის დროს გამოკვლევის მონაწილე ქალმა გაიგო, რომ მან შარშან მისცა განცხადება კოლმეურნეობისათვის ტრაქტორის მიღების შესახებ, მაგრამ დღემდე ვერავითარი პასუხი ვერ მიიღო. გამოკვლევის მონაწილე ქალი შემდეგ შევიდა კაბინეტში, სადაც იყვნენ გლეხები, რომლებსაც მდივანი **ირადიონ ქავთარაძე** ძალიან უხეშად ეპყრობოდა, საქმეზე მისულთ ეუბნებოდა: „წადი, წადი"-ო და თითქმის ხელით აგდებდა მათ. როცა მდივანმა დაინახა გამოკვლევის მონაწილე ქალი, მან ნერვიულად მიმართა: „რა გნებავს, რისთვის იცდი"-თო. ქალმა უპასუხა, რომ პირადად სურს თავმჯდომარის ნახვა. ამ დროს კაბინეტის კარებზე გამოაკრეს ქაღალდი შემდეგი წარწერით: „გამგეობის თავმჯდომარე პირად საქმეებზე არ იღებს". რასაკვირველია, ეს ასეც უნდა ყოფილიყო. რა საჭირო იყო განცხადების გამოკვრა ამის შესახებ. ამ დროს ქავთარაძემ გამოუცხადა საქმეზე მისულ ქალს: „ნაბრძანები გვაქვს, დაუკითხავად არავინ შეუშვათ თავმჯდომარესთან"-ო. მაგრამ ქალმა მაინც მოახერხა თავმჯდომარის ნახვა. თავმჯდომარემ იგი კარგად მიიღო და უთხრა: „არ უნდა მოექცეთ უხეშად ჩვენს მდივანს, ის კარგი კაცია"-ო.

უნდა აღინიშნოს, რომ „სოფლის კავშირის" კაბინეტებზე წარწერები მხოლოდ ქართულად არის, საქმეზე მისულთა შორის კი ბევრია ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი (თურქები, სომხები, რუსები).



სასურველი სტუმარი

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბევრი გლეხი გამოკვლევის მონაწილე ქალს შეჰპირდა— უამბონ ბევრი არანორმალური მოვლენის შესახებ, რომლებსაც ადგილი აქვთ „სოფლის კავშირ"-ში. ამ გლეხებს იქ ეშინიათ ამაზე ლაპარაკი.

სირაძე (სატყეო ქარხანა), **კვანტალიანი** (მთავ. სახელოსნო).

პენსიონერებს უხეშად ეპყრობიან

(სოციალური უზრუნველყოფის თბილისის განყოფილება)

თანამშრომელთა დაგვიანება სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაშიაც ჩვეულებრივი მოვლენაა. თანამშრომლების უმრავლესობა ცხადდება 10 საათზე, ხოლო ადრე მოსულებიც დანარჩენებს ელოდებიან. მემანქანე ქალის ოთახში (№ 21) ერთობიან კერძო საუბრით და ეწევიან პირისახის შელამაზებას. თანამშრომელი **შახნაზაროვა** 10 საათზეც არ იყო დაწესებულებაში.

აქ ყურადღებას იპყრობს დაწესებულების თანამშრომელთა მიერ დილიდანვე ჩაის მირთმევა, როცა მათ ელოდებიან მიმსვლელები. კანცელარიაში მიმსვლელთა დაშვება ყველასათვის ერთნაირად არ ხდება. შემოწმების მონაწილე, როგორც ჩვეულებრივი მიმსვლელი, შეუშვეს კანცელარიაში, ხოლო მოხუც კალმიკოვს, რომელიც ორი დღე ცდილობდა პურის წიგნაკის მიღებას, წინადადება მისცეს გასულიყო კანცელარიიდან. მიმსვლელების მიღება დილის 10 საათზე არ იყო დაწყებული.

ერთ-ერთი პენსიონერი ქალი (მოქ. ხატიაშვილი) მთელი თვეა დადის განყოფილებაში კუთვნილი პენსიის მისაღებად. მას გზავნიან ფოსტაში, ფოსტიდან აგზავნიან ისევ განყოფილებაში და ასე შემდეგ.

ზოგიერთი თანამშრომლების მოპყრობა მიმსვლელებისადმი ძალზე უხეშია. მაგ., მდივანმა **ვასილ ხაჩიძემ** დაუყვირა ინვალიდს: „თუ უკმაყოფილო ხარ, შეგიძლია წახვიდე საჩივლელად". ინვალიდების სიტყვით, ხაჩიძე ანგარებით აღსავსე და ფლიდი კაცია. შემოწმების ერთ-ერთი მონაწილემ პირადათ იცის, რომ ხაჩიძე მეფის არმიის შტაბის კაპიტანია, ხოლო შემდეგში მენშევიკური გვარდიის ოფიცერი. ის მონაწილეობას იღებდა მოხალისეთა არმიის შედგენაში და ამ უკანასკნელის დენიკინთან გაგზავნაში. ასეთ პირს საბჭოთა დაწესებულებაში არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

უნდა აღინიშნოს, რომ განყოფილების გამგე ამხ. **თუმანოვი** ხშირად სტოვებს დაწესებულებას: ამასთან მთელი რიგი ამხანაგები ამტკიცებენ, რომ თუმანოვს ჩვეულებათ აქვს გადაქცეული პენსიონერებთან ერთად სამიკიტნოებში ღვინის სმა.

ნადოლსკი (გაზ. „რაბოჩაია პრავდა"), **კალმახელიძე** (სადუქნო კომისია).

ლაშქრობის მონაწილენი

ა.-კ. რკინისგზის სამმართველოში

შრომის დისციპლინის მდგომარეობის დასახასიათებლად ამიერ-კავკ. რკინის გზის სამმართველოში მოვიყვანთ შემდეგ ფაქტებს:

1. 9 ს. 20 წუთზე სამაცივარო განყოფილებაში იყო მხოლოდ 3 თანამშრომელი, დანარჩენებმა დაიგვიანეს.
2. ექსპლოატაციის უფროსის თანაშემწე ამხ. **ნანიტაშვილი** 10 ს. 40 წუთზე სამსახურში ჯერ არ იყო გამოცხადებული.
3. თანამშრომელი **ივანოვი** (მატერიალური ნაწ.) 11 საათამდე სამუშაოზე ჯერ არ იყო მოსული.
4. მოსამსახურე **დევიძე** მუშაობის დროს ვიღაც მოქალაქესთან ერთად წავიდა დუქანში „პირველი ნაბიჯ"-ში (სამმართველოს პირდაპირ) და სამსახურში დაბრუნდა ერთი საათის შემდეგ.
5. არქივის გამგეს ამხ. **კონსტანტინოვს** (ოთახი № 223) 15 წუთი ეძინა მუშაობის დროს, იგი რომელიღაც მოქალაქემ გააღვიძა.
6. საანგარიშო-საფინანსო განყოფილების თანამშრომელი ამხ. **არუთინოვი** მუშაობის დროს კითხულობდა გაზეთს.
7. ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოების გადამზიდავი („ტრანსპეჩატი") განყოფილების თანამშრომელი ამხ. **ყაჭეიშვილს** 1 ნახ. საათის განმავლობაში კერძო საუბარი ჰქონდა ვიღაც მოქალაქესთან.
8. ორთქლმავლებისა და ავტომობილების რემონტის (ოთახი № 329) თანამშრომელი ამხ. **ამბარდანოვი** მუშაობის დროს კოოპერატივში წავიდა სურსათის სასყიდლად და ნახევ. საათის შემდეგ დაბრუნდა.
9. გამყოლთა ბიუროს განყოფილებაში მაგიდაზე იჯდა ბავშვი, რომლითაც ერთობოდნენ ამ ბიუროს მოსამსახურენი. ბავშვი ხატავდა, სწერდა, აფუჭებდა ქაღალდს (შეიძლება საჭირო ქაღალდსაც).
10. ფინგანყოფილების თანამშრომელი **ლაღიძის ქალი** მთელ დღეს ჰკითხულობდა რომელიღაც წიგნს.
11. ადმინისტრატიული განყოფილების გამგე **ინწკირველი** 2 ს. 30 წუთზე წავიდა ვაშლის და პაპიროსის სასყიდლად. დაბრუნების შემდეგ ცოტა ხანს იჯდა და შემდეგ წავიდა.

გამოკვლევამ გამოააშკარავა აგრეთვე, რომ ბევრი თანამშრომელი ადრე მიდის სამსახურიდან.

გამოკვლევამ აღმოაჩინა მთელი რიგი დეფექტები, რომლებიც ახასიათებენ საქმეზე მოსულთა მიღებას, მათი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და ამიერ-კავკ. რკინის გზების სამმართველოს აპარატის მუშაობის მდგომარეობას.

1. ადმინისტრატიული განყოფილების გამგემ ამხ. **სიკინჭელაშვილმა** თანამშრომელი გუსევი (№ 348 ოთახიდან) წაიყვანა ამხ. ცაბაძესთან რაღაც ფულის გადასახდელად. სიკინჭელაშვილმა ცაბაძის წინაშე აღიარა, რომ ამ საქმეში დამნაშავენი არიან ისინი და არა გუსევი.
2. როცა ამხ. მორიოზოვი შეეკითხა გამგეობის, თავმჯდომარის მოადგილეს: „სად არის ცნობათა ბიურო"-ო, ამ უკანასკნელმა უპასუხა: „სადღაც იქ არის, შეეკითხეთ ქვევით"-ო. პოზდეევის მდივანმა მურადოვმა პირდაპირ უპასუხა: „ცნობათა ბიურო არ არსებობს"-ო.
3. თავმჯდომარის მოადგილის მდივანმა მოროზოვმა მოხუცი პენსიონერი, მიუხედავად მთელი რიგი თხოვნისა, არ შეუშვა თავმჯდომარის მოადგილესთან. ეს მოხუცი პენსიონერი თავმჯდომარის მოადგილესთან გაგზავნილი იყო გამგეობის თავმჯდომარის მიერ. მოხუცმა ვერაფერი გააწყო და წავიდა.
4. მატერიალური ნაწილის გამგეს ამხ. კრონტელს ორი დღე უცდიდნენ საქმეზე მისული მუშები, მაგრამ უშედეგოდ: 29 მარტს იგი სავსებით არ მოსულა სამუშაოდ, ხოლო 30 მარტს, (ე. ი. ლაშქრობის დღეს) მოვიდა დილის 12 საათზე და მალე სადღაც წავიდა. მის მაგივრად არავინ არ მუშაობდა.
5. ნავთლუღის რაიონში მცხოვრები 300 მუშის კოლექტიური განცხადება, რომელშიაც ისინი მოითხოვენ მათ რაიონში მატარებლის გასაჩერებელ ადგილის პლატფორმის მოწყობას, 2 ნახევ. თვეა დადის ინსტანციიდან ინსტანციაში. პასუხი დღემდე არ არის.
6. თანამშრომელთა მოპყრობა საქმეზე მისულთათვის თავაზიანია.

ნადოლსკი (გაზ. „რაბოჩაია პრავდა"), **ოსმანოვი** (მაგ. სახელ. მუშა), **მორეტი** (მთ. სახელ. მუშა), **ჭელიძე** (მსუბ. კავალ.), **შაშაკინი** (მსუბუქ. კავალ.) და **სტარცევი** (მთ. სახელ. მუშა).

უხეში გამგე

(შრომის ბირჟა)

რადგან ლაშქრობის დღეს უმუშევრებს პურის წიგნაკებს ურიგებდნენ, ამიტომ შრომის ბირჟაში მუშაობა მეტად არანორმალურად მიმდინარეობდა. ბირჟის მთელი ადმინისტრაცია ამ საქმეში იყო გართული. ამასთან ამ რიცხვში (30 მარტს) საერთოდ არ ხდება უმუშევრების აყვანა აღრიცხვაზე. დილიდან პურის წიგნაკის რიგში იდგა მრავალი უმუშევარი და ძალზე ნერვიულობდა. წიგნაკების გაცემა დაიწყეს 10 საათზე. შრომის ბირჟის სანიტარული მდგომარეობა არ არის დამაკმაყოფილებელი. იატაკი უსუფთაოა. გარშემო ჰყრია პაპიროსის ნამწვები და ნაგავი. ამასთან უსუფთაოა ოთახების ზოგიერთი კედლებიც, მაგ., ახალგაზრდ. სექციის ოთახის № 4: ამ ოთახში „კედლები უსუფთაოა, ჭერზე პაპიროსის ნამწვები ჰკიდია"...

მოიკოჭლებს სამუშაოზე უმუშევრების გაგზავნის წესი. ბირჟა სამუშაოზე გზავნის უმუშევარ—შევებულებს, საწარმონი კი მათ უკანვე გზავნიან და მოითხოვენ გაუგზავნონ პირველ რიგში ისინი, ვინც შეამოკლეს იმავე დაწესებულებებში. ან, მაგალითად, გაზეთში მოთავსებული განცხადებით იწვევენ უმუშევრებს სამუშაოზე გასაგზავნად, ფაქტიურად კი გზავნიან სხვებს (ასე შემთხვა ამხ. ალ. ქაჯაიას). ეს უმუშევართა აღშფოთებას იწვევს.

უმუშევრებს ყოველთვის ზრდილობიანათ და ყურადღებით არ ეპყრობიან. შრომის ბირჟის გამგე ამხ. **არეშიძე** ხანდახან მეტის-მეტად უხეშად იქცევა, დედის გინებასაც კი მიმართავს ხოლმე... „თავდასხმის" დღეს, მაგალითად, მოხდა შემდეგი. შრომის ბირჟის გამგეს ამხ. არეშიძეს უმუშევარმა ბაგრომოვმა განუცხადა, რომ ის ვერ წავა ისეთ სამუშაოზე, რომელიც ტვირთის გადაზიდვასთან არის დაკავშირებული. ამის საპასუხოდ ამხ. არეშიძემ დედის გინება დაუწყო და ბირჟიდან გამორიცხვით დაემუქრა. ამას მოწმენი ადასტურებენ.

მოხდა ასეთი შემთხვევაც. მორიგე უმუშევარმა, რომელიც კარებში იდგა, ხელი ჰკრა მეორე უმუშევარს, რომელსაც შიგნით შესვლა უნდოდა. ამის საპასუხოდ ამ უკანასკნელმა მორიგეს გაარტყა. საქმეში ჩაერია ბირჟის გამგე ამხ. არეშიძე. ლაშქრობის მონაწილეებმა სთხოვეს მას მოჩხუბართა გვარების დასახელება. მაგრამ ამხ. არეშიძემ გადაჭრილი უარი განაცხადა: თუ თქვენ არ მოგწონთ, გამოიწვიეთ საგანგებო კომისია ან მილიცია, მე კი არც ერთისა და არც მეორის გვარს თქვენ არ გეტყვითო.

ბევრი უმუშევარია უკმაყოფილო შრომის ბირჟის გამგის ამხ. არეშიძის მოპყრობითა და უყურადღებობით.

კაპრანოვი (დეპოს მუშა), **პავ. გენერი** (დეპოს მუშა); **ვიალკოვი** (დეპოს მუშა), **ჯიქია** (ტრამვაის მუშა).

გეგეჭკორის და კომპანიის უწესოებანი

(თბილისის აღმასკომის საგადასახადო სექცია)

დაწესებულებაში მისვლის დროს შემმოწმებლები დაინტერესდნენ ენახათ გამგე, მაგრამ ის თავის ალაგას არ აღმოჩნდა. თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ გამგე ჩქარა მოვაო. შემმოწმებლებმა გადასწყვიტეს დაეცადათ და დაიწყეს თვალყურის დევნება, თუ როგორ ეპყრობიან თანამშრომლები მიმსვლელებს. მთავარი ინსპექტორი **გეგეჭკორი** ძალზე ნერვიულობდა, მიმსვლელებს უხეშად ეპყრობა, ხშირად უყვირის და კითხვაზე არ იძლევა სწორ პასუხს. ომის ინვალიდმა, საპატიო მილიციელ დავით კოპალიანმა, რომელიც სცხოვრობს საბჭოს ქუჩაზე № 95, მოიტანა ფინანსთა კომისრის მოადგილე ამხ. მესხიდან მიწერილობა განყოფილების გამგე გეგეშიძის სახელზე, სასტუმრო „ბაქოს" დაკეტვის მიზეზების გამოსარკვევად. კოპალიანმა მიმართა გეგეჭკორს (ვინაიდან გამგე იქ არ იყო). გეგეჭკორმა წაიკითხა ქაღალდი და დაიყვირა: „მე თავს დავანებებ სამსახურს და იმ სასტუმროს არ გავხსნი, დაიკარგე აქედანო"-ო.

მათ შორის გაიმართა ხმამაღლა ლაპარაკი, რის შემდეგ საქმეში ჩაერიენ შემმოწმებლები, რომლებმაც მიიწვიეს კოპალიანი და გაიგეს მისგან საქმის ვითარება. კოპალიანმა განაცხადა, რომ სასტუმრო „ბაქო" პირველად იჯარით ჰქონდათ აღებული მოიჯარადრე ფალავს, მელქაძეს და სხვებს ერთი წლის ვადით (გეგეჭკორის ნაცნობ-მეგობრებს). მაგრამ ამ მოიჯარადრეებს არ ჰქონდათ 6 თვის პატენტი. სისხლის სამართლის მილიციამ სასტუმრო „ბაქო"-ში აღმოაჩინა გარყვნილების ბუდე, რის შემდეგ მოიჯარადრენი დააპატიმრეს.



სახლში წასვლის დროს მოვიდა

როგორც გამოირკვა, ერთი თვის განმავლობაში გეგეჭკორი ერთ თავის ამხანაგთან ერთად, რომლის გვარი გამორკვეული არ არის, ითვლებოდა ხსენებული სასტუმროს კომპანიონად, დადიოდა იქ საქეიფოდ და მიჰყავდა გარყვნილი ქალები. ასეთი ქეიფობის დროს გეგეჭკორი ყურადღებას არ აქცევდა პატენტის უქონლობას—მიუხედავად იმისა, რომ არსებული დებულების თანახმად, მათ არ ჰქონდათ უფლება ევაჭრათ უპატენტოთ ორ კვირაზე მეტი.

მოიჯარადრეების დაპატიმრების შემდეგ აღმასკომმა სასტუმრო „ბაქო" იჯარით გადასცა ომის ინვალიდს და საპატიო წითელ მილიციელ დავით კოპალიანს. ამის შემდეგ მასზე დაარიცხეს ყოფილი არენდატორების ძველი დავალიანება. ვინაიდან კოპალიანმა არ გადაიხადა სხვისი ვალი, სასტუმროდან გამოასახლეს მცხოვრებლები და გეგეჭკორმა დაკეტა სასტუმრო.

ზემოხსენებული განცხადებით კოპალიანი ითხოვდა ამ საკითხის გამორკვევას, რაზედაც ზემოხსენებული უხეში სიტყვებით გაუმასპინძლდა გეგეჭკორი კოპალიანს.

როდესაც შემმოწმებლები ეკითხებოდნენ დანარჩენ მომსვლელებს თანამშრომლების მიერ მათთან დამოკიდებულების შესახებ, ეს შეამჩნია გეგეჭკორმა, წამოდგა სკამიდან და წინადადება მისცა მათ დაესახელებიათ, თუ ვინ არიან ისინი და შემდეგ დაეტოვებიათ დაწესებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა ძალით განდევნას. შემმოწმებლებმა მოისურვეს გამგეს ან რომელიმე პასუხისმგებელ თანამშრომელს მოლაპარაკებოდნენ, მაგრამ ვერ ეღირსენ. პირიქით შეუტიეს შემმოწმებლებს, რომ დაუყოვნებლივ დაეტოვებიათ დაწესებულება. ასეთ შემოტევაში მონაწილეობას იღებდნენ შემდეგი პირები: თვითონ **გეგეჭკორი** უხეში სიტყვებით და ყვირილით; კომკავშირელი **ნიკოლაიშვილი** და კომპარტიის წევრი **ზუბიაშვილი,** რომელმაც უწოდა მათ დეზორგანიზატორები; ის შემმოწმებლებს დაპატიმრებით ემუქრებოდა, თუ არ დასტოვებდნენ დაწესებულებას. შემმოწმებლები იძულებული გახდნენ დაეტოვებიათ დაწესებულება.

ამის შემდეგ, 10 საათზე შემმოწმებლები ავიდნენ მეორე სართულზე — სარაიონო-საფინანსო კანცელარიაში და მიმართეს ცნობათა ბიუროს, მაგრამ იქ არავინ არ აღმოჩნდა. 10 წუთის შემდეგ 10 საათსა და 10 წუთზე სამსახურში გამოცხადდა მელიქოვა, რომელიც სისტემატიურად იგვიანებს.

შემმოწმებლები ისევ დაბრუნდნენ საგადასახადო სექციაში, სადაც მეორე ხელ იკითხეს გამგე, მაგრამ ის კვლავ არ აღმოჩნდა. გამოირკვა, რომ გამგე სამსახურში სულ არ გამოცხადებულა, ხოლო მისი მოადგილე წავიდა საფინანსო განყოფილებაში და თავის ალაგას დასტოვა გეგეჭკორი. ამ დროს მომსვლელები იდგნენ რიგში და ელოდებოდნენ ზემოხსენებულ თანამშრომლებს.

უნდა აღინიშნოს, რომ არც ერთ მაგიდასთან არ არის ცნობა, თუ ვინ რა მოვალეობას ასრულებს, და მომსვლელებს უხდებათ სხვადასხვა პირების გამოკითხვა. დაწესებულებაში არ არის პასუხისმგებელი კომუნისტი, სამაგიეროდ იქ ბლომად შეხვდებით არასასურველ ელემენტებს.

ჩხეიძე, (მთ. სახელოსნო) **ერემანი,** **ვიშინსკაია** (ავეჯეულობის ქარხანა)

კორესპონდენციებს მუშების ლაშქრობის დროს აღმოჩენილ უმზგავსოებათა სხვა ფაქტების შესახებ მოვათავსებთ ჩვენი გაზეთის ხვალინდელ ნომერში.

თბილისის მაზრის საბჭოთა ყრილობა

მესამე დღე

დილის სხდომა

5 აპრილის დილის სხდომაზე დამთავრდა კამათი თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობის გარშემო, კამათში მონაწილეობა მიიღო [illegible] დელეგატმა.

კამათი თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობის გარშემო

მესამე დღის დილის სხდომაზე გამოსულმა ამხანაგებმა ხაზი გაუსვეს იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც წინანდელმა ორატორებმა აღნიშნეს (აღმასკომის სუსტი კავშირი ადგილებთან, ბიუროკრატიზმი და აპარატის მოუქნელობა, სუსტი ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებზე, უყურადღებობა სოფლის კეთილმოწყობის საქმეებისადმი და სხვა).

ზოგიერთი ამხანაგი შეეხო საკითხს, რომელიც სხვებს გამორჩათ. ასეთია მაგალითად—უმუშევრობასთან ბრძოლის საკითხი, როგორც ამხ. ლოგინოვა აღნიშნავს, უმუშევრობასთან ბრძოლა წესიერ კალაპოტში ვერ არის ჩაყენებული, შრომის ბირჟაში ადგილი აქვს პროტექციონიზმს, დაწესებულებებში—მუშა-მოსამსახურეების შრომის ბირჟის გარეშე აყვანას; მომავალმა აღმასკომმა ამ უწესრიგობას ბოლო უნდა მოუღოს და ამავე დროს იზრუნოს უმუშევართა დახმარებისა და მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.

ერთ-ერთი დელეგატი ხევსურეთიდან—ამხ. თოფაძე ყრილობას აცნობს ამ კულტურულად ჩამორჩენილ კუთხის დღევანდელ მდგომარეობას; ამ კუთხეში,—ამბობს იგი—ისევ მაგრათ არის ფეხგადგმული პატრიარქალური ადათები, თუმც ისეთ მოვლენებს, როგორიც არის სისხლის აღება, შურისძიება, უკანასკნელ ხანებში შემცირება ემჩნევა. ამჟამად ხევსურეთში გახსნილია სამი სკოლა და ერთი საექიმო პუნქტი, რაც ძალიან მცირეა იმ მისწრაფებასთან შედარებით, რომელსაც იჩენს ადგილობრივი მოსახლეობა სწავლა-განათლებისა და კულტურული ცხოვრებისადმი. აუცილებლად უნდა გადიდდეს, როგორც სკოლების, ისე საექიმო - საფერშლო პუნქტების რაოდენობა. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბრძოლას ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, რომელიც მთიულეთში ძლიერ არის გავრცელებული. ხევსურეთში არაყს, სხვა მაგარ სასმელებს ეძალებიან ყველა—ღრმა მოხუცებულიდან დაწყებული ყმაწვილ ბავშვამდე. მეტია ლაპარაკი ქართულ სამეურნეო მუშაობაზე. მთიულეთში პირველ რიგში არ მოწესრიგდა გზების საკითხი, უგზოობის გამო მთელი რაიონი ზამთრის განმავლობაში მოწყვეტილი ხდება ქვეყანას, ახალმა აღმასკომმა ადგილობრივ მოსახლეობას უპირველესად უნდა დაეხმაროს გზების გაყვანაში.

ამხ. ხიმშიაშვილი (წალკის რაიონიდან) საჭიროდ სთვლის გეგმიანი საბინაო მშენებლობის გაძლიერებას სოფლებში. სადაც გლეხობას ბნელ მიწურებსა და გომურებში უხდება ცხოვრება, ეხლა უკვე აქვს სურვილი თავიანთი ბინების, იწყებენ ქალაქის ტიპის სახლების აგებას, მაგრამ საქმეს აბრკოლებს ხე-ტყის სიძვირე და ნაკლებობა. აღმასკომმა უნდა მიიღოს ზომები მოსახლეობისათვის იაფი ხე-ტყის მისაწოდებლად და მთელი მხრივ ადგილობრივი საბინაო მშენებლობის ტექნიკურ ძალებით უზრუნველყოფისათვის.

დილის სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ანცხაძემ (ჯან. განყ. გამგ.), ტაბიძემ (წითელი არმ.), ფეიქრიშვილმა (სართიჭალის) ზურიძემ (ყაზბეგის რაიონი), მარიანოვმა, ამარაულმა, შოცკიმ, გ. დოლიძემ, გარიშვილმა; დევიძემ, კ. ქაცარავამ და სხვ.

ამხ. ავაქოვის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. ავაქოვი აღნიშნავს, რომ დელეგატების კრიტიკა იყო მეტად საქმიანი და მნიშვნელოვანი; კამათმა მომავალ აღმასკომს მისცა დიდი ძალი მასალა, რომელიც საფუძვლად დაედება მის შემდგომ მუშაობას აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში.—მართალია,—ამბობს მომხსენებელი,—რომ აღმასკომს სუსტი კავშირი ჰქონდა ადგილებთან და ვერ უწევდა მათ სათანადო ხელმძღვანელობას, ისიც სწორია, რომ აღმასკომის აპარატს ახასიათებს ბიუროკრატიზმი და მოუქნელობა. მაგრამ ერთბაშად ამ ნაკლოვანებების გამოსწორება შეუძლებელია, ენერგიული ღონისძიებებით ჩვენი აპარატის ეს მთავარი სენი თანდათანობით დაძლეული იქნება, მაგრამ ამავე დროს ასეთი ენერგიული ზომები უნდა იქნეს მიღებული ამ სენით არა ნაკლებ დაავადებულ ადგილობრივ აპარატის გასაჯანსაღებლად.

სწორი არ არის შენიშვნა, თითქოს თბილისის აღმასკომი მაზრისათვის მცირე თანხებს იღებდეს, წელს მაზრის საჭიროებისათვის გადადებულია 3.400.000 მანეთი, ე. ი. 250.000 მანეთით მეტი, ვიდრე გასულ წელს, მაშინ, როცა მაზრიდან შემოსული თანხა 1.120.000 მანეთს არ აღემატება. თბილისის აღმასკომი სოფელზე გაცილებით უფრო მეტს ხარჯავს, ვიდრე საქართველოს და წარმოიდგინეთ—საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების სამაზრო აღმასკომები, თუ თვითეულ სულზე საშუალოდ საქართველოში 7—8 მანეთი იხარჯება, თბილისის აღმასკომი ყოველწლიურად სულზე ხარჯავს 14 მ. 30 კაპ. ეს ციფრი სარეკორდოა მთელი საბჭოთა კავშირისათვის; რასაკვირველია, ეს თანხა არ აკმაყოფილებს მაზრის მთელ მოთხოვნებს, მაგრამ აღმასკომი იძულებულია თავისი მუშაობა შეუფარდოს ფინანსიურ შესაძლებლობას და მის მიხედვით მიიღოს სათანადო ღონისძიებანი.

ზოგიერთმა ამხანაგმა გამოსთქვა საყვედური, რომ სხვა და სხვა რაიონების თბილისზე მიკერებით, მოსახლეობა დაშორდა ხელისუფლების ორგანოებს; ეს მართალი იქნებოდა, რომ ახლო [illegible] არ ხდებოდეს საქართველოს დარაიონება, რომლის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ხელისუფლების ორგანოების დაახლოვება მოსახლეობასთან. დარაიონების პროექტის მიხედვით თბილისის ემატება კიდევ ბორჩალოს მაზრა და ამგვარად იქნება ერთი ოლქი, რომელიც დანაწილებული იქნება 11 რაიონად. რაიონს ეყოლება თავისი აღმასკომი, თვითეულ რაიონში შევა [illegible] თემი, რაიონს გარდა მოეწყობა სასოფლო საბჭოები, რომელთა რიცხვი თბილისის ოლქში მიაღწევს 115-ს; ეს ღონისძიება, როგორც ვფიქრობთ, გამოიღებს სასურველ შედეგებს იმ მხრივ, რომ გაძლიერდება უშუალო კავშირი ხელისუფლების ორგანოებსა და მოსახლეობის შორის და გაცხოველდება მშრომელი მოსახლეობის მონაწილეობა და მოქმედება სოფლის სამეურნეო კულტურულ მშენებლობაში.

რეზოლიუცია თბილისის აღმასკომის მუშაობის შესახებ

ამხ. ავაქოვის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელიც თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის მუშაობას აღიარებს დამაკმაყოფილებლად და ამ მუშაობის პოლიტიკურ ხაზს სწორად. ვრცელი რეზოლიუციის დამუშავება ყრილობამ დაავალა პრეზიდიუმს.

ამხ. მ. ცხაკაიას მისალმება

შუა სხდომაზე ყრილობას ეწვია ამ.-კავკ. და საქ. ცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. ცხაკაია, რომელსაც ყრილობამ ოვაციები გაუმართა. ამხ. მიხა მიესალმა რა ყრილობას ამ.-კავკ. და საქ. ცაკის მთავრობის სახელით, შეჩერდა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე მდგომ ამოცანებზე და ურჩია ყრილობას ნაყოფიერი მუშაობა ამ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად.

საღამოს სხდომა

5 აპრილის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენება სოფლის მეურნეობის მდგომარეობაზე და მის განსავითარებლად საჭირო ღონისძიებებზე.

სასოფლო მეურნეობა თბილისის მაზრაში და ღონისძიებები მის განსავითარებლად

(ამხ. ლ. სუხიშვილის მოხსენება)

სოფლის მეურნეობის განვითარება, ამბობს მომხსენებელი, არის საბჭოთა ხელისუფლების ერთი მთავარი ამოცანა, რომელიც მჭიდროთ არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხთან. მრეწველობის ზრდამ საბჭოთა რესპუბლიკებში წინ გაუსწრო სასოფლო მეურნეობის განვითარებას და ამ მეურნეობის საერთო შემოსავლიანობის ზრდას. თუ სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი გაუთანასწორდა ინდუსტრიალიზაციის ტემპს, მრეწველობას დაუძლეველი დაბრკოლება გადაეღობება წინ, რადგან იგი არ იქნება უზრუნველყოფილი ნედლეულობის სრული მარაგით და მეორე მხრივ — სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ნაკლებობა შეაფერხებს სამრეწველო წარმოებებში ჩაბმულ მუშა ხელის ნორმალურ მუშაობას. სწორედ ამიტომ სოფლის მეურნეობის განვითარება, მისი მოსავლიანობის გადიდება გახდა ხელისუფლების ერთ-ერთ გადაუდებელ მთავარ ამოცანად. საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ უკვე გამოცემულია დადგენილება, რომლის ძალით ამ უახლოეს 5 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა გადიდებულ უნდა იქნას 32—35 პროც-ით. საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონებში ჩატარებულმა ცდებმა სცხადჰყვეს, რომ მოსავლიანობის გადიდება ზემოხსენებულ პროცენტით შესაძლებელია.

უკვე სავსებით გამორკვეულია ის გზები, რომელთა საშუალებით უნდა მოხდეს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარება, მისი მოსავლიანობის ზრდა. პირველი გზაა დაქუცმაცებულ წვრილ მეურნეობათა კოლექტივებში გაერთიანება, მეორე — საბჭოთა მეურნეობათა მოწყობა და მესამე — ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათა ხელის შეწყობა.

სასოფლო მეურნეობის განვითარების ამ სამ გზას ვერ აუხვევს გვერდს საქართველო, კერძოთ თბილისის მაზრის სოფლის მეურნეობა, რომელსაც ამ უკანასკნელ წლებში წინსვლა ეტყობა. მაგ. 1926 წელს თბილისის მაზრაში ნათესების სივრცე უდრიდა 79 ათას ჰექტარს, ხოლო 1928 წელს 87 ათას ჰექტარს მაგრამ ასეთი ტემპით ზრდა საკმაო არ არის. თბილისის მაზრაში წელს უნდა დაითესოს 94 ათასამდე ჰექტარი, აქედან შემოდგომაზე უკვე დათესილია 49 ათასი ჰექტარი, ხოლო ამ გაზაფხულზე დასათესია 45 ათას ჰექტარამდე. ჩვენ ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ თუ სავსებით არა, ეს გეგმა დაახლოვებით მაინც შევასრულოთ. თესლის ნაკლებობა და ჩვენი აპარატის მოუწყობლობა, მისი მოუქნელობა დიდათ აფერხებს ამ გეგმის სრული 100 პროც. შესრულებას. მაგრამ ჩვენს ხელთ არის მთელი რიგი ღონისძიებები, რომელნიც სათანადო ეფექტს მოგვცემენ, თუ ეს ღონისძიებები გადაუხვევლად და თავის დროზე იქნა მიღებული. ამ ღონისძიებებს შორის პირველი ადგილი უჭირავს მარტივი სახის აგრონომულ ღონისძიებებს: სათესლე მასალის გაწმენდას ტრიერების საშუალებით, ჯიშიანი ხორბლეულობის შერჩევას, თესლის წესიერ დახარისხებას, მიწის დამუშავებას გაუმჯობესებული იარაღებით, ნიადაგის განოყიერებას და სოფლის მეურნეობის მავნებლებთან ბრძოლას. აქ თავიდანვე უნდა მივიღოთ ზომები, რომ გამოუყენებელი არ დარჩეს სოფლად გაგზავნილი არც ერთი სას.-სამ. მანქანა - იარაღი. ყოვლად დაუშვებელია ტრიერის ერთს ადგილზე გაჩერება; ტრიერი უნდა მოძრაობდეს ერთი სოფლიდან მეორე სოფელში და ადგილობრივ ახდენდეს თესლის დახარისხებას. სავსებით უნდა იქნენ დატვირთულნი და გამოყენებული სას.-სამ. იარაღების გასაქირავებელი პუნქტები, რომლებმაც მიზნათ უნდა დაისახონ მოუხნან, თესლი გაუწმინდონ, დაუფარცხონ, მოუმკან და გაულეწონ სოფლის მეურნეთა, რაც შეიძლება მეტ რიცხვს. ამასთან ერთად ხშირად უნდა გაიმართოს საუბრები მოსავლიანობის გადიდების და საამისო ღონისძიებების შესახებ.

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს აგრეთვე მიწათმოწყობის დაჩქარება. დღემდე თბ. მაზრაში მოწყობილია 113.202 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა; მოსაწყობია კიდევ 75 ათას ჰექტარამდე. დღემდე სწარმოებდა უმთავრესად კომლობრივი მიწათმოწყობა რაც არ შეეფერება ჩვენი სას.-მეურნეობის ამოცანებს. მიწათმოწყობას აუცილებლად ჯგუფური ხასიათი უნდა მიეცეს, რომ ჩვენ შემდგომში გაგვიადვილდეს გლეხობის გადაყვანა მიწების კოლექტიურ დამუშავებაზე.

მოსავლიანობის გადიდებისათვის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა კონტრაქტაციის სისტემა, რომელსაც აუცილებლად უნდა დაეყრდნონ თავის მუშაობაში ის ორგანიზაციები, რომელთაც უშუალოთ ევალებათ ღონისძიებების გატარება სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად.

ერთ - ერთი გარემოება, რომელიც წინ ეღობება ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებას, არის ამჟამად გამწვავებული კლასიური ბრძოლა სოფლად. კულაკური გლეხობა არ ერიდება არავითარ საშუალებას, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობა ააცდინოს იმ გზას, რომელსაც სოფლის მეურნეობა აღორძინებისა და განვითარებისაკენ მიჰყავს. სოფლის მშრომელთა აქტიობით, ყველა ორგანიზაციების გაერთიანებული ძალებით და ზემოხსენებულ ღონისძიებათა გატარებით ჩვენ შევძლებთ ჩვენი კლასიური მტერის დაძლევას, მის სრულ განიარაღებას.

საბჭოთა ყრილობები

აჭარისტანის საბჭოების მე-8 ყრილობა

ბათომი, 5 აპრილი. 5 აპრილს დღისით სახელმწიფო თეატრში გაიხსნა აჭარისტანის საბჭოების მერვე ყრილობა.

ყრილობას დაესწრო 700-ზე მეტი დელეგატი. საპატიო პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ იქნენ ამხ. სტალინი, კალინინი, რიკოვი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, ბუხარინი, ვოროშილოვი, ორახელაშვილი, ცხაკაია, ფილიპე მახარაძე, კახიანი და გოგიბერიძე.

შემდეგ არჩეულ იქნა საპატიო პრეზიდიუმი 57 კაცის შემადგენლობით, რის შემდეგაც ყრილობამ მიიღო შემდეგი დღის წესრიგი: საქართველოს მთავრობის მოხსენება—ამხ. ელიავა, აჭარისტანის მთავრობის საანგარიშო მოხსენება—ამხ. გურელიძე, აჭარისტანის ცაკის არჩევა და [illegible] საქართველოს საბჭოთა მე-5 ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევა.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა მრავალი მისალმება პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ხულოს მაზრის მუშების, გლეხების და აჭარელ ქალებისაგან.

ყრილობას მიესალმა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდალი ამხ. ავქსენტიევსკი, რომელსაც ყრილობამ ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით შეეგება. (ოდს).

ზუგდიდის მაზრის საბჭოთა ყრილობა

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისგან)

ზუგდიდი, 4 აპრილი. სამი აპრილის სხდომაზე სამაზრო აღმასკომის მუშაობის შესახებ ამხ. გრ. გაბუნიამ თავის მოხსენებაში დაახასიათა ის მიღწევები, რაც გაუკეთებია მაზრაღმასკომს საანგარიშო წლის განმავლობაში, როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის გარდაქმნის საქმეში. მომხსენებელი შეეხო აგრეთვე არსებულ ნაკლსაც და გააცნო ყრილობას, თუ რა უნდა გაკეთდეს მომავალში.

მოხსენების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 114 კაცმა, მათ შორის 19 ქალმა. კამათში გამოსულმა ორატორებმა მოითხოვეს სოფლის მეურნეობის გარდაქმნას კოლექტივების და ჯგუფური გაერთიანების გაძლიერებით, მოსავლიანობის გადიდებას. გზების შეკეთებას, აღმშენებლობის გაძლიერებას, ცრუმორწმუნეობასთან ბრძოლას და სხვა. აგრეთვე აღნიშნა ის დიდი მიღწევები, რაც გაუკეთებია მაზრა-აღმასკომს საანგარიშო წლის განმავლობაში. თუ ზუგდიდის მაზრაში ორი წლის წინად კოლექტივების ჩანასახიც არ მოიპოვებოდა, დღეს ჩვენ გვაქვს 62, ისიც მძლავრი კოლექტივები, სადაც გაერთიანებულია მრავალრიცხოვანი მშრომელი გლეხები და გლეხი ქალები. აგრეთვე შენდება და იზრდება ქალაქის აღმშენებლობა და კეთილ-მოწყობა. დღითი დღე იზრდება ლტოლვა კოოპერაციის რიგებში მშრომელ გლეხობის, რაც გზას უკაფავს სოციალიზმს.

ამხ. გაბუნიას მოხსენების შემდეგ თანამომხსენებლად გამოვიდნენ ამხ. გოლეთიანი, რომელიც შეეხო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და ჩაის კულტურის მნიშვნელობას. შემდეგ გამოვიდა აგრონომი ნინუა, რომელიც შეეხო მოსავლიანობის გადიდების საკითხს.

მეექვსე სხდომაზე ამხ. გაბუნიას საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სამაზრო აღმასკომის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად და აირჩია სამაზრო აღმასკომის პლენუმი 73 წევრისა და 19 კანდიდატისაგან.

ყრილობას მოულოდნელად ესტუმრა სოხუმიდან დაბრუნებული ამხ. ფილიპე მახარაძე, რომელსაც დიდი ოვაციებით და მქუხარე ტაშით შეხვდნენ. ამხ. ფილიპე მოკლე სიტყვით მიესალმა ყრილობას.

საქართველოს ყრილობაზე არჩეულია 14 დელეგატი, მათ შორის ამხ. ფილიპე მახარაძე, ხომერიკი, ტ. [illegible] და მართა ორახელაშვილი.

4 აპრილს, საღამოს მოწვეულ იქნა პლენუმის პირველი სხდომა ამხ. ფილიპე მახარაძე და კოწია ხომერიკის თანდასწრებით. პლენუმმა გამოყო პრეზიდიუმი 21 წევრისაგან და 7 კანდიდატისაგან.

სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარეთ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. მიშა გაბუნია, მოადგილეთ ამხ. ბესო ჯანაშია. განათლების განყოფილების გამგეთ ფიფია, კომუნალური განყოფილების გამგეთ ამხ. ჯანაშია, სადგილ-მამულო განყოფილების გამგეთ ცხართია, საფინანსო განყოფილების გამგეთ ვასილ სიჭინავა, ადმინისტრატიული განყოფილების უფროსად როგავა, ინფორმბიუროს უფროსად ზაქარაია, საერთო განყოფილების გამგეთ ეგუტია, შრომის ინსპექტორად ამხ. ნადია ვახარია.

ა. კოდუა.

საშეფო საზ-ზის კვირეული

ლენინის რაიონში

საშეფო საზოგადოების კვირეულთან დაკავშირებით ლენინის რაიონში ტარდება მოხსენება-საუბრები, წარმოება-დაწესებულებათა კომუჯრედებიც იხილავენ საშეფო მუშაობის საკითხებს, იმუშავებენ ღონისძიებებს საშეფო ორგანიზაციის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის და მისი მუშაობის გამოჯანსაღებისათვის. საშეფო რაი-საბჭოში გაჩაღებული მუშაობაა. ყველა ემზადება; ყველა ცდილობს, რომ საშეფო კვირეული კარგად ჩატარდეს და ხელი შეეწყოს ქალაქისა და სოფლის კავშირის განმტკიცებას.

31 მარტს საშეფო კვირეულის პირველ დღეს, ლენინის უბანში გაკრულია სპეციალურად გამოცემული პლაკატები—შესაფერი ლოზუნგებით. დილიდანვე აირივნენ ყულაბიანი ამხანაგები. გროვდება შემოწირულება. მუშები სიამოვნებით იღებენ თავიანთ წვლილს. იმ რწმენით, რომ მათ მიერ გაღებული ფული მოხმარდება დანიშნულებას. კვირეულის ჩატარებაში საშეფო საზოგადოების აქტივი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს. ყველა წარმოება-დაწესებულებასთან დაარსდა ახალი საშეფო უჯრედები (კალინინის სახ. ქარხანა, სავაჭრო პარკი, მაუდის ფაბრიკა, რკინის გზის სახელოსნო, ანძის მშენებლობის ქარხანა და სხვ.).

რაიონის საშეფო უჯრედებში დაიწყო ბიუროთა გადარჩევები. 2 აპრილს, საღამოს ორჯონიკიძის სახ. კლუბში ჩატარდა მოხსენება კვირეულთან დაკავშირებულ საკითხებზე, 4 აპრილს მოხსენება ჩატარდა ამავე საკითხებზე ცენტრალურ მუშათა კლუბში, 7 აპრილს პლეხანოვის კლუბში და სხ. რაიონის ზოგიერთი საშეფო უჯრედები კვირეულის ჩასატარებლად გამგზავრნენ საშეფო სოფლებში.

26 კომუნარის რაიონში

მიუხედავად იმისა, რომ 26 კომუნარის რაიონში წინასწარ ჩატარდა მოსამზადებელი მუშაობა საშეფო კვირეულისათვის, კვირეული მაინც სუსტად მიმდინარეობს. კვირეულის პირველ დღეს—31 მარტს, რაიონში მუშაობდა მხოლოდ 20 ფულის შესაგროვებელი ყულაბა. ამის გამო პირველ დღეს ძალიან მცირე თანხა იქნა შეგროვილი. კვირეულის ჩატარებას აფერხებს ის გარემოება, რომ ადგილობრივი ორგანიზაცია-დაწესებულებანი, არ უწევენ შესაფერ დახმარებას საშეფო საზოგადოებას. თვით უჯრედის აქტივიც არ არის გამოყენებული მუშაობაში.

საშეფო რაისაბჭო ყოველგვარ ზომებს იღებს კვირეულის წარმატებით ჩასატარებლად. შაბათს და კვირას აღმშენებელთა და ტყავ-ტრესტის კლუბებში იმართება დიდი საღამო—წარმოდგენები საშეფო-ორგანიზაციების სასარგებლოდ.

საშეფო უჯრედების გადარჩევა რაიონში კარგად მიმდინარეობს. კვირეულის დამთავრების შემდეგ რაი-საბჭოს განზრახული აქვს დაათვალიეროს ადგილებზე მუშათა ბრიგადების მუშაობა.

გაზაფხულის თესვისათვის

თესვის კამპანიის დეფექტები

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ჩაატარა ზუგდიდის და სენაკის მაზრების გამოკვლევა იმ მხრივ, თუ რამდენად მომზადებულნი არიან ეს მაზრები გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩასატარებლად.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი ამხ. გვარამია, რომელმაც გამოკვლევა ჩაატარა, აღნიშნავს, რომ ამ მაზრებში კამპანიის გატარების დროს ძირითად დეფექტს წარმოადგენს კავშირის უქონლობა საკრედიტო ამხანაგობებსა და თესვის ჩამტარებელ სამაზრო კომისიებს შორის. სამაზრო კომისიებმა არ იციან, თუ როგორ აღწევს მოთესლეებამდე სათესლე მასალა და სასოფლო-სამეურნეო მანქანები.

ახუთის და ზუგდიდის საკრედიტო ამხანაგობებმა მიიღეს ისეთი გუთნები, რომლებიც ადგილობრივი ნიადაგის პირობებს არ შეეფერებიან, რის გამოც გლეხებმა არ მიიღეს ეს გუთნები. მაზრებში მოწყობილი არ არის სარემონტო სახელოსნოები, რადგანაც საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გვიან გაიღო ფული მათ მოსაწყობად (თუმცა კრედიტები გახსნილი იყო თავის დროზე—დეკემბერში). ეს იწვევს ისეთ მოვლენებს, რომ, მაგალითად ტრაქტორის ვინტი, რომელიც 30 კაპეიკი ღირს, 40 მანეთი დაჯდა, რადგანაც საჭირო გახდა ზუგდიდიდან თბილისში სპეციალური მუშაკის მივლინება.

საჭიროა აღინიშნოს; თუ როგორ მუშაობს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აჯამეთის საცდელი სადგური.

საქართველოს ცაკის დადგენილების თანახმად, ადგილებზე სწარმოებს სათესლე სიმინდის გადარჩევა წმინდა ხარისხის თესლის ფონდის შესაქმნელად, ამ დირექტივის განსახორციელებლად აჯამეთის სადგურმა ზუგდიდის მაზრაში დასათესად გაგზავნა დაახლოებით 400 კილოგრამი სიმინდი, მაგრამ როდესაც ეს თესლი ადგილობრივ ლაბორატორიული წესით გამოიკვლიეს, აღმოჩნდა, რომ ის არა თუ დასათესად, არამედ საკვებადაც კი არ ვარგოდა.

სამაზრო საკრედიტო ამხანაგობებს „სოფლის კავშირმა“ მისცა დავალება კონტრაქტები დაედოთ 1.500 მეურნეობასთან და გარდა ამისა რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა. საკრედიტო ამხანაგობებმა კონტრაქტები დასდეს 3.000 მეურნეობასთან, მაგრამ პირველი ავანსის დასარიგებლად „სოფლის კავშირმა“ ფული გადასცა მხოლოდ 1.500 მეურნეობისათვის. (ოდს).

როგორ მიმდინარეობს ნათესების კონტრაქტაცია

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა მოახდინა გამოკვლევა იმისა, თუ რამდენად სრულდება საქართველოში გაზაფხულის ნათესების კონტრაქტაციის დადებული ხელშეკრულებები.

გამოირკვა, რომ „სოფლის კავშირი“-ს მიერ დირექტივა ხორბლეულ ნათესების კონტრაქტაციის შესახებ მიცემული იყო სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებისათვის ცალკე რაიონების რეალურ შესაძლებლობათა გაუთვალისწინებლად (მაგალითად, გორის საკრედიტო ამხანაგობას წინადადება მიეცა კონტრაქტაცია ჩაეტარებინა 80 ჰექტარ ხორბალზე, იმ დროს, როდესაც ამ რაიონში ხორბალი კლიმატიურ პირობების გამო არ ითესება).

ამის გამო, და აგრეთვე არასაკმარისი ხელმძღვანელობის მიზეზით კონტრაქტაციის გეგმის შესრულების პროცენტი ადგილებზე ძალიან ქანობს.

ასე, მაგალითად, გორის საკრედიტო ამხანაგობამ კონტრაქტაციის გეგმა შეასრულა 20 პროც., მარანის ამხანაგობამ კი—475 პროცენტით.

„სოფლის კავშირი“ ყურადღებით არ მოეპყრო იმ აგრიკულტურულ ღონისძიებების მომზადებას და გატარებას, რომლებიც გათვალისწინებული იყო კონტრაქტაციის გეგმით. ზოგიერთ საკრედიტო ამხანაგობებში არსებული სასოფლო-სამეურნეო მანქანები კონტრაქტაციაქმნილი მეურნეობების მოთხოვნილების 10—15 პროცენტსაც კი ვერ ფარავენ.

მუშაობა გლეხების ჯგუფებში გასაერთიანებლად კონტრაქტაციის საფუძველზე ადგილებზე სწარმოებს ნაჩქარევად, წინასწარ გამორკვეული არ არის მეურნეობის სოციალური ბუნება.

შენიშნული დეფექტების აღმოფხვრის მიზნით, ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის საქართველოს სამი დღის განმავლობაში „სოფლის კავშირთან“ ერთად გადასინჯოს კონტრაქტაციის კონტინგენტის განაწილების გეგმა.

ცენტრალურ კამისიაში

შირაქის საბჭოთა მეურნეობა

გაზაფხულის თესვის წარმატებით ჩატარების მიზნით რესპუბლიკანურმა კომისიამ შირაქის საბჭოთა მეურნეობას გადასცა 30.000 მან.

ტრაქტორები

რესპუბლიკანურმა კომისიამ რუსეთიდან მიიღო 2 ტრაქტორი და გადაუგზავნა კახეთის მაზრას.

საკვები სიმინდის ნაკლებობა

რესპუბლიკანური თესვის კომისიის ცნობით ზუგდიდისა, ოზურგეთისა და სენაკის მაზრაში საკვებ სიმინდის დიდი ნაკლებობის გამო შეფერხდა თესვის კამპანია. გაჭირვება იმდენად დიდია, რომ გლეხები იძულებული ხდებიან საკვებათ მოიხმარონ სათესლე მასალა. მიღებულია სასწრაფო ზომები აღნიშნულ მაზრების უზრუნველსაყოფად საკვებ სიმინდით.

ინსტრუქტორ--აგრონომების გაგზავნა

კახეთის მაზრაში ამჟამად სწარმოებს საცდელი მუშაობა მიწის მინერალური სასუქებით გასანოყიერებლად. ცდების წარმატებით ჩატარების მიზნით მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა კახეთში გაგზავნა 7 ინსტრუქტორ-აგრონომი.

მუშაობა ფართოვდება

(წერილი სენაკიდან)

ტრაქტორები სოფელს

მაზრაში 7 ტრაქტორი იყო. თესვასთან დაკავშირებით ხსენებული ტრაქტორები წესრიგში იქნენ მოყვანილნი და სამუშაოდ გადადენენ.

მიღებულ იქნა წელს 2 ახალი ტრაქტორი. 1 ტრაქტორი კი გადმოეცა რკ. გზიდან. ამნაირად მაზრაში უკვე 10 ტრაქტორი მუშაობს. ესენი განაწილებული არიან შემდეგ რაიონებში: 2 ტრაქტორი მუშაობს ქვემო-ჭალადიდში, 1 ზემო-ჭალადიდში, 1 ახალ-სოფელში, 1 ძვ. სენაკში, 2 აბაშაში, 1 მარანში და 2 კი ახალ-სენაკში.

დანარჩენი სას.-სამ. იარაღებით მაზრის მოსამარაგებლად საკრ. ამხ. მიცემული აქვთ წინადადება და ამ მიმართულებით სათანადო მუშაობა სწარმოებს.

კენაფი

კენაფის კულტურას ჩვენში მიმდინარე წლის მიექცა ყურადღება. უკვე კონტრაქტაცია ქმნილია 55 ჰექტარ კენაფზე და 50 ჰექტარს კი დასთესს სენაკის საბჭოთა მამულების ტრესტი. ამნაირად სულ გვექნება 105 ჰექტ. კონოფ. რაც აღემატება მაზრაზე მოცემულ ნორმას.

სიმინდი

უნდა ყოფილიყო კონტრაქტაციაქმნილი 2.500 ჰექტარზე, ეს ნორმა უკვე შესრულებულია და გადაცილებულიც. მუშაობა ამ მიმართულებითაც გრძელდება.

ჩაი

წელს დამატებით უნდა დაითესილიყო 200 ჰექტარზე. ნორმა შესრულებულია. თესვა მოეწყო კოლექტივების საშუალებით. განსაკუთრებით ჩაის თესვა გავრცელდა მაზრის საშუალო და მაღალ რაიონებში.

ვენახი

ბანძის რაიონში წელს მოეწყო ამერიკული ვაზის სანერგე 10 ჰექტარზე. სანერგეში უკვე მუშაობა მიმდინარეობს საკმაო ჩქარობით. და აგრეთვე გაშენებულია საჭირო შენობები. ამ სანერგემ უნდა უზრუნველყოს ბანძის რაიონის მოთხოვნილება ამერიკ. ვაზის ნერგებზე. სალხინოს და ნოსირის საბჭოთა მამულებიდან გლეხებს და ორგანიზაციებს ეძლევათ ვაზის ნერგები შედარებით შეღავათიან ფასებში.

ამავე მამულებში მიმდინარეობს ვაზის მყნობა.

სათესლე საბჭოთა მამული

მაზრას თესლი არ ყოფნის. სათესლე სიმინდი მას აკლდება სისტემატიურად. ამიტომ ქვემო-ჭალადიდის თემში მოეწყო სათესლე საბჭოთა მამული 200 ჰექტარ მიწაზე. აქ უკვე დაწყებულია მუშაობა და ნიადაგის დასამუშავებლად უკვე 2 ტრაქტორი მუშაობს. სიმინდი, რომელიც მოწეული იქნება ამ მამულში—მოხმარდება მაზრის მოსახლეობის საჭიროებას—თესლისათვის.

მუშაობა საბჭოთა მამულებში

საანეულო მუშაობა საბჭოთა მამულებში გეგმიანად დაიწყო წელს და ადრეც. თუმცა წვიმიანი დღეები ხელს უშლის მათ მუშაობას, მაგრამ წელს შარშანდელზე უკეთ იწარმოებს აქ ხვნა-თესვის საქმე. საბჭოთა მამულები წელს უკეთ არიან მომარაგებულნი სას.-სამ. იარაღებით და თესლით, ვინემ წინეთ. ნოსირის და სალხინოს მამულებში აწვდიან მოსახლეობას სხვადასხვა კულტურულ მცენარეების ნერგებს და განსაკუთრებით ვაზის ნერგებს.

ძვ. სენაკის საბჭოთა მამული კი ჯიშიანი ღორებს და ფრინველებს ავრცელებს მოსახლეობაში.

აგრო-პუნქტები

რაიონებში წელს 6 აგრონომი მუშაობს სპეციალურად აგროდახმარებაზე. გარდა ამისა თესვის კამპანიაში ჩაბმულია 36 დანარჩენი აგრონომები, რომელნიც მუშაობენ სას.-სამ. სკოლებსა და ტექნიკუმებში, გლეხ. ახ. სკოლებში და სხვა.

გამოყენებულნი არიან აგრეთვე სას.-სამ. ტექნიკუმის უკანასკნელი კურსის მოსწავლენიც.

ბ. უჩანეიშვილი.

ადგილებზე

ქუთაისის მაზრაში

თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანური კომისიის ცნობით ქუთაისის მაზრაში თესვის კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. აპრილამდე უკვე დახნული იყო მიწების დიდი რაოდენობა. ღარიბს გლეხებსა და კოლმეურნეობებს შორის განაწილებულია 20.000 ფუთი საკვები სიმინდი და 40.000 მ. მუშა-საქონლის შესაძენად.

ადგილობრივ დამზადებულია 6000 ფუთი სათესლე სიმინდი გაწმენდილი და დახარისხებული. ეს სიმინდი გლეხებს მიეცემათ საკვებ სიმინდზე გადაცვლით.

აღსანიშნავია კონტრაქტაციის დიდის წარმატებით ჩატარება მთელს მაზრაში.

კონტრაქტაციამ ისე ფართო ხასიათი მიიღო რომ, ნაცვლად 2500 ჰექტარისა, კონტრაქტაციით დათესილი იქნება 10.000 ჰექტარი.

სათანადო ორგანოებიდან გამოთხოვილია დამატებით თანხები, თესლეულობა და სას.-სამეურნეო იარაღ-მანქანები.

ვინ არღვევს მიწის კოდექსს

მიწების ყიდვა - გაყიდვის წინააღმდეგ ზოგიერთი თემაღმასკომები არ იღებენ ენერგიულ ზომებს. — სასამართლოებში გვიანდება საქმეების განხილვა.—მიწის მყიდველ - გამყიდველნი უნდა დაისაჯონ საბჭოთა კანონების მთელი სისასტიკით.

მივიღოთ გადამჭრელი ზომები

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიწა გამოცხადებულია სახელმწიფო საკუთრებათ და მისი ყიდვა-გაყიდვის უფლება არავის აქვს. კანონმდებლობის თანახმად, ის ისჯება როგორც მიწის მყიდველი, ისე გამყიდველიც. ამ რამოდენიმე წლის განმავლობაში არა ერთი და ორი პიროვნება დაისაჯა სასამართლო ორგანოების მიერ მიწების ყიდვა-გაყიდვისათვის. მიუხედავად ამისა სოფლად ისევ ხშირია მიწის ყიდვა-გაყიდვის შემთხვევები.

მიწის მყიდველ-გამყიდველები სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, რომ ეს ბოროტება დაფარონ. ყიდიან სახლებს და სახლთან ერთად იყიდება მიწაც. ზოგიერთები აკეთებენ ყალბ ხელწერილებს, თითქოს მიწა იჯარით აქვთ გაცემული.

კიდევ უფრო სამწუხაროა ის გარემოება, რომ ზოგჯერ მიწების მყიდველ-გამყიდველთა როლში გამოდიან თვით კომპარტიის წევრებიც სოფლად. ამას ადასტურებს კიცხის თემში მომხდარი ფაქტი.

მიწების ყიდვა გაყიდვა უმთავრესად სწარმოებს იმ რაიონებში, სადაც თემსაბჭოები არ იღებენ გადამჭრელ ზომებს ამ ბოროტების წინააღმდეგ. არა ნაკლები დანაშაული მიუძღვით ამ საქმეში ზოგიერთ საუბნო სახალხო სასამართლოებსაც. სასამართლოები ძალზე აჭიანურებენ მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ მათზე გადაცემული საქმეების განხილვას და ამ ხნის განმავლობაში დამნაშავენი სხვადასხვა კომბინაციებით ადვილად ახერხებენ პასუხისმგებლობიდან თავის დაღწევას, ხოლო ეს გარემოება ათამამებს სხვებსაც.

ზემო-სვანეთში მიწის ყიდვა-გაყიდვას თითქმის ჩვეულებრივი ხასიათი აქვს, იქ მიწას ყიდიან მიცვალებულის დაკრძალვისათვის ხარჯების დასაფარავად. აშკარაა მიწები უმთავრესად იყიდება ღარიბი გლეხების მიერ და მას იძენენ უმთავრესად კულაკები.

მიწების ყიდვა-გაყიდვას ხელს უწყობს აგრეთვე მიწათმოწყობის დაუმთავრებლობაც. ყველაფერი ეს კარგათ უნდა გაითვალისწინონ ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებმა. პირველ ყოვლისა საჭიროა პარტორგანიზაციამ დაუყოვნებლივ გარიცხოს თავის რიგებიდან ისეთი წევრები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან მიწის ყიდვა-გაყიდვაში. ამასთანავე პარტორგანიზაციები სოფლად ფხიზელ კონტროლს უნდა უწევდენ როგორც თემაღმასკომებს, ისე სასამართლო ორგანოებსაც; თუ რამდენად ებრძვიან ეს უკანასკნელნი მიწების ყიდვა-გაყიდვას. კერძოთ სასამართლოებმა სასწრაფოდ უნდა განიხილონ ის საქმეები, რომლებიც მიწების ყიდვა-გაყიდვას შეეხება.

გ. ბ.

მიწის გამყიდველები გათამამდნენ

ტობანიერი, ქუთაისის მაზრა

საბჭოთა კონსტიტუციით მიწა სახელმწიფო საკუთრებას შეადგენს და მისი ყიდვა-გაყიდვა კანონით აკრძალულია. ტობანიერის თემში კი ისევ განაგრძობენ მიწის ყიდვა-გაყიდვას. ტობანიერის თემსაბჭოს პრეზიდიუმის მიერ მიწების ყიდვა-გაყიდვის შესახებ რამოდენიმე საქმე გადაგზავნილია განსახილველად ვანის უბნის სახალხო სასამართლოში, მაგრამ საქმეები 2 წელია რაც განისვენებს ხსენებულ სასამართლოს პორტფელში.

საქმის ასეთ გაჭიანურებამ კიდევ უფრო გაათამამა მიწით მოვაჭრენი. მაგ. პარმენ სიმონის ძე ნეფარიძემ იყიდა 1000 კვ. საყანე ადგილი სახელწოდებით „ზელარა“ 180 მან. თავის ცოლის ძმა ალექსანდრე გიორგის ძე მურკაძისაგან. ეს კი, როგორც ზევით ვსთქვით, სასამართლოს მიერ საქმეების გაჭიანურებით არის გამოწვეული, რასაც უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

საჭიროა ვანის სახალხო სასამართლოში აღმოიფხვრას საქმის გაჭიანურების ფაქტები.

სიმართლე.

თემაღმასკომები უმოქმედობას იჩენენ

(წერილი ზემო-სვანეთიდან)

ზემო-სვანეთში ხშირად აქვს ადგილი მიწის ყიდვა-გაყიდვას, რომლის წინააღმდეგ თემაღმასკომები და საბჭოები არავითარ ზომებს არ ღებულობენ. უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა შემდეგ ფაქტებს: სოფ. ცხუმარში მოქ. მიხეილ არღვლიანმა შეისყიდა ორი დღის სახნავი მიწა პეტრე გურჩიანისაგან. გურჩიანს მოუკვდა ცოლი, მას არ ჰქონდა საშუალება სვანური წესით დაემარხა მიცვალებული და ამ გაჭირვებაში მიიღო სესხად რამოდენიმე ფუთი პური ხსენებულ არღვლიანისაგან, ხოლო სამაგიეროდ დაიგირავა გურჩიანისაგან მიწა. როდესაც გურჩიანმა იშოვა აღებული ვალის დასაფარავი თანხა, მოინდომა მიწის დაბრუნება, მაგრამ არღვლიანმა უარი განაცხადა.

ამას წინად, სოფ. ეცერში გარდაიცვალა ულარიბეს ოჯახის წევრი ყასუმ გურჩიანი. ოჯახს მოუხდა მიწის გაყიდვა მიცვალებულის დაკრძალვისათვის ხარჯების დასაფარავად, რომელიც იყიდა მეზობელ კოსტა გურჩიანმა.

იმავე სოფ. ცხუმარში კოსტა გურლიანმა გაყიდა სათიბი. ასეთი მაგალითები მრავალია.

თემაღმასკომები და საბჭოები ხედავენ ყოველივე ამას, მაგრამ თითქმის არავითარ ზომებს არ იღებენ და არც უმხელენ სამაზრო ორგანოებს.

რომ გაუგებარი არ იყოს მკითხველისათვის, მოკლედ გაგაცნობთ გარდაცვალებულის დაკრძალვის ხარჯებს. საშუალო ოჯახს უნდა ჰქონდეს 35-40 ფ. პურის ფქვილი, 70-80 ვედრა სვანური არაყი, რამოდენიმე ფუთი თაფლი და სხვა. ეს მხოლოდ ერთი დღე. გარდა ამისა ვინ იცის რამდენს ხარჯავს სვანები მიცვალებულის „სულის საცხონებლად“. ასეთი საშინელი წესების მსხვერპლი არა ერთი და ორი ოჯახი ხდება ზემო-სვანეთში.

წარსულ წლებში სამაზრო ორგანოების მიერ იყო დადგენილება, რომ მოსახლეობას არ მისცემოდა უფლება მიცვალებულის დამარხვის დღეს დაეხარჯა 12-15 ფუთ პურზე მეტი და სხვა, მაგრამ ახლა ამ დადგენილებას არავინ აქცევს ყურადღებას და სამწუხაროდ არც სამაზრო ორგანოები ღებულობენ გადამწყვეტ ზომებს დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად.

მიწის ყიდვა-გაყიდვის საშუალებით ხდება ზემო-სვანეთში გლეხების დიფერენციაცია, ე. ი. ზოგის გაკულაკება და მრავალის სრულიად გაღატაკება, ხოლო ძველ წესებში უსაშინელესთაგანი არის ზემოხსენებული ჩვეულება, რომელიც ანადგურებს მრავალ გლეხს ეკონომიურად.

აუცილებელია ასეთ დამღუპველ წესების წინააღმდეგ გადამჭრელი ბრძოლა ადგილობრივი ორგანოების მიერ, ხოლო სასტიკი პასუხის მოთხოვნა იმ თემაღმასკომებისათვის, რომლებიც ხელს აფარებენ ზემო-ხსენებულ ფაქტებს.

იმედია სამაზრო აღმასკომი მომავალში მიაქცევს სათანადო ყურადღებას აღნიშნულ მოვლენებს.

პირიმზე.

სახლებთან ერთად მიწებსაც ყიდიან

სოფ. ბრეთი, გორის მაზრა

სოფლიდან წასული ზოგიერთი პირები სოფლად დარჩენილ სახლებს სამოსახლო ადგილთან ერთად ყიდიან. ვფიქრობთ, რომ სახლების გაყიდვა სოფლად შეიძლება მხოლოდ ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანით და ისიც ადგილობრივ ხელისუფლების ნებართვით. სოფ. ბრეთში კი ასე არ მოხდა. აქ ყოფილმა თავადმა ბიჭიკო ავალიშვილმა მიჰყიდა სახლი ამავე სოფელში მცხოვრებ მიშა ზექალაშვილს და თან გააყოლა სასახლკარო ადგილი და გვერდით ბაღი. თუმცა ზექალაშვილი ჯერ არ დამდგარა ამ სახლში, მაგრამ ფულის ერთი ნაწილი კი მიცემული აქვს.

ყოფილმა თავადმა ბიძინა ავალიშვილმა მიჰყიდა ორსართულიანი სახლი მიხა ზექალაშვილს 1.500 მანეთად და თან გააყოლა სამოსახლო ადგილიც. მიხა ზექალაშვილი უკვე მოკალათებულია სახლში. ეს მოხდა ფარულად.

საჭიროა მოხდეს სასტიკი კვლევა-ძიება და დამნაშავეთ მოეთხოვოთ პასუხი. რ.

კიცხელი კომბინატორები

კიცხის თემი, შორაპნის მაზრა

შორაპნის მაზრაში კიცხის თემი ყოფილი თავად-აზნაურებით სახელგანთქმულია, რომლებიც ჯერ კიდევ აწარმოებენ მიწის ფარულად ყიდვა-გაყიდვას.

1921 წელს, მიწის რეფორმის ჩატარების დროს, სოფ. ხონში მოქ. ლოლაძეს ჩამოართვეს საყანე ადგილი, რომელიც გაუნაწილეს გლეხებს, მაგრამ რაღაც მახინაციით ხსენებულ ლოლაძეს მიწა დაუბრუნდა და ფარულად მიჰყიდა ამავე სოფელში მცხ. პეტრე ყიფშიძეს. ეს ამბავი რომ არავის გაეგო, გაავრცელეს ხმა, ვითომ ყიფშიძემ ადგილი კი არ იყიდა, არამედ დაიგირავა 9 წლის ვადით, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ლოლაძემ და ყიფშიძემ ამ ადგილიდან მიყიდეს ორივემ საზიაროდ ამავე სოფლის მცხ. იოსებ ქაშაკაშვილს სამარნე ადგილი. ამის გამო ქაშაკაშვილმა ქეიფი გამართა. ქეიფის გათავების შემდეგ პ. ყიფშიძე და ლოლაძე ორივე ხელიხელ ჩაკიდებულნი ქიქებით ხელში ულოცავენ მიწის ყიდვას ი. ქაშაკაშვილს.

ამნაირად სურდათ მიჩქმალათ ეს ფაქტი სამივე ძმაბიჭებს, მაგრამ ნათქვამია „შუბი ხალთაში არ დაიმალება“-ო. მათი ოინები გამომჟღავნდა და საქმე რაიმილიციის მიერ გადაცემულია სახალხო სასამართლოზე. ქაშაკაშვილი პარტიის წევრია 1921 წლიდან, ყიფშიძეც პარტიის სახელს ატარებს და მსახურობს მემანქანის თანამდებობაზე რკინის გზაზე, ლოლაძე კი უპარტიოა და მსახურობს თბილისში პროვიზორის თანამდებობაზე ერთ-ერთ აფთიაქში.

მიწის მყიდველები ყიფშიძე და ქაშაკაშვილი, რომლებიც სცემენ კომუნისტურ პარტიის პრესტიჟს მშრომელი გლეხობის თვალში, ღირსეულად უნდა დაისაჯონ. ლოლაძე კი მოიხსნას თანამდებობიდან და მიეცეს პასუხისგებაში.

ვანო ყიფშიძე.

დამნაშავეს პასუხს არ სთხოვენ

სოფ. უხუთი, ქუთაისის მაზრა

სოფ. უხუთში სცხოვრობს ონისიმე დავითის ძე სოხაძე, რომელმაც იყიდა სამი ნაკვეთი მიწა: ერთი ნაკვეთი ალექსანდრე გიორგაძისაგან, მეორე ელპიტე გამრეკლიძისგან და მესამე სევერიანე საკანდელიძისაგან. ყველა ესენი მოხდა არა უადრეს 2 ნახევარი წლისა.

იგივე სოხაძე ეწევა მევახშეობას და სასტიკ ექსპლოატაციას გლეხებზე. მაგ. მან ასესხა ფული სოფ. უხუთში მცხოვრებ ევგენი მხეიძეს და ალექსანდრე ქარჩხაძეს თითო თუმანი თვეში 2 მანეთი სარგებლით.

ასე არხეინად დათარეშობს ეს ვაჟბატონი და არავინ პასუხს არ სთხოვს.

ადგილობრივი.

დაფარული ბოროტმოქმედება

(წერილი ლეჩხუმიდან)

სოფ. წიფერჩში (რაჭა-ლეჩხუმის მაზრა) სცხოვრობს ყოფილი მღვდელი გიორგი საბას ძე ლიპარტელიანი. წინეთ ის ცხოვრობდა სოფ. ზარაგულაში. იქ მას ჰქონდა ორ სართულიანი საცხოვრებელი სახლი, მოზრდილი ეზოთი და მამულით. ლიპარტელიანმა ეს მამული გაჰყიდა და აღებული ფულით სახლი შეიძინა თბილისში, თვითონ კი წავიდა საცხოვრებლად სოფ. წიფერჩში, მშობლების ოჯახში.

ეს ვაჟბატონი აქაც იჩენს ბოროტობას. აღნიშნულ ოჯახში დამკვიდრების და თავისუფლად ცხოვრების მიზნით ლიპარტელიანმა ქუჩაში გააგდო ღრმად მოხუცებული მშობლები, რომლებიც თავშესაფარს ეძებენ მახლობელ ნათესავებში.

ამ საკითხის შესახებ საქმე იყო ლეჩხუმის მაზრის მილიციის სამმართველოში, მაგრამ მოისპო, ზარაგულის სოფლის საბჭოს წევრების მიერ გაცემული ცნობით, რომ ვითომც ხსენებულ პირს ზემოდ აღნიშნული მამული გადაეცვალოს. საჭიროა ამ მიჩქმალული ბოროტმოქმედების მზის სინათლეზე გამოტანა და დამნაშავის სათანადოთ დასჯა.

ლეჩხუმელი.

ნათესაური კავშირის გავლენით

წირქვალის თემი, შორაპნის მაზრა

სოფელ ზოდში გრიშა ს. გაფრინდაშვილმა გაჰყიდა სამი ნაკვეთი მიწა. სხვათა შორის ერთი მიჰყიდა სარა გაფრინდაშვილს, (ეს უკანასკნელი წირქვალის თემაღმასკომის თავმჯდომარის სიდედრია). ეს ამბავი კარგათ იცოდა წირქვალის თემის თავმჯდომარემ, მაგრამ რაღასი სიძე იყო თუ ასეთ „პატარა“ საქმეში არ დაეხმარებოდა სიდედრს. ბოროტება მაინც გამომჟღავნდა და გადაეცა სასამართლოს. როდესაც საქმე ირჩეოდა ჭიათურის სახალხო სასამართლოში, მოსამართლე ეკითხება აღმასკომის თავმჯდომარეს: იცოდით თუ არა თქვენ ეს ფაქტი, და თუ იცოდით, რატომ არავითარი ზომები არ მიიღეთ. თავმჯდომარე ურცხვად უპასუხებს: რა ზომები უნდა მიმეღო, ეს ამბავი მოხდა 1927 წელში, იმ დროს გლეხს ნება ჰქონდა მიწის ყიდვა-გაყიდვისა.

ასეთი თავმჯდომარეები სხედან ზოგიერთ თემაღმასკომში და პარტიის ბილეთსაც ატარებენ. ნუ თუ ასეთ პირებს ადგილი უნდა ჰქონდეს კომპარტიის რიგებში?

დამსწრე.

პურის ხარისხის გასაუმჯობესებლად

თბილისი მუშკოოპის გამგეობის მოწოდება

მუშკოოპის გამგეობამ მუშკოოპის ყველა წევრებს მიმართა მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია, რომ პურის წიგნაკების შემოღების შემდეგ საგრძნობლად გაუმჯობესდა მშრომელი მოსახლეობის პურით მომარაგება: მოისპო „კუდები“ და მიღებულია პურის საგრძნობი ეკონომია. პურის ხარისხი კი ჯერ ვერ გაუმჯობესდა; პირიქით; ზოგან ადგილი აქვს პურის ხარისხის გაუარესებას. უკანასკნელ დღეებში იყო შემთხვევები, როცა მუშკოოპის ზოგიერთ პურის დუქნებში ნაყიდ პურში იპოვეს ლურსმნები, პაპიროსი, შუშის ნამტვრევები, ნემსი და სხვ.

მუშკოოპის გამგეობა აღიარებს, რომ ასე მოკლე ხანში კოოპერატიულმა აპარატმა ვერ შესძლო ყველა ნაკლის აღმოფხვრა; მუშკოოპი ყოველ ღონეს ხმარობს, რომ უახლოეს ხანში მიღწეული იქნეს გამომცხვარი პურის ხარისხის გაუმჯობესება. ამასთანავე მუშკოოპის გამგეობა სთვლის, რომ გამომცხვარ პურში, ზემონაჩვენებ ნარევის აღმოჩენა არის შედეგი იმ ანტი-საბჭოთა ელემენტების მუშაობისა, რომლების ნაწილიც შეიპარა კოოპერატიულ აპარატში, ნაწილი კი მუშაობს გარედან. ცდილობს გამოიწვიოს პანიკა და გაართულოს მოსახლეობის პურით მომარაგების საქმე.

გამგეობა სთხოვს მუშკოოპის ყველა წევრს ყოველ ცალკე შემთხვევის შესახებ აცნობონ გამგეობას, სადუქნო კომისიას [illegible] დუქნის ნომრის მითითებით, რომ გამგეობას საშუალება მიეცეს ამ მავნე ელემენტების წინააღმდეგ მიიღოს გადამჭრელი ზომები.

გამგეობა ამასთანავე აცნობებს წევრებს, რომ უკანასკნელ დღეებში პურის ხარისხის გაუარესებისთვის მოხსნილი იქნა სამსახურიდან და პასუხისგებაში იქნა მიცემული რამოდენიმე პურის საცხობის უღირსი მუშა.

მუშკოოპის გამგეობა მოუწოდებს წევრებს შემჭიდროვდნენ მუშკოოპის გარშემო და გამგეობასთან ერთად შეუწყონ ხელი კოოპერატიულ აპარატიდან მავნე ელემენტების ძირიან-ფესვიანად აღმოფხვრას. მუშკოოპის საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პურის ცხობის დეფექტებს. სადუქნო კომისიებში არჩეული უნდა იქნენ შეგნებული, საზოგადოებრივი მუშაკები. რომლებმაც უნდა გააძლიერონ კონტროლი პურის ცხობაზე.

ამასთანავე მუშკოოპი შეუდგა პურის საცხობების გამოკვლევას, რომელსაც მიზნად აქვს დასახული პურის აპარატის გაჯანსაღება.

პროფკავშირთა ყრილობების შედეგები

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება პროფკავშირების რესპუბლიკანურ ყრილობის შედეგების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყრილობები ჩატარებული იქნა 16 კავშირში. ყველა ყრილობებს დაესწრო 1361 დელეგატი. დელეგატების რიცხვი შარშანდელთან შედარებით გაიზარდა.

ყველა ყრილობები ჩატარებული იქნა ფართო თვითკრიტიკის ნიშნით ქვეშ. დელეგატების აქტივობა ძლიერი იყო, რასაც ამტკიცებს კამათში გამოსულთა რიცხვი. სასოფლო-სამეურნეო და სატყეო მუშების კავშირის ყრილობაზე 109 დელეგატიდან კამათში მონაწილეობა მიიღო 82 კაცმა, ხეზე მომუშავეთა ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 52 დელეგატი, კამათში გამოვიდა 71 კაცი (ე. ი. კამათში მონაწილეობას იღებდნენ არა დელეგატი კავშირის წევრებიც); მბეჭდავთა ყრილობაზე 65 დელეგატიდან კამათში მონაწილეობა მიიღო 88 კაცმა, ქიმიკოსთა ყრილობაზე 49 დელეგატიდან გამოვიდა 37, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ყრილობაზე 51 დელეგატიდან კამათში მონაწილეობას იღებდა 48 კაცი.

საკავშირო ორგანოების შარშანდელი არჩევნები არ იყო მთლიანად დამაკმაყოფილებელი, რადგან შემადგენლობის გადახალისება შეეხო უმთავრესად ცენტრალურ გამგეობებს, სამუშაო აპარატში კი გადახალისება გამოიხატა უმნიშვნელო პროცენტში.

წელს კავშირების ცენტრალურ გამგეობების და სარევიზიო კომისიების შემადგენლობა საშუალოდ გადახალისდა 65 პროც., შარშანდელ ყრილობების დროს კი გადახალისება გამოიხატა 55,6 პროც.; ცალკე კავშირების მიხედვით შემადგენლობა გადახალისდა: ხეზე მომუშავეთა კავშირში—82 პროცენტით, ქიმიკოსთა კავშირში—86 პროც., მბეჭდავთა კავშირში—75 პროც., ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირში—75 პროც. ყველაზე ნაკლებ პროცენტს იძლევიან გემოკვების მუშაკები—42 პროც., სასოფლო-სამეურნეო მუშების კავშირი—45 პროც. და მედსანშრომის მუშაკთა კავშირი—55 პროც.

რაც შეეხება კავშირების ცენტრ. გამგეობების სამუშაო აპარატის განახლებას, ფასიან პასუხისმგებელ მომუშავეების აპარატი განახლებულია 61,4 პროცენტით; მთელი 100 პროც. აპარატი განახლებულია ქიმიკოსთა, მკერავთა, ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა და კომუნალური მეურნეობის მუშაკთა კავშირებში. ზოგიერთ კავშირებში კი აპარატი სრულებით არ განახლებულა (მელითონეთა, ფეიქართა, და ტრანსპორტელთა კავშირები), თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთი მომუშავის მომატებას ფეიქართა კავშირში.

ახლად წამოყენებულია პროფესიონალურ სამუშაოებზე—კავშირების თავმჯდომარეებად, მდივნებად და განყოფილებების გამგეებათ—20 კაცი, რომლებიც აქამდე წარმოებებში მუშაობდნენ.

კავშირების ცენტრ. გამგეობების და სარევიზიო კომისიების შემადგენლობაში მამაკაცებია 86,8 პროც., ქალები—13,2 პროც., მუშები—59,1 პროც.; მოსამსახურეები—40,9 პროც., ახალგაზრდები—10,2 პროც.

მარელისის ფაბრიკის პროდუქციის გაიაფებისათვის

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ეირანოვის მოხსენება მარელისის გრეხილი ავეჯეულობის ფაბრიკის პროდუქციის თვითღირებულების გადიდების შესახებ.

პრეზიდიუმმა მიღებულ რეზოლიუციაში აღნიშნა, რომ 28—29 წლის პირველ კვარტალში მარელისის გრეხილ ავეჯეულობის ფაბრიკის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში მოხდა მნიშვნელოვანი გარდატეხა (თვითღირებულება შემცირდა 35 პროცენტამდე), რამაც სკამების დამზადება სავსებით მომგებიან წარმოებათ გადააქცია.

მაგრამ თებერვალ-მარტში ეს მიღწევა გაქრა იმის გამო, რომ ფაბრიკა გადაყვანილი იქნა ნახევარ ფაბრიკატების დამზადებაზე. რისთვისაც ჩატარებული არ ყოფილა საჭირო ახსნა-განმარტებითი მუშაობა (გამორკვეული არ ყოფილა ამ წამოწყების სარგებლობა, ეს საკითხი განხილული არ ყოფილა მუშათა კრებებზე და სხვა), რამაც გამოიწვია მუშაობის გაცდენა, შრომის ნაყოფიერების შემცირება და მუშების გამოყენება არა სპეციალობის მიხედვით.

პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიეთითოს საქ. ს. მ. უ. ს. და სატყეო მრეწველობის ტრესტს იმაზე, რომ აუცილებელია ასეთი მნიშვნელობის ღონისძიებების უფრო მომზადებულად გატარება.

მომავალში თავიდან აცილებული უნდა იქნეს ზემოაღნიშნული დროებითი არანორმალური მოვლენა—თვითღირებულების გადიდება და მიღებული უნდა იქნეს ზომები მუშაობის გაცდენის შესამცირებლად, სამუშაო დღის უფრო სრულიად გამოსაყენებლად და თვითღირებულების კიდევ უფრო შესამცირებლად.

საქ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ეკონომიური მუშაობა ჭიათურის წარმოებებში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება ეკონომიური მუშაობის მდგომარეობის შესახებ ჭიათურის წარმოებებში.

მიღებულ რეზოლიუციაში პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მიუხედავად განსაკუთრებით არახელსაყრელ პირობებისა (უბინაობა და სხვა), სწორად დაყენებულმა საწარმოო თათბირების მუშაობამ მოკლე დროის განმავლობაში (6 თვე) მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო.

მასიურ ეკონომიურ მუშაობის მიღწევები შავი ქვის მრეწველობაში გამოიხატა შემდეგში: საწარმოო თათბირების სხდომები იმართებოდა რეგულიარულად (საშუალოდ ერთხელ თვეში მაღაროებში და ქარხნებში), თათბირების მუშაობაში ჩაბმული იყო მუშათა ფართო მასა (70 პროც. რგანის სექციის წარმოებებში, 86,7 პროც. მღვიმევის სექციაში და 90 პროც. მტვირთავთა შორის). საწარმოო თათბირების სხდომებზე მუშები დიდ აქტიობას იჩენდნენ; სხდომებზე განხილულ საკითხებს ჰქონდათ საქმიანი საწარმოო ხასიათი. საწარმოო თათბირების წინადადებათა განხორციელებამ 917.703 მანეთის წლიური ეკონომია მისცა წარმოებას.

შემდეგ პრეზიდიუმი აღნიშნავს მასიურ ეკონომიურ მუშაობის სწორ, მოხერხებულ და სისტემატიურ ხელმძღვანელობას სამთამადნო მუშათა კავშირის ჭიათურის რაიონულ კომიტეტის მხრიდან.

ამასთანავე პრეზიდიუმი საჭიროდ სთვლის საქართველოს ს. მ. უ. ს. და მარგანეცის ტრესტის ყურადღება მიექცეს საწარმოო თათბირების წინადადებათა სუსტად გატარებას ცხოვრებაში (65 პროცენტამდე); ს. მ. უ. ს. და ტრესტის წინაშე დასმულია საკითხი იმის შესახებ, რომ მიღებული იქნეს ზომები ისეთი ბინების ასაგებად მაღაროებთან, სადაც შესაძლებელი იქნება მასიური ეკონომიური და სხვაგვარი პროფმუშაობის წარმოება.

შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით, ს. პ. კ. ს. სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას დაევალა გამოკვლევის მასალების მიხედვით დაამუშავოს სათანადო პრაქტიკული წინადადებანი. ამასთანავე პრეზიდიუმის შემდეგ სხდომაზე მოსმენილი იქნება სპეციალური მოხსენება შრომის დისციპლინის მდგომარეობის შესახებ შავი-ქვის ტრესტის წარმოებებში.

მუშათა ფართო უპარტიო კონფერენციები

საქართველოს პროფსაბჭო აცნობებს კავშირების ცენტრალურ გამგეობებს და რკინისგზელთა თბილისის საუბნო კომიტეტს, რომ 20 აპრილს თბილისში პირველ, მეორე და მესამე უბანში მოწვეულ უნდა იქნეს მუშათა ფართო უპარტიო კონფერენციები.

კონფერენციებზე უნდა გაკეთდეს მოხსენებები საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობისა და შრომის დისციპლინის შესახებ.

პროფსაბჭომ დაამუშავა და დაუგზავნა კავშირებს კონფერენციაზე ასარჩევ დელეგატების ნორმა. საშუალოდ ყოველ 60 მუშაზე არჩეულ უნდა იქნეს ერთი დელეგატი და 90 მოსამსახურეზე—1 დელეგატი.

კავშირები ეხლავე უნდა შეუდგენ დელეგატების არჩევას.

დელეგატების არჩევა და მთელი წინასწარი მუშაობა უნდა დამთავრდეს 15 აპრილამდე, ხოლო არჩეულ დელეგატთა სია ამ რიცხვისთვის უნდა გადაეგზავნოს საქ. პროფსაბჭოს.

წინასწარ ვარაუდით თვითეულ კონფერენციას დაესწრება 500—600 კაცი.

ახალი სამრეწველო მშენებლობა

ახალმშენებათა სამმართველოში მიღებული ცნობებით ამჟამად დაწყებულია წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა შემდეგი ახალი ფაბრიკა-ქარხნების ასაგებათ:

ცემენტის ქარხანა, რომლისათვისაც უკვე გამოყოფილია სათანადო მიწის ნაკვეთი, შენდება კასპში. ქარხნის ასაგები საამშენებლო მასალები უკვე მომარაგებულია და უახლოეს ხანში დაწყებული იქნება ქარხნის მთავარი შენობის აგება.

მომავალი საბიუჯეტო წლიდან დაწყებული იქნება ქაღალდის ქარხნის აგება ენგურზე (ზუგდიდის მაზრა), შაქრის ქარხნის აგება გორის მაზრაში, საკონსერვო ფაბრიკის აგება ქუთაისში და ლიტოპონის (საღებავის) ქარხნის აგება იქვე.

გარდა ჩამოთვლილი ქარხნებისა შემოდგომიდან გადაწყვეტილია დაწყებულ იქნეს აზოტის ქარხნის აგება. აღნიშნული ქარხანა დაამზადებს ქიმიურ სასუქებს ნიადაგის გასანოყიერებლად. ქარხნის აგებისა და ქიმიური სასუქების გამოყენების საკითხის შესასწავლად ს.მ.უ.ს. პრეზიდიუმთან მუშაობს სპეციალისტების კომისია.

ახალი ფაბრიკა-ქარხნების საამშენებლო სამუშაოების საერთო ხელმძღვანელობა დაევალება ახალმშენებათა სამმართველოს.

მუშაკების მომზადება სას.-სამ. საკრედიტო სისტემისათვის

ამ.-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის წარმომადგენელთა თათბირზე, რომელიც შესდგა გასულ მარტს, შემუშავებულ იქნა ღონისძიებები სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემისათვის ახალი მუშაკების მომზადებისა და ძველთა გადამზადების აუცილებლობის შესახებ.

თათბირმა საჭიროდ სცნო მიმდინარე წელში, 1-დან 15 ივლისამდე საკრედიტო სისტემის ინსპექტორთა თათბირის მოწვევა ამ.-კავკასიის მასშტაბით, საქართველოში და აზერბეიჯანში სექტემბერში საკრედიტო ამხანაგობების მოანგარიშეთა გადასამზადებელი ერთთვიანი კურსების მოწყობა, სისტემის მმართველ ორგანოების ხელმძღვანელთა ექვსთვიანი კურსების მოწყობა ამ.-კავკასიის სამივე რესპუბლიკაში და სექტემბერში საკრედიტო ამხანაგობების სარევიზიო კომისიების რაიონული კრებების ჩატარება.

ამ ღონისძიებათა ცხოვრებაში გასატარებლად ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო ბანკის გამგეობამ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სასოფ.-სამეურნეო ბანკებს ერთი თვის განმავლობაში წარუდგინონ რესპუბლიკებში კურსების მოწყობისა და შენახვის ხარჯთაღრიცხვა.

ხარჯთაღრიცხვების მიღების შემდეგ, ა.-კ. სასოფ.-სამეურნეო ბანკი გამონახავს კურსებისათვის საჭირო თანხებს და გაანაწილებს მათ რესპუბლიკანურ სასოფ.-სამეურნეო ბანკებს შორის.

კვირას, 7 აპრილს, დღის 12 საათზე, სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში (შესასვლელი რუსთაველის თეატრის ეზოდან), მოწვეულია კომპარტიის წევრების, კანდიდატების და კომკავშირის წევრ-ინჟინერების ტექნიკოსების, აგრონომების და მიწის მზომელების

საერთო საქალაქო კრება

თბილისში მყოფ ყველა ამხანაგების დასწრება პარტდისციპლინის თანახმად სავალდებულოა.

შაბათს, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე საქმიანი კლუბის შენობაში (შესავალი რუსთაველის თეატრის ეზოდან) შესდგება

პარტგანათლების ქსელის პროპაგანდისტთა საერთო - საქალაქო კრება

დღის წესრიგი: მემარჯვენე საფრთხის საკითხის დამუშავება პარტქსელში

რაიკომების საავ.-საპრ. განყოფილებების გამგეების, პოლიტსკოლების და პარტქსელის წრეების (ყველა ტიპის) ხელმძღვანელების დასწრება სავალდებულოა.

ს. კ. პ. (ბ) თბილ. კომიტ. საავ.-საპრ. განყოფილება.

ქრონიკა

მიწისძვრა თბილისში

5 აპრილს, საღამოს 8 ს. 29 წ. თბილისში საგრძნობლად იძრა მიწა, რომლის ძალა 4 ბალს აღწევდა.

საქართველოს მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის სეისმოგრაფებმა უჩვენეს მახლობელი მიწისძვრა. მიწისძვრის კერა თბილისიდან 110—120 კილომეტრით არის დაშორებული.

სეისმოგრაფების ჩანაწერების თანახმად, მიწისძვრას არ შეიძლებოდა დიდი ძალა ჰქონოდა.

რ. ამუნდსენის ხსოვნის საღამო

დღეს, საღამოს, 8 საათზე საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (კალოუბნის ქ. № 1) დანიშნულია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სხდომა როალდ ამუნდსენის ხსოვნის აღსანიშნავათ. შესავალ სიტყვას წარმოთქვამს პროფ. ალ. ჯავახიშვილი. დ. მიქელაძე გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „რ. ამუნდსენის წინამორბედნი პოლიარულ ქვეყნების ძიებაში“. მოხსენება დასურათებული იქნება დიაპოზიტივებით. დასწრება თავისუფალია.

„ავტოგზის“ ლატარია

1 ივნისს მოსკოვში გათამაშებული იქნება „ავტოგზის“ პირველი ლატარიის მოგებანი. სულ გათამაშებული იქნება 3.391 მოგება. აქედან: 21 ავტომობილი, 20 მოტოციკლეტი, 200 მოტორიანი ნავი, 600 ველოსიპედი და სხვ. ლატარიის ბილეთები იყიდება ყველა საკრედიტო დაწესებულებებში. ბილეთი ღირს 50 კაპიკი.

კულტთათბირი

საქ. კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტ. საპროპაგანდო განყოფილება და საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ორშაბათს, აპრილის 8-ს, დილის 9 საათზე პროფსაბჭოს დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 17, პირველი სართული) იწვევენ კულტთათბირს, რომლის დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1) საზაფხულო-კულტმუშაობის გეგმა დამდეგ საგაზაფხულო-საზაფხულო პერიოდში და 2) 1-ლი მაისის ჩატარების გეგმა.

საფანერო ფაბრიკის გაფართოება

სატყეო მრეწველობის ტრესტმა დაამთავრა მუშაობა თბილისის საფანერო ფაბრიკის გასაფართოებლათ. გუშინ უკვე ამუშავდა ახლად დადგმული დაზგა, რომლის საშუალებით ფაბრიკის პროდუქცია ერთი-ორად იქნება გადიდებული.

ფაბრიკა ამიერიდან დაამზადებს საექსპორტო ფიცარს.

სააგარაკო სეზონის წინ

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა თავის უკანასკნელ სხდომაზე ცალკე კავშირებსა და მაზრებს შორის გაანაწილა დასასვენებელ სახლებსა და აგარაკებზე მუშებისათვის გამოყოფილი ადგილები.

თბილისის კავშირებს შორის სულ განაწილებულ იქნა 3095 ადგილი, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და მაზრებს დაეთმო 7.286 ადგილი.

შაქარი ამიერ-კავკასიისათვის

ფოთში ამიერ-კავკასიისათვის მიღებულია დიდძალი შაქარი. შაქრის ყოველდღიური გამოგზავნა 20 ვაგონიდან გადიდებულია 40—45 ვაგონამდე.

თათბირი შრომის დისციპლინის საკითხებზე

გუშინ დილით ა.-კ. შრომის სახ. კომისარიატში შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც განხილული და მოწონებული იქნა კომისიის მიერ შრომის დისციპლინის ასამაღლებლად შემუშავებული საჭირო ღონისძიებათა პროექტი, რის შემდეგ თათბირი დაიხურა.

პროფკავშირების კულტმუშაკთა კონფერენცია

ოთხშაბათს, აპრილის 10-ს, საღ. 6 საათზე მუშათა სასახლის დიდ დარბაზში შესდგება პროფკავშირების კულტმუშაკთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან: კავშირების ც. გ. კულტგანყოფილების გამგეები, კლუბების გამგეობათა წევრები, კულტკომისიების წევრები, წითელი კუთხეების მუშაკები, წარმოება-დაწესებულებათა კედლის გაზეთების მუშაკები და თბილისის გაზეთების მუშკორთა წარმომადგენლები.

თათბირის დღის წესრიგში სდგას საკითხი კლუბებისა და წითელი კუთხეების მასიური მუშაობის დათვალიერების და კონკურსის შესახებ მასიური მუშაობის უკეთესად დაყენებაზე.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის დირექციას ამჟამად ტრამვაის ახალი ხაზი გაჰყავს ყურისის ქუჩაზე.

◆ **ზოოლოგიური ბაღის ნაწილი** უკვე გაიხსნა.

◆ **წყალდიდობის წინააღმდეგ** წინასწარი ზომების მისაღებად თბ. აღმასკომმა გადასდო 4.500 მან.

◆ **მელიორაცია.** აღმასკომი შეუდგა მაზრაში ახალ სამელიორაციო ამხანაგობების დაარსებას და მათთვის დახმარების გაწევას.

მიწად. მოქ. სახ. კომისარიატში

◆ **ცხვის ჯვარის ფერმისათვის** მიწ. მოქ. სახ. კომისარიატმა გერმანიაში შეიძინა 3 ბუღა და 10 ძროხა.

◆ **ლიკანში** (ბორჯომში) არსებული ჯიშიან ფრინველების მოსაშენებელი სადგური 400 ფრინველით მიწადმოქმედების სახ. კომისარიატმა გადასცა სამტრედიის მეფრინველეობის ამხ-ბას.

პროფსაბჭოში

◆ **შრომის დისციპლინასთან** დაკავშირებულ საკითხების გასამუქებლად 20 აპრილს პროფსაბჭო იწვევს უპარტიო მუშების რაიონულ კონფერენციებს.

◆ **გამომგონებლობისათვის ხელის შეწყობა.** პროფსაბჭომ შუამდგომლობა აღძრა სათანადო ორგანოების წინაშე, რათა დაარსებული იქნეს მუშა-გამომგონებელთა დამხმარე ადგილობრივი ფონდი.

სხვადასხვა

◆ **ცენტრ. გლეხკომმა** ახალი გლეხკომები დაარსა—ყვარელში, გურჯაანში, თელავში, სიღნაღში და წითელ წყაროში.

◆ **კვირას, 7 აპრილს, დილის 12 საათზე უნივერსიტეტის კლუბის დარბაზში დანიშნულია** პედაგოგიური ფაკ. საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზედაც ლექტ. ა. ჩიქობავა დაიცავს თავის შრომას „მარტივი წინადადებების პრობლემა ქართულში“ ენათმეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ოფიციალურ ოპონენტებად ფაკ. საბჭოს მიერ დანიშნული არიან—პროფ. გ. ახვლედიანი და პროფ. აკ. შანიძე.

◆ **ორშაბათს, 8 აპრილს, დღის 12 საათზე** მოწვეულია უმუშევარ ექიმთა და კბილის ექიმთა საერთო კრება პროფსაბჭოს მცირე დარბაზში. დღის წესრიგი: დელეგატების არჩევა სრულიად საქ. ექიმთა ყრილობაზე.

◆ **საქართველოს ტეხნიკურ საზოგადოებაში.** კვირას, 7 აპრილს, დღის 12 საათზე თბილისის ინდუსტრიალურ ტეხნიკუმში (კამოს ქ. № 70) შესდგება საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების კრება, რომელზედაც წაკითხული იქნება ინჟ. ს. ყირქესალიშვილის მოხსენება შემდეგ თემაზე: „სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია საქართველოს საერთო ელექტროფიკაციასთან დაკავშირებით“.

◆ **დღეს, 7 აპრილს, საღამოს 6 საათზე** სახ. უნივერსიტეტის კლუბში საშეფო საზ-ბის უჯრედის დაარსების მიზნით მოწვეულია სტუდენტთა კრება.

ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის გასაჯანსაღებლად

ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა სამთო მრეწველობის ტრესტის ფინანსიური მდგომარეობა. მოხსენებით ამ საკითხზე გამოვიდა ტრესტის ხელმძღვანელი ამხ. ი. ჭელიძე.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სამთო ტრესტის ყველა სამრეწველოები მომგებიანია გარდა ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობისა. ასე, მაგალითად, დიატომიტის მრეწველობას განვითარებისათვის საუკეთესო პერსპექტივებია. ბაზარზე დიდია მოთხოვნილებაა ჩვენს დიატომიტზე და ამჟამად ტრესტის წინაშე სდგას საკითხი დიატომიტის მრეწველობის უფრო ფართოდ გაშლის შესახებ. მომგებიანია აგრეთვე ბარიტისა და ლიტოგრაფიული ქვის მრეწველობა.

ტყიბულის მრეწველობა ტრესტს აძლევს იმდენ ზარალს, რომ ეს ზარალი გავლენას ახდენს ტრესტის საერთო ფინანსიურ მდგომარეობაზე. ზარალი კი გამოწვეულია ორი გარემოებით: ერთი ის, რომ ტყიბულის ქვანახშირი იყიდებოდა მომხმარებელ ორგანიზაციებზე თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასებში და მეორეც ის, რომ ზოგიერთი მომხმარებელი ორგანიზაციები ტყიბულის ქვანახშირს აღარ იძენენ იმ რაოდენობით, როგორც ეს წინასწარ იყო განზრახული. ასე, მაგალითად რკინის გზის უწყებამ ნახშირის ორთქლმავლები გადაიყვანა მაზუთზე, რომელიც სავალიუტო-საექსპორტო საქონლად ითვლება. ასევე მოიქცა „აზნევთი“, რომელსაც უნდა შეექმნა ტყიბულის ნახშირი თავის ქარხნებისათვის.

მოხსენებების გამო ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმმა გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა ცხოვრებაში გატარებით შესაძლებელი გახდება ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობის საბოლოო გაჯანსაღება. პირველ ყოვლისა ს. მ. უ. განზრახული აქვს დაჩქარებული ტემპით ჩაატაროს ტყიბულის მაღაროების რაციონალიზაცია მოწყობა, რისთვისაც უკვე დაწყებულია მუშაობა.

გადაწყვეტილია აგრეთვე აღიძრას შუამდგომლობა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე, რათა გამოყოფილი იქნეს საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც შეისწავლის ტყიბულის მრეწველობის წინაშე წამოჭრილ ყველა საკითხებს.

საგეგმო კომისიაში

ელექტროფიკაციის 5 წლის გეგმა

საგეგმო კომისიამ განიხილა და დაამტკიცა საქართველოს ელექტროფიკაციის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.

სოფლის ელექტროფიკაცია

საგეგმო კომისიამ საჭიროდ სცნო, რომ მოკლე ხანში დამუშავებული იქნეს სოფლის ელექტროფიკაციის გეგმა. ამასთანავე გამორკვეული უნდა იქნეს, თუ რამდენად შესაძლებელია რიონის და ცხენის წყლის შეერთება მურის ციხესთან გვირაბისა და მდინარე ლაჯანურის საშუალებით.

სოციალური უზრუნველყოფის გეგმა

საგეგმო კომისიამ განიხილა და მოიწონა სოციალური უზრუნველყოფის 5 წლიანი პერსპექტიული გეგმა.

ექსკურსიები

გაზაფხულის არდადეგების დაწყებასთან დაკავშირებით განათლების მუშაკთა კავშირმა გადასწყვიტა მოაწყოს განათლების მუშაკთა ექსკურსიები სხვადასხვა ადგილებში.

პირველი ექსკურსია მოეწყობა 7 აპრილს სამთავისის კომუნის დასათვალიერებლად, 9 აპრილს ექსკურსია მოეწყობა ნატახტარის წყალსადენის სამუშაოების გასაცნობათ, 12 აპრილს—შავნაბადაში ვულკანურ ნაშთების დასათვალიერებლად, 13 აპრილს—თბილისის თუჯის და სპილენძის ჩამომსხმელ ქარხნებში და 14 აპრილს—სოცჰიგიენის მუზეუმში. ჩაწერა სწარმოებს განათლების მუშაკთა სახლში.

ხელოვნება

ქუთაის-ბათომის სახ. თეატრი კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით

„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ —ე. ტოლერის,—დადგმა—დ. ანთაძის, მხატვარი—დ. კაკაბაძე

ქუთაის-ბათომის სახ. თეატრის მიერ თბილისში პირველად იქნა წარმოდგენილი ერნსტ ტოლერის პიესა —„ჰოპ-ლა! ჩვენ ვცოცხლობთ“. ეს პიესა საყურადღებოა იმ მხრივ, რომ მასში ავტორმა სცადა მოეცა პროლეტ. ბრძოლის ცალკე ეპიზოდები ბურჟუაზ. წყობილების წინააღმდეგ. აღებულია ის პერიოდი, როცა მთელ ევროპას იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის გამო უკვე ედებოდა სამოქალაქო ომის ქარ-ცეცხლი და საერთაშორისო ბურჟუაზია სოციალ-რეფორმისტებთან ერთად ცდილობდა შეექმნა ერთიანი ფრონტი რევოლიუციონური მოძრაობის დასახშობად. დრამაც ამ ფონზე იშლება.

მაგრამ უნდა ითქვას გადაჭრით, რომ ტოლერმა ეს ამოცანა ვერ დასძლია. ავტორი პიესაში ვერ იძლევა რევოლიუციის მამოძრავებელ ძალთა სწორ შეფასებას. ყალბად არის გაგებული კლასიური ბრძოლის შინაგანი მექანიკა. პიესის მთავარი გმირები უფრო საზოგადოების დეკლასიურ ფენათა სულისკვეთების გამომხატველნი არიან, ანარქიზმის იდეებით გამსჭვალულნი, ვიდრე ჭეშმარიტი წარმომადგენელნი პროლეტარიატისა. ისინი მოკლებულნი არიან ნამდვილ რევოლიუციონერთა სულიერ თვისებებსაც კი. რეჟისორსაც ამგვარად დაუმუშავებია პიესის პერსონაჟები. პირველ მოქმედებაში, როცა რამოდენიმე რევოლიუციონერი ციხეში დამწყვდეული მოელის სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანას, ისინი ისეთ სულიერ დაცემას და სიმხდალეს ამჟღავნებენ, რომ უკვე იჭვის ქვეშ ისმება საკითხი, თუ რა „იდეიისათვის გვხოცავენ“, „რომ ჩაუფიქრდით, ჩვენ თვითონ არ ვიცით, ნამდვილად თუ რისთვის ვკვდებით“. ნამდვილი რევოლიუციონერისათვის, რომელიც ბავშობიდანვე შეზრდია თავისი კლასის ინტერესებისათვის ბრძოლას, არ უნდა დაისვას საკითხი იმის შესახებ, თუ რა იდეაა ის იდეა, რომელსაც იგი ეწირება. ერთი მათგანი იმგვარად შეიპყრო შიშმა, რომ საყდარში სულიერი „განწმენდაც“ კი მოისურვა. ავტორმა სცადა მოეცა უფრო შეგნებული მებრძოლის სახე (ალბერტ კროლი), მაგრამ იგი ძეტად მკრთალად არის მოცემული პიესაში, მაშინ, როდესაც მაყურებლის ცნობიერებას სავსებით იპყრობს კარლ ტომას—ნამდვილი ანარქისტი, „ბუნტარი“, მატარებელი წვრილ-ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიის. კარლ ტომას ოცნებობს [illegible] და აფრიკაზე, სადაც „ადამიანები—ბავშვები... სიხარულით შესცქერიან მზეს.. ვარსკვლავებს და რომლებსაც პოლიტიკის არაფერი ესმით“. პიესას შეუძლია მაყურებელს დაუკარგოს რწმენა რევოლიუციის გამარჯვებაში, და ამ სახით ის არ ვარგა ჩვენი რეპერტუარისთვის. ეს გარკვევით უნდა ითქვას.

რაც შეეხება დადგმას, აღსანიშნავია, რომ თეატრს შეუსრულებია თავისი ამოცანა. პიესა გაკეთებულია მხატვრული გემოვნებით, იგი იშლება კადრებად და სინთეზში კინოს, რადიოსა და ფერების მხატვრულ ეფექტს ახდენს მაყურებელზე. მთავარი ის არის, რომ რიტმი პიესაში შენარჩუნებულია ბოლომდე და არსად არ სწყდება. ეკრანიდან სცენაზე გადასული აქტიორი ბუნებრივად განაგრძობს თამაშს. კონსტრუქცია მარტივია, მაგრამ ისე მოხდენილად არის გაკეთებული, რომ გადაჭრილია მთელი რიგი რთული ამოცანები.

შემსრულებელთა შორის განსაკუთრებით გაირჩეოდა უშანგი ჩხეიძე—კარლ-ტომას როლში. კარგი იყო კვანტალიანი ბანკირის როლში. თავის სიმაღლეზე იდგა ლამბაშიძე (ალბერტ კროლ) და გომელაური (ვილჰელმ კალმან). ქალებს შორის: ბ. ჭიჭინაძე (ევა-ბერგ) და ც. წუწუნავა (ფრაუ კალმან).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ დაცემისა და უიმედობის ტენდენციები ნათლად გამოსჭვივის პიესაში, მიუხედავად დადგმის მაღალი თეატრალური ტეხნიკისა.

დ. დ.

სულით ავადმყოფთა მკურნალობა

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა გამოიმუშავა ღონისძიებები სულით ავადმყოფთა მკურნალობის საქმის გასაუმჯობესებლად მთელ რესპუბლიკაში. პირველ რიგში განზრახულია გაფართოებულ იქნეს სულით ავადმყოფთა სამკურნალოების ქსელი და გამრავლებულ იქნეს საწოლების რიცხვი ყველა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში.

ამჟამად მთელ რესპუბლიკაში აღნიშნულია 7.000-ამდე სულით ავადმყოფი, რომელთაც ესაჭიროებათ ე. წ. სტაციონალური მკურნალობა, მაგრამ საწოლების სიმცირის გამო შეუძლებელი ხდება ყველა ავადმყოფთათვის დახმარების აღმოჩენა. ამიტომ ჯანსახკომის დირექტივის თანახმად პირველ რიგში საავადმყოფოებში ღებულობენ ისეთ ავადმყოფებს, რომლებიც იმყოფებიან ე. წ. მწვავე აღზნებაში, არღვევენ საზოგადოებრივ მყუდროებას, აფუჭებენ ქონებას (სწვავენ სახლებს, მოსავალს, ანგრევენ შენობებს, დარბიან ქუჩებში და სხვ.) პირველ რიგში ღებულობენ აგრეთვე იმ ავადმყოფებს, რომლებიც სისტემატიურად მოდიან აღზნებაში. ასეთი ხასიათის ავადმყოფების განკურნება შედარებით მოსახერხებელია მოკლე დროის განმავლობაში.

შედარებით უფრო ცუდ მდგომარეობაშია ქრონიკულად დაავადებულ სულით ავადმყოფთა მკურნალობის საქმე.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატმა ახალი საწოლები გახსნა თბილისის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში და სურამის სულით ავადმყოფთა სამკურნალოში. სულ გახსნილია 36 ახალი საწოლი. ამგვარად მთელ რესპუბლიკაში ამჟამად გახსნილია სულ 316 საწოლი.

რკინის გზებზე

ქაღალდის გადაზიდვის გასაუმჯობესებლად

რკინის გზებზე შემჩნეულია, რომ ქაღალდის გადაზიდვის დროს ადგილი აქვს ტვირთებისადმი დაუდევარ მოპყრობას—მტვირთავების მხრივ ეს გავლენას ახდენს ქაღალდის ღირსებაზე. განსაკუთრებით ფუჭდება ამ შემთხვევაში როლონის (საგაზეთო) ქაღალდი, რადგან მას აგორებენ მიწაზე, იგი იხევა ან ისვრება მაზუთში ან ტალახში.

რათა ასეთ მოვლენას დაედვას საზღვარი და აღარ განმეორდეს მომავალში, შემუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებები ქაღალდის გადაზიდვის საქმის გასაუმჯობესებლად.

გზებს წინადადება აქვთ მიცემული საწყობებში შენახვის დროს ქაღალდი გამოჰყონ დანარჩენ ტვირთებისაგან, რომლებთაც თავისი თვისებით შეუძლიათ მაინც გავლენა მოახდინონ ქაღალდზე.

ტრანსპორტმა უნდა მიიღოს ყველა ზომები, რათა როლონის ქაღალდს მოეპყრონ განსაკუთრებულის სიფრთხილით: არ აგორონ ჭუჭყიან ადგილებში, ვაგონიდან ძირს არ გადმოაგდონ, დატვირთვა-გადმოტვირთვის დროს არ იხმარონ ჩანგლები და სხვა.

121.000 მან. განათლების საქმისათვის

1928—29 წლის ხარჯთაღრიცხვით ა.-კ. რკინის გზას ტრანსპორტზე საგანმანათლებლო მუშაობის გასაძლიერებლად გახსნილი აქვს 121.000 მანეთის კრედიტი.

მატარებლის გაწყვეტა

ყარადალა-სანგაჩალს შუა გაწყდა დაჩქარებული საბარგო მატარებლის შემადგენლობა.

მატარებელი სადგ. სანგაჩალაში ჩაიყვანეს ორ ნაწილად.

ამ შემთხვევამ გამოიწვია ხაზის დაკავება ორ საათ ნახევრით და ამ დროის განმავლობაში სადგურებზე მთელ რიგ მატარებლების ვაჩერება.

კინო

მუშათა კინო-ექსპედიციის დაბრუნება

ამას წინეთ საქ. სახ. კინო-მრეწველობამ საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში კინო-მრეწველობის მდგომარეობასთან გასაცნობათ გაგზავნა მუშათა ექსპედიცია, რომელმაც ჩამოიარა და დაათვალიერა—მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი და ოდესა. აღნიშნულ ქალაქებში, რომლებიც ითვლებიან საბჭოთა კინო-მრეწველობის ცენტრებათ, მუშათა ექსპედიცია გაეცნო ყველა ახალ კინო-მიღწევებს და კინო-მრეწველობის საქმის დაყენებას დიდ კინო-ფაბრიკებში.

ამ ორი დღის წინეთ ექსპედიცია დაბრუნდა თბილისში. ორშაბათს, 8 აპრილს, კინო-თეატრ „დარბაზში“ დანიშნულია საქ. სახ. კინომრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებებს გააკეთებენ ექსპედიციის მონაწილენი.

„ტყის დღე“

აპრილიდან 15 მაისამდე მთელ საქართველოში ჩატარებული იქნება „ტყის დღე“. ამ დღისთვის ყველა აღმასკომებთან და სათემო საბჭოებთან დაარსდა საგანგებო კომისიები. კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებენ კომკავშირი, გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები, კოლმეურნეობები და გლეხკომები.

საქ. მიწსახკომის სატყეო სამმართველოს განზრახული აქვს მოაწყოს ადგილებზე გლეხებთან საუბრები, სოფლის და, საერთოდ, სახალხო მეურნეობისათვის ტყეების მნიშვნელობის შესახებ. გლეხებს გააცნობენ ტყის და მცენარეების გაშენების სხვადასხვა წესებს და მოაწყობენ ამ დარგში პრაქტიკულ მუშაობას. ამ მიზნით მიწსახკომმა დაუგზავნა აღმასკომების მიწათმოქმედების განყოფილებებს აკაციის თესლი, რომელიც უნდა დაითესოს განსაკუთრებით მევენახეობის რაიონებში, სადაც ახალგაზრდა ხეებს სარებად ხმარობენ.

ფეხბურთი

მოსკოვი—თბილისი

დღეს, 6 აპრილს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართება საქალაქთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობენ მოსკოვის „დინამო“ და თბილისის გემოკვების მუშაკთა გუნდი.

მოსკოვის „დინამო“-ს ძირითად შემადგენლობაში შედიან: ჩულკოვი, კარპენკო, ქ. ფომინი, სტოლიაროვი, სელინი, ლენიჩკოვი, მაკაროვი, სევასტიანოვი, ივანოვი, პავლოვი და პროკოფიევი.

გემოკვების მუშაკების მხრიდან თამაშობენ: სოლოვიოვი, ოტტო, ვორონოვი, დოლგოლევი, იმნაძე, რამიშვილი, აივაზოვი, მაღალაშვილი, დოკოვი, ასლამაზოვი და ორლოვი.

მოსკოვის „დინამო“ ერთერთი უძლიერესი გუნდია მოსკოვში. ექვსი კაცი მის ძირითად შემადგენლობიდან სხვადასხვა დროს თამაშობდა მოსკოვის ნაკრებ გუნდში. ორი კი (კ. ფომინი და სელინი) შედის საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში.

ხვალ მოსკოველების წინააღმდეგ თამაშობენ მეღითონეები (დღის 1 საათზე).

„დინამო“-ს გარდა წელს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა მოსკოვის უძლიერესი გუნდი — გემოკვების მუშაკთა გუნდი და კლუბ „კორ“-ის გუნდი, ეს უკანასკნელი უკვე გამოემგზავრა ამიერ-კავკასიაში. გემოკვების მუშაკები კი ამჟამად თამაშობენ ტაშკენტში.

თამაშის კლასის მხრივ მოსკოვის გუნდებში პირველ ადგილზე დგას „დინამო“ და გემოკვების მუშაკების გუნდი. ამ უკანასკნელში თამაშობენ ისეთი ცნობილი მოთამაშეები, როგორიც არიან ფილიპოვი (გოლერი), ძმ. სტაროსტინები (ბეკი და ფორვარდი), კანუნნიკოვი (ფორვარდი) და სხვ.

თბილისი—ხარკოვი

მოსკოვის „დინამო“-ს შემდეგ თბილისს ესტუმრება ხარკოვის „დინამო“, რომელიც ერთერთ უძლიერეს გუნდათ ითვლება უკრაინაში და მთელ საბჭოთა კავშირში. ხარკოვის „დინამო“-ში შედიან ყოფ. ხარკოვის ნაკრები გუნდის მოთამაშეები.

პირველი შეჯიბრება ხარკოველებთან დანიშნულია 19 აპრილისათვის.

სასამართლო

უშრომლად ცხოვრებას შეჩვეული

— სახელმწიფოს ვერ ვანდობ ფულს. ბანკში ფულს არ შევიტან, სულ რომ საშველი არ მქონდეს ჩემს საქმეს... ჩემო იოსებ, შენ გაბარია ჩემი სული. არ გამთქვა, არ გამომჭრა ყელი!

— არა, კაცო, ჯაშუშობას როგორ ვიკადრებ. რამდენადაც შემეძლება ხელს შეგიწყობ ფულის გასესხებაში,—დაიმედა იოსებ ფხალაძემ სანამუსო საქმისთვის მასთან მისული მიხეილ აბდუშელიშვილი.

შესაძლებელია, ფხალაძეს პირნათლად შეესრულებია თავისი დაპირება და არ გაეთქვა, არ გაემხილა ნაძნაურალ აბდუშელიშვილის კომბინაციები, მაგრამ როცა თვითონ ფხალაძე ჩავარდა მევახშე აბდუშელიშვილის კლანჭებში და ველარ აუვიდა პროცენტების გასტუმრებას, „იკადრა“ და აცნობა ხელისუფლებას, რომ აბდუშელიშვილი უკანასკნელ ლუკმას ართმევს მის ხელში ჩავარდნილ გაჭირვებულ ხალხსო.

რა გასაკვირია, რომ ქიათურელი აზნაური, ყოფილი მემამულე, ყოფილი მრეწველი, მიხეილ გიორგის ძე აბდუშელიშვილი რომელსაც ჯერაც არ გამოლევია ქიათურის შავი ქვის „ქონი“, უკმაყოფილოა საბჭოთა ხელისუფლებით და „უნდობლობას უცხადებს მუშურ-გლეხურ მთავრობას!

მიხეილ აბდუშელიშვილს მაინც და მაინც კარგი არაფერი ახსოვს საბჭოთა ხელისუფლებისაგან. მიხეილს საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუკრა თავი აზნაურობამაც, მემამულეობამაც, შავმა ქვამაც და სქელმა ჯიბემაც.

რა იყო შრომა, რა იყო ცხოვრებისათვის თავის შეწუხება, აბდუშელიშვილმა არ იცოდა. თითის გაუნძრევლადაც განცხრომით ცხოვრობდა, სხვები შრომობდნენ და თვითონ სჭამდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აბდუშელიშვილი არ აგდებს ძველ გზას—უშრომლად ცხოვრებას. ისეთი მოხერხებული, გამოჩარხული კაცია მიხეილი, რომ წყალშიც რომ ჩააგდოთ მშრალი ამოვა.

გაქესატებული ნაძნაურალი იწყებს ბნელ კომბინაციებს და სულ მოკლე ხნის განმავლობაში დიდძალ ფულს იძენს. კვლავ გაიმართა წელში აბდუშელიშვილი. დაგროვილ ფულს გასესხა ზღაპრულ პროცენტებში. ფულებს ასესხებს ათას მანეთობით. ფეხ-ფეხზე აქვს გადადებული. კვლავ განაგრძობს უშრომლად ცხოვრებას გაჭირვებულ მოქალაქეების ხარჯზე. თვიურად 200 მანეთზე მეტი მარტო პროცენტები შემოსდის, ისეთი კაცი არ არის აბდუშელიშვილი, რომ ვინმეს ადროვოს პროცენტის შემოტანა, ან ვალის გასტუმრება. სული რომ ხდებოდეს გლეხს გაჭირვებისგან ერთ საათს არ ადროვებს ფულის გადახდას.

ასე ცხოვრობდა გაქექილი გაკომბინატორებული ძველი აზნაური, სანამ მის წინააღმდეგ არ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე.

ქიათურის უბნის სახალხო სასამართლომ გაასამართლა მევახშე აბდუშელიშვილი, რომელსაც მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით სასტიკი იზოლაციით და სამოქალაქო უფლებების აყრა 5 წლის ვადით.

ყაჩაღების გასამართლება

დღეს თბილისის მაზრა-ქალაქის სასამართლოში დაიწყება ყაჩაღების: ალექსანდრე გირმისაშვილის და სანდრო ჭინჭარაშვილის გასამართლება.

ალექსანდრე გირმისაშვილი ს. მცხეთის მცხოვრებია. ის 1928 წელს მსახურებდა თბილისში პირველ მსროლელ ლეგიონში, საიდანაც მალე გაიპარა და დაიწყო დეზერტირობა.

გირმისაშვილმა შეიამხანაგა თავისი თანასოფლელი სანდრო ჭინჭარაშვილი, რომელსაც გაუზიარა მგზავრებზე თავდასხმის მოწყობის გეგმა.

გასული წლის 23 აპრილს აღნიშნული პირები შეიარაღდნენ და ჩასაფრდნენ წიწამურის ტყეში, სადაც უნდა გაევლოთ ებრაელ ვაჭრებს. ყაჩაღებმა მოახერხეს რამდენიმე მგზავრის გაძარცვა, მაგრამ მილიციის მიერ მიღებულ ზომებით ერთი-ერთი თავდამსხმელი, სახელდობრ ჭინჭარაშვილი შეპყრობილ იქნა ბოროტმოქმედების ადგილას.

გირმისაშვილი გაიქცა. გირმისაშვილმა მეორე დღეს მოახდინა მეორე თავდასხმა ზედაზნის მონასტერზე, საიდანაც გაიტაცა სხვადასხვა ნივთები, მაგრამ ავჭალის რაიმილიციის უფროსის მიერ გირმისაშვილი შეპყრობილ იქნა.

ბრალდებულებს წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 181 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასჯელს—დახვრეტას.

ვერ.

შემთხვევები

ხულიგნების დაპატიმრება

აღმასკომის ადმინისტრატიულმა განყოფილებამ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის დააპატიმრა ერთი თვით—ლევან პოლიესისძე საფაროვი, გარეგინ მიხეილისძე სარქისოვი, სარგის მიხეილისძე სარქისოვი, ოგანეზ გრიგორისძე ტრი-კარაპეტოვი, ექვთიმე ზაქარიაძე მახნიაშვილი; ორ-ორი კვირით - ნ. გ. აბრამოვი, სერგო იაკობისძე ბანკევიჩი (სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი), გიორგი იოსებისძე ქურხული და ოგანეზ გრიგოლისძე ჯანოევი (3 თვით).

მკვლელობა

დაბა ველისციხეში (კახეთის მაზრა) ალექსანდრე სიმონიშვილმა რევოლვერის ტყვიით მოჰკლა ნინო გიორგის ასული ახოშვილი. მკვლელობის მიზეზი რომანიულია. სიმონიშვილი დაპატიმრებულია.

ვისია ფული?

მილიციამ აღმოაჩინა დაკარგული ფული და სხვადასხვა საბუთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებაში, გ. მაღალაშვილთან.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა ფილიჩინი ოთარის ძე მანუტოვი, რომელმაც ა. მილოვს ჯიბიდან ამოაცალა 24 მანეთი.

თავდასხმა

30 მარტს, ლიუქსემბურგიდან შვიდი ვერსის დაშორებით გამვლელებს თავს დაესხა 5 შეიარაღებული პირი. მიღებული ზომების წყალობით თავდამსხმელები დააპატიმრეს. გატაცებული ნივთები აღმოჩენილია.

ქურდობა

გაქურდეს შაქრო არჩუაძის ბინა (1-ლი სამილიციო უბანი), წაიღეს 150 მანეთის ტანსაცმელი.—ნიკოლოზ კანდელაკის ბინიდან (დურცელაძის ქ. 12), მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.—ოლღა ბაქრაძეს (მცხ. ვაგზ. 1, 11), მისმა შვილმა თემურაზ ბაქრაძემ მოჰპარა 46 მანეთი და მიიმალა.—გაქურდეს დავით კაგიევის ბინა (სამღებრო ქ., 23), წაიღეს 75 მანეთის ტანსაცმელი.—სტალინის სახელ. „ზაკავტოპრომტორგი“-ის სახელოსნოდან მოიპარეს ორი რევოლვერი.

ჭადრაკი

თბილისის ჩემპიონატი

სატურნირო კომიტეტის დადგენილებით, რათა გათამაშებულ იქნეს ყველა დაუმთავრებელი და გაუთამაშებელი პარტიები, უკანასკნელ ორი (14 და 15) ტურის გათამაშება გადაიდო მორიგ ოთხშაბათისა და კვირისთვის. ჯერ-ჯერობით გათამაშდა მალუნცევის და შიშოვის დაუმთავრებელი, მირზოევის და გოგლიძის, სმაროდსკის და ნენაროკოვის გაუთამაშებელი პარტიები.

მალუნცევის და შიშოვის პარტია გადადებული იყო რთულ და საინტერესო მდგომარეობაში, სადაც მალუნცევს ორ პაიკში შეწირული ჰქონდა კუ და სამაგიეროდ მიღებული მძლავრი იერიშის საშუალება, როგორც გათამაშებისას გამოირკვა, ეს შეწირვა მიზანშეწონილი იყო, და მალუნცევმა პარტია მოიგო.

გოგლიძემ შავებით მირზაევის წინააღმდეგ არჩია სიცილიური პარტია, სადაც მიიღო ლაზიერის ძლიერი ფრთა. შემდეგ ფიგურათა მოყრით ცენტრში გოგლიძე აპირებდა მირზაევის ცენტრის გარღვევას. მაგრამ აქ მირზაევი დროიანად გადავიდა კონტრ-შეტევაზე, ცენტრის გარღვევით მიიღო ინიციატივა და დაემუქრა შამათით. გოგლიძე კარგად იცავდა თავს, და მალე მირზაევის შეტევა გაქრა, ინიციატივა გადავიდა გოგლიძის ხელში, რომელმაც სწრაფად ისარგებლა მირზაევის ფიგურათა დაზიანებით და მალე მოიგო მედარი. ერთად-ერთი იმედი, რომელიც დარჩა მირზოევს თამაშის გაგრძელებისათვის, იყო ორი შეკრული გამსვლელი პაიკები ლაზიერის ფრთაზე. გოგლიძემ ეს პაიკებიც მალე მოიგო და დაცვალა ყველა ფიგურები. პარტია გადაიდო მირზაევისათვის უიმედო მდგომარეობაში (მხედარი და სამი პაიკი სამი პაიკის წინააღმდეგ).

ბევრად უფრო რთული და საინტერესო იყო ორ მაესტროს—სმაროდსკის და ნენაროკოვის შეხვედრა. ნენაროკოვმა ლაზიერის პაიკთა დებიუტის წინააღმდეგ აირჩია ინდოურ-ვარიანტის ერთ-ერთი დაცვა, რომელიც შავებს შედარებით შევიწროვებულ მდგომარეობას აძლევს. მიუხედავად ამისა, სმაროდსკის მიერ დებიუტის შედარებით პასიურად გათამაშების გამო მდგომარეობა მალე გამოთანასწორდა, ნენაროკოვმა თითქოს უკეთესი მდგომარეობაც მიიღო და პაიკიც კი მოიგო. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ამ პაიკის მოგება არ იყო მისთვის ხელსაყრელი: ამით მან დაკარგა ტემპი, ხოლო სმაროდსკიმ ფიგურათა განწყობაში მიიღო აქტიობა და მან მძლავრი იერიში შეიტანა ნენაროკოვის მეფეზე. შეტევის დროს სმაროდსკიმ, რომელიც წამ და უწუმ ემუქრებოდა შავებს შამათით, დაიბრუნა პაიკი და ზედმეტიც მოიგო. აქ მას საშუალება ეძლეოდა პარტია ჩქარა მოგებით დაესრულებინა. მაგრამ დროის უქონლობის გამო იგი ვერ გაერკვა მდგომარეობაში, და მან აირჩია შედარებით სუსტი გაგრძელება, რომელიც მას მოუტანს ნელა და თანდათანობით მოგებას. პარტია გადადებულია მოგების დიდი შანსებით სმაროდსკისათვის.

შეჯიბრების მდგომარეობა

მეცამეტე ტურის შემდეგ შეჯიბრის მდგომარეობა ასეთია: სოროკინი+9 ნახ. (1 დაუმთავრებელი), გოგლიძე+8 ნახ. (1 დაუმთავ.), მალუნცევი+7 ნახ. (1 დაუმთავ.), ნენაროკოვი+6 ნახ. (5 დაუმთავ.), მირზაევი+6 ნახ. (5 დაუმთავ.), კასპარიანი+6 ნახ. (1 გაუთამაშ.), ასოვსკი+6 (1 დაუმთავ.), ვეიზერი+5 (2 გაუთამაშებული), ტალვიკი+4 (2 გაუთამაშ.), შიშოვი+4, სმაროდსკი+3 ნახ. (5 დაუმთავ.), წერეთელი+2 ნახ., თარაიანი+1 ნახ. (1 დაუმთავრებელი), დანილოვი 0 (4 გაუთამაშ.).

ვ. გოგლიძე.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 6 აპრილი

დღეს თბილისის რადიო-გადამცემი რადიო-სადგური გადასცემს შემდეგ რადიო პროგრამას:

საღ. 5 საათიდან—ოქტომბრელის საათი ქართულ ენაზე; საუბარი ქართულ ენაზე—„მესაქონლეობის კოლექტივიზაცია“; რადიო-გაზეთი ქართულ ენაზე; პოპულიარული საგლეხო კონცერტი—„ხალხური სიმღერები“. საუბარი რუსულ ენაზე—„როგორ უნდა იკვებებოდნენ შრომის სხვადასხვა დარგის მუშაკები“ (მომხსენებელი ჩენცოვი); დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი.

საღამოს 8 საათიდან დაიწყება ტრანსლიაცია მოსკოვიდან. გადაცემული იქნება ამხ. ლიუტინის მოხსენება—„სასოფლო საბჭოების ამოცანები“; კონცერტი სტუდიიდან: 1-ლ განყოფილებაში — პოპულიარული მუსიკა, მე-2 განყოფილებაში—საცეკვაო მუსიკა. უკანასკნელი ამბები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა ხელზე

დღეს, 6 აპრილს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები:

მშენებელ მუშათა სექციიდან: პეტრე ლიმინსკი, მიხეილ კოცირშინი, გიორგი ბერუკოვი, არსენ ზურაბიშვილი, ნიკოლოზ ლაბაძე, მიხეილ აირაპეტოვი, ივანე ჯანაშვილი, მელქუმოვი, შამანოვი, აბრამოვი, ივანე ბასიაშვილი.

მედსექციიდან: ანა ხარაზოვა, ელისაბედ დავითიანცი, იულია ვასიუკი, გიორგი საკიანი, იაკობ აგაჯანოვი, მიხეილ ხაზაროვი, ანატოლ ტოგონიძე, გრიგოლ სხილაძე.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: პარმენ ლორთქიფანიძე, სიმონ კალანდარაშვილი, პორფილე იოვაშვილი, ერმილე კუკულავა, მიხეილ მირზაშვილი, ვალერიან ბარჯალაძე, კარპეზ ახვლედიანი, მარიამ გაბრიელოვა, როზალია ზილბერგანი, მურომცევა-სვანიძე, მარიამ კორძაია, ალექსანდრე ჩხეიძე, ნიკოლოზ ჩხეიძე.

შავ მუშათა სექციიდან: ალექსანდრე ვაშაყმაშვილი, გიორგი ვეხტიევი, იულია დემიდენკო, ივანე დადაშვილი, ვლადიმერ კანკაძე, პავლე პანამაროვი, ლევან შატბეროვი, ალექსანდრე გოგიაშვილი, გიორგი აჯტისოვი და ისაკი ბუაძე.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს წიგნ. № 8976

კითხვა:

მყავს მოხუცებული სარჩენად [illegible] დედა. ჩემმა უფროსმა ძმამ [illegible] დროს გაასტუმრა დედა ჩემი ფულით და მის შემდეგ მისი მოვლა—პატრონობა მას აღარ ეკითხება. ვარ ღარიბი. მიდგია პატარა სახლი, მყავს წვრილი ცოლ-შვილი და ოჯახში დედაჩემითურთ ვერ ვთავსდებით, ჩემ ძმას აქვს ოთხი თვალი სახლი სარდაფით, ოჯახში კი ცოლს გარდა სხვა არავინ ჰყავს. თითონაც სამსახურშია. არის თუ არა კანონი, რომ ოთხი თვალი სახლის მქონე ჩემ ძმას ჩამოერთვას ერთი პატარა ოთახი დედა-ჩემისათვის?

პასუხი:

გაჭირვებულ და შრომისუნარ მოკლებულ დედას აქვს უფლება მოსთხოვოს შვილებს სარჩო. დედის რჩენის მოვალეობა არ შეიძლება მოისპოს შეთანხმებით, თუნდაც შეთანხმება გამოწვეული იყოს ფულადი თანხის გადახდით, მაგრამ როცა დაისმება საკითხი, თუ რომელმა შვილმა რამდენი უნდა გაიღოს დედის სარჩენად, უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში შვილების ქონებრივი მდგომარეობა და აგრეთვე ისიც, თუ რომელ შვილს რამდენი გაუღია დედის სარჩენად წარსულში. იმ გარემოებიდან, რომ შვილმა უნდა არჩინოს დედა, არ გამომდინარეობს, რომ შვილმა დედა უსათუოთ თავის ოჯახში უნდა აცხოვროს. ამის გამო არ არსებობს ისეთი კანონი, რომლის თანახმადაც დედას ჰქონდეს უფლება ჩამოართვას საცხოვრებლად შვილს ერთი ოთახი მის სახლში.

პარტიული კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტის კ. პ. ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 6 აპრილს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ამავე ფაკულტეტის პარტიულ და კომკავშირის უჯრედთა გაერთიანებული სხდომა. დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივ. ა.ლ.კ.კ. გაერთიანებული უჯრედთა ბიურო-კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს, შაბათს, სრულ 12 საათზე. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა. აგრეთვე უნდა გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: 1) ნეროზინი, 2) ახვერდოვი, 3) იაკობაშვილი, 4) ცაგარელი შალვა, 5) კოძიაშვილი გიორგი, 6) ერქომაიშვილი სერგო.

ღრმად დამწუხრებული ცოლი ნატაშა, შვილი მარუსია, სიძე თომა სიხარულიძე და შვილიშვილი კორნელი (კუკა) აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი

ლაზარე ივანეს-ძე ბებია

დაკრძალვა, კვირას, 7 აპრილს ქ. ბათომში. (ნ)

თავზარდაცემული დედა ვლენტინა (გოგოლა), მამა გრიგოლი, ძმა ვახტანგი, ბებია ელისაბედი, ბაბუა კონსტანტინე დარასელია აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი

პატარა თენგიზი

გამოსვენება ტრიბუნალის ქ. № 16, შაბათს, 6 აპრილს, დღის 4 ნახ. საათ., დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 1249 2—2

დამწუხრებული ელენა და პლატონ ბერძენი, ტატიანა და ვლადიმერ გლუშაკოვი, ოლღა ბერძენი იუწყებიან რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი დისწული

თენგიზ დარასელია

გამოსვენება ტრიბუნალის ქ. № 16, შაბათს, 6 აპრილს, 4 ნახ. საათზე. 1260

გულდათუთქულნი მინა ბერიძე ცოლშვილით, მიშა თუხარელი ცოლშვილით, ლადო ცომაია მეუღლითურთ, ლადო ფანიაშვილი ცოლშვილით, ვანო სალაძე ცოლშვილით, ბეგლარ ფალავა ცოლშვილით, თამარ საბინგუსი და ალექსანდრე აჯიაშვილი აუწყებენ საზოგადოებას პატარა და მშვენიერი

თენგიზ გრიგოლის-ძე დარასელიას

უდროოდ დაკარგვას. 1258

თავზარდაცემული ქმარი კონსტანტინე, დედამთილი ელისაბედ კოკაიები იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ანეტა ანდრიას ასული კოკაია

სამოქალაქო პანაშვიდი შაბათს, საღამოს 6 საათზე. გამოსვენება კვირას, 7 აპრილს, 3 ნახ. საათე საკუთარ ბინიდან ტრამვაის შესახვევი, № 11. 1259

დამწუხრებული ბაბილა ყარამანის ასული იაშვილისა, ირაკლი, იულია, ტერეზა, მედეია იაშვილები იუწყებიან, რომ ძვირფასი დედის და ბების

ეფროსინე სვიმონის ას. ჭაფარიძის

ხსოვნის აღსანიშნავად ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 7 აპრილს, 1 საათზე. 1257

დამწუხრებულნი: ქმარი ვლადიმერ სულაქველიძე, შვილები ირაკლი, ბოგუცა, რუსუდანი, დედა მანიჟარი, ...ები ოლღა და ალექსანდრა მწუხარებით იუწყებიან დაუვიწყარ

აგრაფინა სახრახაძე-სულაქველიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 7 აპრილს, სოფელ ცხრაწყაროში. 1263

დამწუხრებული მშობლები თომა და ესმა შვილებით ლუბა და ბიჭიკოთი, ბაბუა სამსონ და ბებია ელისაბედ, ბიძები რაფიელ და ნოე მიქაშავიძეები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი და დაუვიწყარი

სონია თომას ას. სეფერთელაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება სოფ. ვანისკედში, 7 აპრილს. 1261

დამწუხრებული ვარლ (ვარლამ) ალ.-ძე ცოლშვილით, ანა ავალიანები აუწყებენ საზოგადოებას, რომ კვირას, 7 აპრილს საღამოს 5 ნახ. საათზე, საკუთარ ბინაზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

ელენა ალექსანდრეს ასულის ავალიანის

ხსოვნის აღსანიშნავად კოტე მესხის შესახვევი № 8 ყოფილი პრიუტის შესახვევი). 1260

სახკინმრეწველობის კინოთეატრები

განთიადი	კაპიტანის ქალიშვილი
სოლეი	ახალი კომედია **დონა ჟუანა**
მინიონი	**მენავე უნებურად** მონტო ბენქსის მონაწ.
პალასი	მსოფლიო სურათი **არსენალი** რეჟისორი დოვჟენკო
არფასტო	**ნანა** ზოლას რომანის მიხედვით
აპოლო	მსოფლიო ფილმი **ჩანგ** ამერიკული ნაწარმოები
დარბაზი	**ხოლტზე** რეჟ. ლეო ესაკია
პროლეტარი	პატი და პატაშონი სურათში **პატი არისტოკრატი**

კვირას დღის სეანსი „სოლეი“-ში
0—6

რუსთაველის თეატრი
კვირას, 7 აპრილს
„ღვარძლი“ პ. ილცევი
დრამა 4 მოქ. თარგ. ს. შანშიაშვილის
დადგმა ალ. ახმეტელისა და კ. პატარიძის მხატვ. ნ. პელიონკინი
მთავარი რეჟისორი და სამხატვრო ნაწილის დირექტორი ალ. ახმეტელი
დასაწყისი სრულ 8 საათზე
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და მუშათა ზოლის სალაროში
2—1 ნ.

სახ. აკ. ოპერის თეატრი
ქუთაის-ბათომის სახელმწ. დრამის თეატრი კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით
გასტროლები თბილისში
შაბათს 6 აპრილს — მე-2 აბონემენ. 1-ლი წარმ. ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ დრამა—კინო—რადიო 4 მოქ. ერნსტ ტოლლერის, თარგ. ზ. ულენტის დადგმა დ. ანთაძის, მხატვარი დ. კაკაბაძე
კვირას 7 აპრილს — აბონემენტის გარეშე ლიანდაგი გუგუნებს დასაწყისი სრულ 8 საათზე
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ. ბილეთები იყიდება 3—3 ნ. 249

დღეიდან კინო-თეატრ დარბაზში
ახალი სურათი სახ. კინო-მრეწველობის ნაწარმოები
ხოლტზე
რეჟ. ლეო ესაკიას დადგმა—ოპერატორი ვ. პოზნანი

პურის წიგნაკების შემომლები ცენტრალური კომისია
აცხადებს, რომ ა. წ. 7 აპრილიდან
ინდუვიდუალურ მთხოვნელებზე
პურის წიგნაკების გაცემა
შეწყვეტილი იქნება
კომისიის თავმჯდომარე: ოდილავაძე.

კვირას, 7 აპრილს, დილის 11 საათზე
მუშკოოპის შენობაში (ქორესის ქ. № 7)
შესდგება
მუშკოოპის
ფურნეების ყველა თანამშრომელთა
(გამგეების, მზელავების, მცხობელების და სხვ.) და
პურით სავაჭრო დუქნების ნოქრების
საერთო კრება
განსახილველია: პურის ხარისხის გაუმჯობესება.
დასწრება სავალდებულოა.
ნ. 2494 მუშკოოპის გამგეობა.

ექიმი
ი. ვ. ხანდამოვი
იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 2-დან 3 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ძნელაძის ქ. № 35 (ყოფ. მესანგრეთა ქ.) ყოფ. კადეტის კორპუსის უკან. 25—

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
პლეხანოვის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა)
მიღება: დილით 12—1 საათ. საღამოს 7—8 საათ.
გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. № 25—73 25—1 1240

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა.
ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე
ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი
ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშვენიერებისთვის, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით
ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. ა·1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები.
ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ქ. ქუთაისი
ექიმი
ი. ხ. შველიძე
კანის და ვენერიული სნეულებანი (სიფილისი, შეზხაპუნება „914“, ტრიპერის და მისი შედეგების მკურნალობა)
მიღება: დილის 8—9 საათამდე საღამ. 7 ნახ.—9 საათ.
ქალები და ბავშვები დღისით 2—4 საათამდე
მისამართი: პუშკინის ქუჩ. № 14
25—3 806

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტლ. 10—14 412 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს)
საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

დაიკარგა: საზანოვის ქ. № 50-ზე მდებარე სახლის საბინაო დავთარი საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობის სახელზე, ჩ. გ. 1262

დაიკარგა: პარტიული ბილეთი № 0869917 ალექსი ნასყიდაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1267

დაიკარგა: საბჭ. სავ. მუშ. კავშირის წიგნაკი № 20434 ბეგლარ კალანდარიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1265

დაიკარგა: სამხ. საალრ. წიგნაკი № 26 საჩხერიდან გაცემული მიხა ზაბახიძის სახელზე, ჩ. გ. 1265

დაიკარგა: სამხ. საალრ. წიგნაკი № 21 საჩხერიდან გაცემული ივანე თოდაძის სახელზე, ჩ. გ. 1265

დაიკარგა: სამხ. საალრ. ბარათი საჩხერის სამხ. მაგიდიდან გაცემული სარდიონ სოლომონისძე ბოლქვაძის სახელზე ჩ. გ. 1265

დაიკარგა: სამხ. საალრ. წიგნაკი № 92 საჩხერიდან გაცემული სევასტი შეყლაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1265

გაზ. „კომუნისტი“
ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა დაბეჯითებით სთხოვს ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ. ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის ქვითარი (ან ქვითარის №-რი), რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

3—2

მთავარი კანტორა.

ტირაჟი—39.749
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩა № 68
მთავლიტი № 904.